

უხსო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების ცნობა და აღსრულება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №5

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**1. „საერთაშორისო კერძო სამართლის
შესახებ“ საქართველოს კანონით
განსაზღვრული პროცესუალური საკითხები**

სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია

**განმარტება
საქართველოს სახელით**

№ა-2827-შ-71-2016

29 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსეთის ფედერაციის ქ.ორიოლის რკინიგზის („უე-
ლენზოდოროჟნის“) რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20
ივნისის დადგენილებით დამტკიცდა მორიგება ვ. კ-სა (მო-
სარჩელესა) და ნ. კ-ას (მოპასუხეს) შორის შემდეგი პირობე-
ბით:

1.1. მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელის მოთხოვნაზე მოპა-
სუხესთან ერთად დაგროვილი ქონებისა და ვალდებულების გა-
ყოფაზე სრული მოცულობით;

1.2. მოპასუხემ უარი თქვა მოთხოვნაზე მოსარჩელესთან ერ-
თად ერთობლივად დაგროვილი ქონებისა და ვალდებულების
გაყოფაზე სრული მოცულობით;

1.3. მოპასუხემ აღიარა მოსარჩელის საკუთრების უფლება
მისი კუთვნილი 1/2 წილის საერთო წილობრივ საკუთრებაზე,
კერძოდ, საქართველოში, ქ.ბათუმში, ი-ის ქუჩის ... სახლის ბინა
95-ზე, ფართით 67კვ.მ., მათ შორის, საცხოვრებელი ფართი –
60კვ.მ., მე-12 სართული. აღნიშნული წილის 1/2 ეკუთვნის მო-
პასუხეს, მასა და მოსარჩელეს შორის 2015 წლის 29 სექტემ-
ბერს დადებული ქორწინების ხელშეკრულების საფუძველზე.

– მოსარჩელე ზემომითითებული ბინის წილის მის სახელზე
ხელახალ რეგისტრაციამდე უფლებამოსილია მოპასუხის მონა-

წილეობის გარეშე მფლობელობაში ჰქონდეს, ისარგებლოს და განკარგოს უძრავი ქონება, დღიურად გააქირაოს იგი, მიიღოს ფულადი სახსრები პირადი მიზნებისათვის. მოპასუხე მორიგეობის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან უარს ამბობს ხსენებული ბინის ნაწილის ფლობაზე (სასამართლოს დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი);

1.4. მოსარჩელე აღიარებს მოპასუხის საკუთრების უფლებას მის კუთვნილ უძრავ ქონებაზე:

– 1/20 (ერთ მეოცედ) და 2/8 (ორ მერვედ) წილზე, საერთო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო ნომერი – ..., საერთო ფართი 363.90კვ.მ., მდებარე მისამართზე: ორლოვსკის ოლქი, ქ.ო-ი, დ-ის ქუჩა, სახლი 14), აგრეთვე, 1/20 (ერთ მეოცედ) და 2/8 (ორ მერვედ) წილზე, საერთო საცხოვრებელ სახლზე (საერთო ფართი 183.30კვ.მ., პირობითი ნომერი ..., განთავსებული მიწის ნაკვეთზე, მისამართი: ორლოვსკის ოლქი, ქ.ო-ი, დ-ის ქუჩა, სახლი 14);

– 1/2 (ერთ მეორედ) წილზე, საერთო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო ნომრით ..., მიწის კატეგორია – დასახლებების მიწები, ფართი 511კვ.მ., მდებარე მისამართზე: ორლოვსკის ოლქი, ქ.ო-ი, ს-ის შესახვევი, სახლი 3);

– 5/6 (ხუთ მეექვსედ) წილზე, საერთო საცხოვრებელ სახლზე, საერთო ფართი 20.50 კვ.მ., ინვენტარის ნომერი ..., ლიტერი A, სართულიანობა 1, მდებარე მიწის ნაკვეთზე, მისამართზე: ოროლოვსკის ოლქი, ქ.ო...ი, სოფოროვსკის შესახვევი სახლი 3;

– 1/5 (ერთ მესუთედ) წილზე, საერთო მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო ნომრით ..., ორლოვსკის ოლქი, ქ.ო-ი, მიხალიცინას ქ.კ-ის შესახვევი, პოზიცია №54, მიწის კატეგორია დასახლებების მიწები, ნებადართული მოხმარების სახე – ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ფართი 600კვ.მ;

– მოსარჩელემ განაცხადა, რომ უარს ამბობს და არ არის წინააღმდეგი, მოპასუხეზე გაფორმდეს დადგენილი წესით საოჯახო მიწენება (გარაჟი, საკუჭნაო, ცხოველების ვოლიერი) განთავსებული მიწის ნაკვეთზე, მისამართი: ორლოვსკის ოლქი, ქ.ო-ი, ს-ის შესახვევი, სახლი 3., ასევე, მიწენების საცხოვრებელ სახლზე მდებარე მისამართზე: ქ.ორიოლი, დ-ის ქუჩა, სახლი 14;

– მოპასუხემ აიღო ვალდებულება, არსებულ განცხადებაზე ორივე მხარის ხელმოწერის შემდეგ, 3 დღის განმავლობაში მოიხსნას სარეგისტრაციო აღრიცხვიდან მისამართზე: ქ.ო-ი, ს-ის შესახვევი, სახლი 3, ამასთან, გადასცეს ყველა უფლების მიმ-

ნიჭებელი და სხვა დოკუმენტები, სახელდობრ: სახლის ნიგნი, საცხოვრებელი სახლის ტექნიკური (საკადასტრო) პასპორტი, მონმობები ქონების რეგისტრაციის უფლების მიწის ნაკვეთზე და საცხოვრებელი სახლი აღნიშნულ მისამართზე;

1.5. მოსარჩელის საკრედიტო ვალდებულება, გამომდინარე 2013 წლის 26 მარტის №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან და №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან, მოპასუხემ აღიარა ქონების დროს წარმოქმნილ საერთო ვალად;

1.6. მხარეებმა აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები აღიარეს საერთო ვალად შემდეგი სახით:

– მოსარჩელე გადაიხდის კრედიტის ვალს დამოუკიდებლად სრული სახით;

– მოპასუხის ვალი მოსარჩელის სასარგებლოდ განისაზღვრა 215000 რუბლით, მოპასუხის ვალს მოსარჩელის სასარგებლოდ მხარეები განსაზღვრავენ 215000 (ორას თხუთმეტი ათასი) რუბლით. აღნიშნულ თანხას მოპასუხე აანაზღაურებს თოვლის გამწმენდი მანქანის და მუხის ავეჯის (მაგიდა და ორი სკამი) გადაცემის გზით, მხარეების მიერ არსებული განცხადების ხელმოწერის შემდეგ სამი დღის ვადაში;

1.7. მოსარჩელის მიერ მოპასუხის მონაწილეობის გარეშე გადახდილი 1/2 საკრედიტო ვალის წილი (№... საკრედიტო ხელშეკრულება) – 52725 რუბლი, აგრეთვე, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 57 500 რუბლი, მთლიანობაში 110225 რუბლი, აღიარებულია მოპასუხის ვალად და დადგინდა მისი გადახდა შემდეგი ქონებით: შპს „ტ-ის“ წარმოების 2009 წლის გამწმენების მოდელი ..., შასი № ..., ავტომობილის მისაბმელით, ავტომობილი BAZ-212140-ის ლირებულებით, მუქი მწვანე ფერის, 2011 წლის, გამოშვების №... ძარით.

2. რუსეთის ფედერაციის ქ.ორიოლის რკინიგზის („უელეზნოდოროჟნის“) რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის დადგენილებით დასახელებულ საქმეზე წარმოება შეწყდა, მხარეებს შორის შედგენილი მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების შედეგად.

3. მოსარჩელემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სასამართლოს ზემოაღნიშნული დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის (წინამდებარე განჩინების 1.3. პუნქტის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

4. საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

5. შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს რუსეთის ფედერაციის ქორიოლის რკინიგზის (ყელეზნოდოროჟნის) რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც:

– მოპასუხემ აღიარა მოსარჩელის საკუთრების უფლება მისი კუთვნილი 1/2 წილის საერთო წილობრივ საკუთრებაზე, კერძოდ, საქართველოში, ქ.ბათუმში, ი-ის ქუჩის ... სახლის ბინა 95-ზე, ფართით 67კვ.მ., მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 60კვ.მ., მე-12 სართული. აღნიშნული წილის 1/2 ეკუთვნის მოპასუხეს, მასა და მოსარჩელეს შორის 2015 წლის 29 სექტემბერს დადებული ქორწინების ხელშეკრულების საფუძველზე.

– მოსარჩელე ზემომითითებული ბინის წილის მის სახელზე ხელახალ რეგისტრაციამდე უფლებამოსილია, მოპასუხის მონაწილეობის გარეშე, მფლობელობაში ჰქონდეს, ისარგებლოს და განკარგოს უძრავი ქონება, დღიურად გააქირაოს იგი, მიიღოს ფულადი სახსრები პირადი მიზნებისათვის. მოპასუხე მორიგების ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან უარს ამბობს ხსენებული ბინის ნაწილის ფლობაზე.

6. ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის გადაწყვეტისას, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

7. საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევები მოცემულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლში. ამ ნორმის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია.

8. ამ წესიდან რაიმე გამონაკლისს არ ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის ის დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ საოჯახოსამართლებ-

რივ ურთიერთობებს (44-ე-54-ე მუხლები) და სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგების აღსრულებას (72-ე მუხლი).

9. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული უძრავი ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზე უცხო ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება დაუშვებელია, ვინაიდან ასეთი დავების განხილვა და გადაწყვეტა საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

10. მოცემულ შემთხვევაში, როგორც რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებით (20.06.2016 წლის დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით) ირკვევა, სარჩელის დავის საგანია უძრავი ქონება და ეს ქონება საქართველოში, კერძოდ, ქ.ბათუმში იმყოფება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს რუსეთის ფედერაციის ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაზე უარის თქმის საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.

12. რუსეთის ფედერაციის ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის გადაწყვეტისას, უნდა შემოწმდეს, ასევე, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის დებულებები, ვინაიდან „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

13. უნდა აღინიშნოს, რომ მინსკის კონვენცია, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, აწესრიგებს კონვენციის ხელშემკვერელი მხარეების სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველებს, კერძოდ, კონვენციის III კარის (გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება) 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ცნო-

ბასა (52-ე მუხლი) და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე (53-ე მუხლი) შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

14. მინსკის კონვენცია, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, აწესრიგებს ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენციის საკითხს ზოგადად უძრავ ქონებასთან და, მათ შორის, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

15. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის II კარის პირველი ნაწილის (კომპეტენცია) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენციის საკითხს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით, საკუთრების უფლებასთან ან სხვა სანივთო უფლებასთან დაკავშირებულ სარჩელზე კომპეტენტურნი არიან მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. ამავე კონვენციის II კარის პირველი ნაწილის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების მიხედვით, განსაკუთრებული კომპეტენცია, რომელიც გამომდინარეობს მე-20 მუხლის მე-3 პუნქტიდან და ამ კარის II-V ნაწილებით დადგენილი ნორმებიდან, აგრეთვე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის შიდა კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

16. მინსკის კონვენციის II კარის III ნაწილის (ოჯახური საქმეები) 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ეხება მათ უძრავ ქონებას, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება მდებარეობს, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით კი, მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობის საქმეში კომპეტენტურნი არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დანესებულებები, რომლის კანონმდებლობაც გამოიყენება ამ მუხლის 1-3, 5 პუნქტების თა-

ნახმად.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არსებობს, ასევე, რუსეთის ფედერაციის ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაზე უარის თქმის ის საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის III კარის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 284-ე, 285-ე, 408.3 მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის III კარის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ვ. კ-ის შუამდგომლობა, რუსეთის ფედერაციის ქორილის რკინიგზის („ჟელეზნოდოროჟნის“) რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის დადგენილების მე-3 პუნქტის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა
გამოყენების ცნობა და აღსრულება**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ა-4678-შ-88-2012

18 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენების შესახებ ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე
ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტან-
ციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქ-
მეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით მოსარჩელე-
ბის: „ო-ის“, „ო-ისა“ და სს „ო-ის“ (მოსარჩელებს) განცხადე-
ბის საფუძველზე მიღებულ იქნა განკარგულება მოპასუხეების,
მათ შორის – ვ. გ-ას წინააღმდეგ ქონების დაყადაღების შესა-
ხებ.

მოსარჩელებს – „ო-ის“, „ო-ისა“ და სს „ო-ის“ წარმომადგე-
ნელმა ვ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზე-
ნაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთმითითებული ბრძანე-
ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით შუამდგომ-
ლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ
იქნა და მიექცა აღსასრულებლად დიდი ბრიტანეთის უზენაესი
სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს გან-
ყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარ-
ტის ბრძანება მოპასუხე ვ. გ-ას ქონების დაყადაღების შესა-
ხებ, კერძოდ, მითითებული ბრძანების შემდეგი პარაგრაფები:

**3. სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების მიღებამდე,
მოპასუხე ვ. გ-ას ეკრძალება ქვემოთ მოცემული ქონების რა-**

იმე სახით განკარგვა ან ღირებულების შემცირება:

3.2. 160 000 000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ცნობილ თანხას, დაკავშირებულს 2011 წლის 14-დან 18 მარტამდე პერიოდში მეორე მოსარჩელის („ო.“) მიერ ან მისი სახელით „ათვის“ გადახდილ 213 468 750 აშშ დოლარის თანხასთან;

3.3. ზემოხსენებული თანხიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი ან მოგება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

3.3.1. ზემოხსენებული თანხის ან მისი ნაწილის საშუალებით შეძენილ ნებისმიერ აქტივს;

3.3.2. ზემოხსენებული თანხიდან წარმოშობილ ნებისმიერ პროცენტს, შემოსავალს ან დივიდენდს.

6. სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების გაცემამდე, მოპასუხე ვ. გ-ას ეკრძალება ინგლისის ან უელსის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული 160 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ნებისმიერი აქტივის ღირებულების შემცირება.

7. პარაგრაფი 6 გამოიყენება მოპასუხე ვ. გ-ას აქტივებთან მიმართებაში განურჩევლად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა ისინი მის სახელზე, ფლობს თუ არა მათ მოპასუხე და აქვს თუ არა მოპასუხეს კანონიერი, ბენეფიციალური თუ სხვაგვარი დაინტერესება ამ აქტივებთან დაკავშირებით. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის მოპასუხის აქტივები მოიცავს ნებისმიერ აქტივს, რომლის პირდაპირ თუ არაპირდაპირ განკარგვის უფლება გააჩნია მოპასუხეს ან რომლის განკარგვაც მას შეუძლია როგორც საკუთარი აქტივებისა. ჩაითვლება, რომ მოპასუხეს აქვს ასეთი უფლებამოსილება, თუ მესამე პირი ფლობს ან აკონტროლებს აქტივს მოპასუხის პირდაპირი ან არაპირდაპირი ინსტრუქციების შესაბამისად.

8. ეს აკრძალვა მოიცავს შემდეგ აქტივებს:

8.1. წინამდებარე ბრძანების დანართ ბნ-ში განსაზღვრულ შემდეგ აქტივებს:

1. ნებისმიერი დაინტერესება შემდეგ ქონებაში:

ა. ქონება ლონდონში (მისამართი უცნობია);

ბ. ქონება საქართველოში, თ-ში, 0179, ფ-ის 32, ბინა №...;

2. ნებისმიერი წილი ან ინტერესი შემდეგ კომპანიებში:

ა. „თ-ი“;

ბ. „KD შ-გ“;

გ. „ტ-დ“;

3. ნებისმიერი თანხა ან ინტერესი შემდეგ ანგარიშებთან დაკავშირებით:

„თ. ქ.“

ა. ანგარიშის №... Clariden Leu Bahamas;

ბ. ანგარიშის №..., ლ-ი, საქართველო;

„თ. ი.“

ა. ანგარიშის ნომერი CH ... Clariden Leu Zurich;

ბ. ანგარიშის ნომერი CH ... Clariden Leu Zurich;

„KD შ-გ“

ა. A. Cuprus Limited;

„ჯ. ქ.“

ა. ING Bank Slaski SA, ანგარიშის №PL ...;

ბ. Raiffeisen Zent, Vienna, ანგარიშის №AO...;

გ. Raiffeisen Zent, Vienna, ანგარიშის №....

4. ნებისმიერი დაინტერესება მოძრავ ქონებაში: A-r;

5. ნებისმიერი წილის ან სხვა ინტერესი შემდეგ კომპანიებ-

ში:

ა. „ბ-ნ ლ.“;

6. ნებისმიერი თანხა ან სხვა ინტერესი შემდეგ ანგარიშებ-

ზე:

თ. გ-ა

ა. ანგარიშის ნომერი ... – Barclay Bank Seychelles „ბ-დ“;

ბ. ანგარიშის ნომერი ... – Barclay Bank Seychelles;

8.2. ტრასტის ან მსგავსი სამართლებრივი სუბიექტის მეშვეობით მიღებული პროცენტი (ინტერესი), მათ შორის, ნებისმიერი ინტერესი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დანიშვნის, დისკრეციის ან სხვაგვარი უფლებამოსილების გამოყენების შედეგად.

(1) თუ ინგლისსა და უელსში განთავსებული მოპასუხის ყოველგვარი დატვირთვისაგან და სხვა უზრუნველყოფისაგან თავისუფალი აქტივების საერთო ღირებულება (დაუტვირთავის ღირებულება) აჭარბებს 160 მილიონ აშშ დოლარს, მოპასუხეს შეუძლია, გაიტანოს ნებისმიერი ასეთი აქტივი ინგლისიდან და უელსიდან ან განკარგოს ისინი იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოპასუხის ინგლისსა და უელსში დარჩენილი აქტივების საერთო დაუტვირთავი ღირებულება აღემატება 160 მილიონ აშშ დოლარს.

(2) თუ ინგლისში განთავსებული მოპასუხის აქტივების მთლიანი დაუტვირთავი ღირებულება არ აღემატება 160 მილიონ აშშ დოლარს, მას ეკრძალება რომელიმე ასეთი აქტივის განაწილა ინგლისიდან და უელსიდან ან მათი რაიმე სახით განკარგვა. თუ მოპასუხეს აქვს სხვა აქტივები ინგლისისა და

უელსის ფარგლებს გარეთ, მას შეუძლია, ასეთი აქტივების განკარგვა ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ იმ პირობით, რომ (ი) ისინი არ არის გათვალისწინებული მე-3 პარაგრაფით და (იი) ინგლისსა და უელსში ან მის ფარგლებს გარეთ არსებული ყველა აქტივის საერთო დაუტვირთავი ღირებულება აღემატება 160 მილიონ აშშ დოლარს.

11. გამონაკლისები:

- (1) ეს ბრძანება არ უკრძალავს მოპასუხე ვ. გ-ას, საცხოვრებელი ხარჯების სახით დახარჯოს კვირაში 1000 ფუნტი სტერლინგი, ასევე, მას შეუძლია გაიღოს გონივრული თანხა იურიდიული კონსულტაციისათვის და მისი ინტერესების წარმოდგენისათვის იმის გათვალისწინებით, რომ:
 - (ა) ასეთი ხარჯები არ გაიღება ზემოხსენებულ მე-3 პარაგრაფში განსაზღვრული ქონების დაყადაღების ბრძანების შესაბამისად დაყადაღებული ფულიდან და/ან აქტივებიდან; და
 - (ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, ხარჯების გაღებამდე მოპასუხე ვალდებულია, შეატყობინოს მოსარჩელთა კანონიერ წარმომადგენლებს ფულის წარმომავლობის შესახებ.
- (2) წინამდებარე ბრძანება არ უკრძალავს მოპასუხე ვ. გ-ას მისი აქტივების რაიმე სახით განკარგვას საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პროცესში, გარდა იმ ფულისა და/ან აქტივების განკარგვისა, რომელიც დაყადაღებულია ზემოხსენებულ მე-3 პარაგრაფში განსაზღვრული ქონების დაყადაღების შესახებ ბრძანების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის და/ან აქტივების საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პროცესში განკარგვამდე მოპასუხემ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს.
- (3) მოპასუხეს შეუძლია, შეუთანხმდეს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს ზემოთ განსაზღვრული სახარჯო ფულის ოდენობის გაზრდაზე ან წინამდებარე ბრძანებაში რაიმე სხვა სახის ცვლილებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ასეთი შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.
- (4) ბრძანება დაკარგავს ძალას მოპასუხის წინააღმდეგ, თუ მოპასუხე:
 - (ა) წარმოადგენს უზრუნველყოფას 160 მილიონი აშშ დოლარის სასამართლოსათვის გადახდის გზით, რომელიც იქნება სასამართლოს განკარგულებაში; ან
 - (ბ) იმავე თანხის უზრუნველყოფას წარმოადგენს მოსარჩელე-

თა კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული სხვა საშუალებით.

14. მოპასუხე ვ. გ-ამ, რომელსაც უბრძანეს არ განახორციელოს ესა თუ ის ქმედება, არ უნდა განახორციელოს ასეთი ქმედება არც პირადად და არც რაიმე სხვა გზით. მან არ უნდა განახორციელოს ასეთი ქმედება იმ პირთა საშუალებით, რომლებიც მოქმედებენ მისი სახელით ან მისი ინსტრუქციების შესაბამისად ან მისი ნახალისებით.

17. წინამდებარე ბრძანება არ ზღუდავს ნებისმიერ ბანკს, გამოიყენოს ჩათვლის უფლება, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს წინამდებარე ბრძანების შესახებ შეტყობინების მიღებამდე მოპასუხისათვის გაცემულ რომელიმე კრედიტთან დაკავშირებით.

18. არც ერთ ბანკს არ ესაჭიროება მოპასუხის მიერ ფულის გამოტანასთან დაკავშირებული განცხადების შესახებ ინფორმაციის მოძიება, თუ ასეთი გამოტანა ნებადართულია წინამდებარე ბრძანებით.

19. ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ არსებული პირები

(1) გარდა ქვემოთმოცემულ მე-2 პარაგრაფში განსაზღვრულისა, ამ ბრძანების პირობები არ მოახდენს გავლენას რომელიმე პირზე, რომელიც არ ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას.

(2) წინამდებარე ბრძანების პირობები ძალაშია ამ სასამართლოს იურისდიქციის გარეთ მყოფი შემდეგი პირებისათვის:

(ა) მოპასუხე ან მინდობილობის საფუძველზე მოქმედი მისი თანამდებობის პირები ან აგენტები;

(ბ) ნებისმიერი პირი:

(i) რომელიც ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას;

(ii) რომელმაც ამ სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში მიიღო წერილობითი შეტყობინება ამ ბრძანების შესახებ თავის საცხოვრებელ ან სამუშაო მისამართზე;

(iii) რომელსაც შეუძლია, ხელი შეუშალოს ქმედებას ან უმოქმედობას ამ იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოადგენს ან ხელს უწყობს ამ ბრძანების პირობების დარღვევას; და

(გ) ნებისმიერი სხვა პირი, იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძანება აღსრულებადია ან აღსრულებულია ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ.

20. ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ განლაგებული

აქტივები.

წინამდებარე ბრძანების არც ერთი დებულება, დაკავშირებული ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ განლაგებულ აქტივებთან, არ შეუშლის ხელს რომელიმე მესამე მხარეს იყოს შესაბამისობაში:

- (1) იმასთან, რასაც იგი გონივრულად მიიჩნევს თავის ვალდებულებად, იქნება ეს საკონტრაქტო თუ სხვა ვალდებულება, იმ ქვეყნის კანონებისა და ვალდებულებების შესაბამისად, რომლებშიც განლაგებულია ასეთი აქტივები ან მასა და მოპასუხეს შორის დადებულ კონტრაქტთან მიმართებაში მოქმედი კანონით გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად და
- (2) ასეთი ქვეყნის სასამართლოების ბრძანებებთან იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ბრძანების გამოყენების შესახებ შეტყობინება გაეგზავნება მოსარჩელეების ადვოკატებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 მაისის განჩინებით ვ. გ-ასა და ნ. ც-ის განცხადება ამავე სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის №ა-4678-შ-88-2012 განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ზემოხსენებული განჩინება, ასევე, გაუქმდა ამ განჩინების საფუძველზე 2013 წლის 15 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი და განახლდა საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ „ო-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო-ისა“ და სს „ო-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანია) შუამდგომლობა ვ. გ-ას მიმართ დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს

გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა. ამ საკითხის მარეგულირებელ ზოგადდებულებას ადგენს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია. რაც შეეხება უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის გადანყვეტისას შესაფასებელ გარემოებებს, მათ ადგენს ამავე კანონის 68-ე, 70-ე და 71-ე მუხლები და ძირითადი პრინციპი ასეთია:

საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (68-ე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების თანახმად, გადანყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) გადანყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში;

დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადანყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;

ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადანყვეტილებებს;

ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;

ზ) გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობა, თუ იგი ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონ-

მდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა.

თუ სამართალწარმოება მიმდინარეობს „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ.

სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონებული ქართული თარგმანი, აგრეთვე, ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონის ზემოხსენებულ დანაწესებს სრულად შეესაბამება და საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას ექვემდებარება დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც:

I სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების გამოცემამდე ვ.გ-ას აეკრძალა ქვემოთ მოცემული ქონების რაიმე სახით განკარგვა ან ღირებულების შემცირება:

ა) „ო-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია) მიერ ან მისი სახელით 2010 წლის 22 ნოემბერს „თ-ის“ ანგარიშზე გადახდილი 23 000 000 აშშ დოლარი (კ. ციურისი, შვეიცარია (კ-ის მეშვეობით, ანგარიშის №...));

ბ) 160 000 000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ცნობილ თანხას, დაკავშირებულს 2011 წლის 14-დან 18 მარტამდე პერიოდში „ო-ის“ მიერ საკუთარი სახელით „ა. ეი. დი-სათვის“ გადახდილ 213 468 750 აშშ დოლართან;

გ) ზემოხსენებული თანხებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი ან მოგება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

გ.ა.) ამ თანხებით ან მათი ნაწილის საშუალებით შექმნილ ნებისმიერ აქტივს;

გ.ბ.) ამ თანხებიდან წარმოშობილ ნებისმიერ პროცენტს, შე-
მოსავალს ან დივიდენდს.

II სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების გამოცემამდე
ვ. გ-ას აეკრძალა:

ა) ინგლისისა და უელსის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არ-
სებული 160 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ნებისმიერი
აქტივის ღირებულების შემცირება;

ბ) ტრასტის ან მსგავსი სამართლებრივი სუბიექტის მეშვეო-
ბით მიღებული პროცენტის (ინტერესი), მათ შორის ნებისმიერი
ინტერესის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დანიშვნის, დის-
კრედიის ან სხვაგვარი უფლებამოსილების გამოყენების შედე-
გად, შემცირება.

III ეს ბრძანება არ უკრძალავს ვ. გ-ას საცხოვრებელი ხარ-
ჯების სახით დახარჯოს კვირაში 1 000 ფუნტ სტერლინგი, ასე-
ვე, გაიღოს გონივრული თანხა იურიდიული კონსულტაციისათ-
ვის საკუთარი ინტერესების წარმოსადგენად იმის გათვალის-
წინებით, რომ:

ა) ასეთი ხარჯები არ გაიღება ზემოხსენებული პარაგრაფით
(ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 2.1. პუნქტის „ა“ და „ბ“
ქვეპუნქტები) დაყადაღებული ფულიდან ან/და აქტივებიდან;

ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, ხარჯების გაღებამდე ვ. გ-ა ვალ-
დებულია, შეატყობინოს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომად-
გენლებს ფულის წარმომავლობის შესახებ;

გ) წინამდებარე ბრძანება არ უკრძალავს ვ. გ-ას მისი აქტი-
ვების რაიმე სახით განკარგვას საქმიანობის ჩვეული წესით წარ-
მოების პროცესში, გარდა იმ ფულისა და/ან აქტივების განკარ-
გვისა, რომელიც დაყადაღებულია ზემოხსენებულ პარაგრაფ-
ში (ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის პუნქტი II, ქვეპუნ-
ქტები: „ა“ და „ბ“) განსაზღვრული ქონების დაყადაღების შესა-
ხებ ბრძანების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის
ან/და აქტივების საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პრო-
ცესში განკარგვამდე ვ. გ-ამ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ
მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენელს;

დ) ვ. გ-ას შეუძლია, შეუთანხმდეს მოსარჩელეთა კანონიერ
წარმომადგენლებს ზემოთ განსაზღვრული სახარჯო ფულის
ოდენობის გაზრდაზე ან წინამდებარე ბრძანებაში რაიმე სხვა
სახის ცვლილებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი
ასეთი შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

IV წინამდებარე ბრძანება არ ზღუდავს ნებისმიერ ბანკს, გა-
მოიყენოს ჩათვლის უფლება, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს

წინამდებარე ბრძანების შესახებ შეტყობინების მიღებამდე მოპასუხისათვის გაცემულ რომელიმე კრედიტთან დაკავშირებით.

V არც ერთ ბანკს არ ესაჭიროება მოპასუხის მიერ ფულის გამოტანასთან დაკავშირებული განცხადების შესახებ ინფორმაციის მოძიება თუ ასეთი გამოტანა ნებადართულია წინამდებარე ბრძანებით.

VI წინამდებარე ბრძანების პირობები ძალაშია დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის იურისდიქციის გარეთ მყოფი მოპასუხის ან მინდობილობის საფუძველზე მოქმედი მისი თანამდებობის პირებისა და აგენტების მიმართ, ასევე, ნებისმიერი პირის მიმართ, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუშალოს ქმედებას ან უმოქმედობას ამ იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოადგენს ან ხელს უწყობს ამ ბრძანების პირობების დარღვევას, ასევე, ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, თუ ეს ბრძანება აღსრულებადია ან აღსრულებულია ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ.

VII მოპასუხე ვ. გ-ას აეკრძალა სს „ლ-ში“ (საქართველო) არსებული ანგარიშის №GE81LB... რაიმე ფორმით განკარგვა ან ღირებულების შემცირება.

შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთება:

დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების შესწავლით დასტურდება, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა/აკრძალვა შეეხო აგრეთვე, საქართველოში, ქ.თბილისში, 0179, ფ-ის 32-ში მდებარე №... ბინას.

საკასაციო პალატამ 2016 წლის 13 მაისის განჩინებით ბათილად ცნო რა ამავე სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება, განმცხადებელ ნ. ც-ის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2012 წლის მდგომარეობით ხსენებული უძრავი ქონება (ს/კ №...) წარმოადგენდა არა მოპასუხე ვ. გ-ას, არამედ, ნ. ც-ის საკუთრებას. საკასაციო პალატა ამ ფაქტობრივი გარემოების შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმფციით და აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის გადანყევტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნო-

ბა-ალსრულების საკითხის თავდაპირველად განხილვის დროისათვის ქონება ვ. გ-ას არ ეკუთვნოდა (ამჟამინდელი მონაცემებით, იგი კვლავ არ წარმოადგენს ვ. გ-ას საკუთრებას), ხოლო ქონების მესაკუთრე – ნ. ც-ე არ იყო არც ლონდონში და არც საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოების სუბიექტი, ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა (გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს), რამდენადაც უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონმდებელი ადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს, ხოლო მე-2 ნაწილით განსაზღვრავს, რომ, როდესაც შეზღუდვა უძრავ ქონებაზე უფლებრივ მდგომარეობას შეეხება, ამ ქონებაზე უფლება უნდა დადასტურდეს საჯარო რეესტრის ამონაწერით. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კონკრეტული სახეები და დადგენილია, რომ უძრავ ნივთთან დაკავშირებული შეზღუდვების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნივთი ეკუთვნის მოპასუხეს.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში, ქ.თბილისში, 0179, ფ-ის 32-ში მდებარე №... ბინა არ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას, ხოლო ქონების მესაკუთრე არ არის დიდ ბრიტანეთში მიმდინარე სამართალწარმოებაში მოპასუხე, პალატა თვლის, რომ ამ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს და არ არსებობს ამ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

შუამდგომლობის ნაწილობრივ განუხილველად დატოვების დასაბუთება:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც ხელმძღვანელობს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ-ის პირველი მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

მოცემულ შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით უზრუნველყოფის ღონისძიების საგანს წარმოადგენს, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ვ. გ-ას კუთვნილი ქონება/ფულადი სახსრები და საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიშები.

საქართველოს საერთო სასამართლოების კომპეტენციას განსაზღვრავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი და ზოგადი წესის თანახმად, აღნიშნული მართალია, უკავშირდება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, რეზიდენციის ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის საქართველოში არსებობას (იხ. მე-8 მუხლი), თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ ეს დათქმა საკმარისი არაა, რადგანაც ამავე კანონის მე-20 მუხლით კომპეტენციის პრინციპის განსაზღვრის მიზნით დამატებულია უზრუნველყოფის ღონისძიების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების აუცილებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ბუნებრივია, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ სახსრებზე გამოყენებული შეზღუდვების მიმართ საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინება ვერ იქნება მიჩნეული აღსრულებად აქტად, რის გამოც, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არ არსებობდა შუამდგომლობის განსახილველად მიღების წინაპირობები.

ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე გამოვლინდა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილისა (თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, 187-ე, 191-ე, 198-ე, 372-ე, 399-ე, 404-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. „ო-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო-ისა“ და სს „ო-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანია) შუამდგომლობა ვ. გ-ას მიმართ დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც:

2.1. სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების გამოცემამდე ვ. გ-ას აეკრძალა ქვემოთ მოცემული ქონების რაიმე სახით განკარგვა ან ღირებულების შემცირება:

ა) ო-ის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია) მიერ ან მისი სახელით 2010 წლის 22 ნოემბერს თის ანგარიშზე გადახდილი 23 000 000 აშშ დოლარი (კ. ციურიხი, შვეიცარია (კ-ის მეშვეობით, ანგარიშის №...));

ბ) 160 000 000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ცნობილ თანხას, დაკავშირებულს 2011 წლის 14-დან 18 მარტამდე პერიოდში ო-ის მიერ საკუთარი სახელით ა. ეი. დი-სათვის გადახდილ 213 468 750 აშშ დოლართან;

გ) ზემოხსენებული თანხებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი ან მოგება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

გ.ა.) ამ თანხებით ან მათი ნაწილის საშუალებით შეძენილ ნებისმიერ აქტივს;

გ.ბ.) ამ თანხებიდან წარმოშობილ ნებისმიერ პროცენტს, შემოსავალს ან დივიდენდს.

2.2. სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების გამოცემამდე ვ. გ-ას აეკრძალა:

ა) ინგლისისა და უელსის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული 160 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ნებისმიერი აქტივის ღირებულების შემცირება;

ბ) ტრასტის ან მსგავსი სამართლებრივი სუბიექტის მეშვეობით მიღებული პროცენტის (ინტერესი), მათ შორის ნებისმიერი ინტერესის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დანიშვნის, დისკრეციის ან სხვაგვარი უფლებამოსილების გამოყენების შედეგად, შემცირება.

2.3. ეს ბრძანება არ უკრძალავს ვ. გ-ას საცხოვრებელი ხარჯების სახით დახარჯოს კვირაში 1 000 ფუნტ სტერლინგი, ასევე, გაიღოს გონივრული თანხა იურიდიული კონსულტაციისათვის საკუთარი ინტერესების წარმოსადგენად იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) ასეთი ხარჯები არ გაიღება ზემოხსენებული პარაგრაფით (ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 2.1. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) დაყადაღებული ფულიდან ან/და აქტივებიდან;

ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, ხარჯების გაღებამდე ვ. გ-ა ვალდებულია შეატყობინოს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს ფულის წარმომავლობის შესახებ;

გ) წინამდებარე ბრძანება არ უკრძალავს ვ. გ-ას მისი აქტივების რაიმე სახით განკარგვას საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პროცესში, გარდა იმ ფულისა და/ან აქტივების განკარგვისა, რომელიც დაყადაღებულია ზემოხსენებულ პარაგრაფში (ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 2.1. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) განსაზღვრული ქონების დაყადაღების შესახებ ბრძანების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის ან/და აქტივების საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პროცესში განკარგვამდე ვ. გ-ამ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენელს;

დ) ვ. გ-ას შეუძლია შეუთანხმდეს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს ზემოთ განსაზღვრული სახარჯო ფულის ოდენობის გაზრდაზე ან წინამდებარე ბრძანებაში რაიმე სხვა სახის ცვლილებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ასეთი შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

2.4. წინამდებარე ბრძანება არ ზღუდავს ნებისმიერ ბანკს გამოიყენოს ჩათვლის უფლება, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს წინამდებარე ბრძანების შესახებ შეტყობინების მიღებამდე მოპასუხისათვის გაცემულ რომელიმე კრედიტთან დაკავ-

შირებით.

2.5. არც ერთ ბანკს არ ესაჭიროება მოპასუხის მიერ ფულის გამოტანასთან დაკავშირებული განცხადების შესახებ ინფორმაციის მოძიება თუ ასეთი გამოტანა ნებადართულია წინამდებარე ბრძანებით.

2.6. წინამდებარე ბრძანების პირობები ძალაშია დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის იურისდიქციის გარეთ მყოფი მოპასუხის ან მინდობილობის საფუძველზე მოქმედი მისი თანამდებობის პირებისა და აგენტების მიმართ, ასევე, ნებისმიერი პირის მიმართ, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ქმედებას ან უმოქმედობას ამ იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოადგენს ან ხელს უწყობს ამ ბრძანების პირობების დარღვევას, ასევე, ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, თუ ეს ბრძანება აღსრულებადია ან აღსრულებულია ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ.

2.7. მოპასუხე ვ. გ-ას აეკრძალა სს „ლ-ში“ (საქართველო) არსებული ანგარიშის №GE81LB... რაიმე ფორმით განკარგვა ან ღირებულების შემცირება.

3. საქართველოში, ქ.თბილისში (0179) ფ-ის 32-ში მდებარე №27 ბინაზე დაწესებული შეზღუდვის ნაწილში დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობის გამო.

4. იმ აკრძალვების ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქონებას/ფულად სახსრებსა და საკრედიტო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებს „ო-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო-ისა“ და სს „ო-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანია) შუამდგომლობა დარჩეს განუხილველად საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არარსებობის გამო.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ა-3226-შ-82-2017

14 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

განმცხადებლების მოთხოვნა – ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხე ა. გ-ს მოსარჩელე ტ. პ-ის სასარგებლოდ, დაუბრუნებელი ფულადი სახსრების სახით, დაეკისრა 16381,27 ევროს, 2930,40 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; მოსარჩელე ი. პ-ს სასარგებლოდ – 16381,27 ევროს, 2930,40 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; მოსარჩელე ს. ი-ს სასარგებლოდ – 16104,58 ევროს, 2881,17 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; მოსარჩელე კ. გ-ს სასარგებლოდ – 12923,4 ევროს, 2312,05 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1

ავგისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე.

2. ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებით მოპასუხე ა. გ-ს დაეკისრა მოსარჩელების – ტ. პ-ის, ი. პ-ს, ს. ი-სა და კ. გ-ს სასარგებლოდ ადვოკატის დახმარების ხარჯების გადახდა, რომელიც შეადგენს 1558 ევროს, ასევე 1746,40 ევროს ოდენობით საგერბო მოსაკრებლისა და თარგმანის ხარჯების ასანაზღაურებლად – 453 ევროს გადახდა.

3. ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, ამასთან, ტ. პ-ის, ი. პ-ს, ს. ი-სა და კ. გ-ს სასარგებლოდ მოპასუხე ა. გ-ს სააპელაციო სასამართლოს საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად დაეკისრა 320 ევროს, ე.ი. თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 80-80 ევროს გადახდა.

4. მოსარჩელების ტ. პ-ის, ი. პ-ს, ს. ი-სა და კ. გ-ს წარმომადგენელმა ლ. მ-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობის ავტორების განცხადებით, ლიტვის სააღსრულებო ბიუროს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლებზე ლიტვის რესპუბლიკაში არ მიმდინარეობს წარმოება, გამომდინარე იქედან, რომ მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს საქართველოში.

5. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ლიტვის რესპუბლიკის აღსრულების ბიუროს მიერ აღსრულებადი საქმეების შესახებ გაცემული, აპოსტილით დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, რომ საქმეში წარმოდგენილი ვილნიუსის საოლქო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე, კრედიტორისათვის დაუბრუნებელი (ამოუღებელი) ვალი (ვალი და პროცენტი) შეადგენს 92983,31 ევროს, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილების, ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების აღსრულება არ მომხდარა ამ გადაწყვეტილე-

ბების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინებით კ. გ-ს, ტ. პ-ის, ი. პ-სა და ს. ი-ს შუამდგომლობა ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილების, ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნას განსახილველად; განჩინებით დადგინდა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების გაგზავნა მონინალმდეგე მხარისთვის, ასევე, მას განესაზღვრა, რომ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში აქვს აღნიშნულ შუამდგომლობაზე თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა.

7. 2017 წლის 13 ნოემბერს შუამდგომლობის ავტორების წარმომადგენელმა ლ. მ-ემ, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, მოითხოვა მონინალმდეგე მხარის – ა. გ-ს საკუთრებაში არსებულ მშენებარე ფართზე, მდებარე ქალაქ ბათუმში, შ-ის ქუჩა №...-ში, მშენებარე სასტუმრო კომპლექსში (ფართი: 39,25 კვ.მ. სართული ... ბინა №..., ბლოკი „...“, ნიშნული 33.2, საკადასტრო კოდი: №...), უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ყადაღის დადება.

8. შუამდგომლობის ავტორების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ლიტვის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსრულების მიზნით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, გამომდინარე იქედან, რომ მონინალმდეგე მხარე თავს არიდებს მის მიმართ არსებული დავალიანების გადახდას და მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში ლიტვის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების თაობაზე დანყებული საქმის წარმოების შესახებ, იგი გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რაც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

9. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კანონის 70-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღნიშნულ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ამასთან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ ეროვნული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით განიხილავს.

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

14. მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორების მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოშია აღსასრულებელი, თუმცა საქმე შეეხება არა სარჩელის, არამედ – უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფას.

15. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პროცესუალური შედეგის საქართველოს სახელმწიფოს მიერ მარტოოდენ ცნობამ, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვე-

ვაში აზრი დაკარგოს, თუკი მხარე, რომლის სასარგებლოდაც ეს გადაწყვეტილება გამოვიდა, საპროცესო უზრუნველყოფის ბერკეტის გარეშე აღმოჩნდება. შედეგად, ასეთი მხარის კანონიერი უფლებები და ინტერესები მნიშვნელოვნად დაზიანდება, რაც კანონმდებლის ინტერესს ეწინააღმდეგება.

16. სარჩელის/გადანწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სამოქალაქო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს ან სხვაგვარად შეეშალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება. სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავ დროს, მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას, ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52).

17. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). მოცემულ შემთხვევაში მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილი იქნება, თუკი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი იმგვარად განიმარტება, რომ მისი რეგულირების ქვეშ სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასაც ვიგულისხმებთ. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ თავად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი, რომელიც უფლებას ანიჭებს ეროვნულ სასამართლოს უზრუნველყოს გადაწყვეტილების აღსრულება, მიუთითებს გადაწყვეტილების აღსრულებისას სარჩელის უზრუნველყოფის ნორმების გამოყენებაზე, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენს ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის იმგვარად განმარტებას, რომ მისი რეგულირების ქვეშ სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად იგულისხმებოდეს უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების უზრუნველყოფაც (სუსგ №ა-4330-შ-121-2016, 2016 წლის 6 დეკემბერი).

19. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს, ხოლო კოდექსის 372-ე მუხლი ადგენს, რომ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს ქვემდგომ ინსტანციებში დადგენილი საქმის განხილვის მარეგულირებელი ყველა იმ ნორმით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელ წესებს.

20. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე

მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისას XXIII თავით მოწესრიგებული სარჩელის უზრუნველყოფის ნორმების გამოყენებას.

23. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება.

24. აქვე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს სასამართლოს იმგვარი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, რომელიც კანონიერ ძალაში არ არის შესული ან გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, ხოლო შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები უკვე კანონიერ ძალაშია შესული, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმის განხილვა კანონით განერილ გარკვეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული, რისთვისაც განსაზღვრული ვადაა დადგენილი. ასეთ დროს კი, მოგებული მხარის საპროცესო უზრუნველყოფის მექანიზმის გარეშე დატოვება გაუმართლებელია (სუსგ №ა-4330-შ-121-2016, 2016 წლის 6 დეკემბერი).

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე

მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის იმ მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება (სუსგ №ას-449-431-2016, 2016 წლის 7 ივლისი).

26. მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანია კანონიერ ძალაში შესული ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს მოსარჩელე ტ. პ-ის სასარგებლოდ, დაუზრუნებელი ფულადი სახსრების სახით, დაეკისრა 16381,27 ევროს, 2930,40 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; მოსარჩელე ი. პ-ს სასარგებლოდ – 16381,27 ევროს, 2930,40 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; მოსარჩელე ს. ი-ს სასარგებლოდ – 16104,58 ევროს, 2881,17 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცესო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; მოსარჩე-

ლე კ. გ-ს სასარგებლოდ – 12923,4 ევროს, 2312,05 ევროს პროცენტისა და 5%-ის ოდენობის წლიური საპროცენტო პროცენტის გადახდა სასამართლო დავის დაწყების დღიდან, 2011 წლის 1 აგვისტოდან სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; ასევე ტ. პ-ის, ი. პ-ს, ს. ი-სა და კ. გ-ს სასარგებლოდ ადვოკატის დახმარების ხარჯების გადახდა, რომელიც შეადგენს 1558 ევროს, ასევე 1746,40 ევროს ოდენობით საგერბო მოსაკრებლისა და თარგმნის ხარჯების ასანაზღაურებლად – 453 ევროს გადახდა; სააპელაციო სასამართლოს საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 320 ევროს, ე.ი. თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 80-80 ევროს გადახდა.

27. შუამდგომლობის ავტორების წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის მის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა გამომწვეულია მონინალმდეგე მხარის მიერ ამ ქონების გასხვისების საშიშროებით, რაც ხელს შეუშლის აღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულებას. ამდენად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

28. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ლიტვის რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედოს მონინალმდეგე მხარის საკუთრებაში არსებულ მშენებარე ფართს, მდებარე ქალაქ ბათუმში, შ-ის ქუჩა №...-ში, მშენებარე სასტუმრო კომპლექსში (ფართი: 39,25 კვ.მ. სართული ... ბინა №..., ბლოკი „...“, ნიშნული 33.2, საკადასტრო კოდი: №...).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე, 68-ე, 70-ე და მე-20 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, 191-ე, 193-ე, 198-ე, 271-ე, 372-ე და 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. კ. გ-ს, ტ. პ-ის, ი. პ-სა და ს. ი-ს წარმომადგენლის ლ. მ-ის

განცხადება ლიტვის რესპუბლიკის ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების, ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2016 წლის 9 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ყადაღა დაედოს მოწინააღმდეგე მხარის – ა. გ-ს საკუთრებაში არსებულ მშენებარე ფართს, მდებარე ქალაქ ბათუმში, შ-ის ქუჩა №...-ში, მშენებარე სასტუმრო კომპლექსში (ფართი: 39,25 კვ.მ. სართული ... ბინა №..., ბლოკი „...“, ნიშნული 33.2, საკადასტრო კოდი: №...);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის დამაპროვანებელი გარემოვაპი

განჩინება საქართველოს სახელით

№ა-2631-შ-65-2016

24 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მ. ფ-ეს ა. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სხვისი ფულადი თანხების სარგებლობისთვის პროცენტების გადახდა 2014 წლის 18 აგვისტოდან 2015 წლის 20 ნოემბრამდე პერიოდში, 263 543 რუბლისა და 20 კაპიკის ოდენობით, ასევე საქართველოში მოსარჩელის ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებული ხარჯი – 514 923 რუბ-

ლისა და 80 კაპიკის ოდენობით, სულ 778 467 (შვიდას სამოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდაშვიდი) რუბლი.

2. ა. შ-ის წარმომადგენელმა დ. კ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

3. შუამდგომლობაზე დართული რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2016 წლის 26 მაისს.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 ივლისის განჩინებით ა. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

5. 2016 წლის 5 აგვისტოს მონინალმდეგე მხარემ – მ. ფ-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების ცნობის საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვა, ამასთან, განმარტა, რომ იგი სათანადო წესით არ ყოფილა ინფორმირებული რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის სხდომის შესახებ, რომელზეც სასამართლომ მის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება, შესაბამისად, დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება. მონინალმდეგე მხარის განმარტებით, ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 30 ივლისის გზავნილით.

6. მონინალმდეგე მხარემ სადავო გახდა ასევე რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით მისთვის თანხების დაკისრების კანონიერება, მისი განმარტებით, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მას დაეკისრა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხების გადახდა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ცნო და სააღსრულებო ფურცელი გასცა 2015 წლის 9 სექტემ-

ბერს. 2015 წლის 7 ოქტომბერს მას გაეგზავნა წინადადება გა-
დანყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ და მან
დადგინილ 7-დღიან ვადაში, 2015 წლის 12 ოქტომბერს, ნება-
ყოფლობით აღასრულა იგი. შესაბამისად, მას გადანყვეტილე-
ბის აღსრულების ვადები არ დაურღვევია. თუმცა, მოწინააღ-
მდეგე მხარის მტკიცებით, აღნიშნული ვადების დარღვევის
შემთხვევაშიც კი, შუამდგომლობის ავტორი შეიძლება შედავე-
ბოდა მას მხოლოდ 2015 წლის სექტემბრიდან 2015 წლის 12 ოქ-
ტომბრამდე პერიოდზე (იმ დღიდან, რაც გადანყვეტილების არ-
სებობა გახდა მისთვის ცნობილი – ამ გადანყვეტილების მის
მიერ აღსრულებამდე).

7. მოწინააღმდეგე მხარემ სადავო გახადა ასევე რუსეთის
ფედერაციის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის სა-
კითხიც. მისი განმარტებით, წარმოდგენილი დავა არ გამომდი-
ნარეობდა ხელშეკრულებიდან, რადგან მას დაკისრებული ჰქონ-
და პროცენტი სხვისი ფულადი თანხებით სარგებლობისთვის,
რომლის საფუძველსაც არ წარმოადგენდა ხელშეკრულება. მო-
წინააღმდეგე მხარის მითითებით, ასეთი სახის დავას საქართვე-
ლოს სამოქალაქო კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს. ამავე
დროს, მოწინააღმდეგე მხარემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იგი
იყო საქართველოს მოქალაქე და აღნიშნული თანხის გადახდის
აღსრულებაც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განხორციე-
ლებულიყო. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სასამართლო
არ იყო კომპეტენტური, განეხილა წარმოდგენილი დავა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 ოქ-
ტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის
განცხადება და დადგინდა ა. შ-ის შუამდგომლობის განხილვა
ზეპირი მოსმენით.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატამ რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენ-
ტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გა-
დანყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი განიხილა ზეპირ-
ი მოსმენით 2016 წლის 26 ოქტომბერს, 30 ნოემბერსა და 14
დეკემბერს გამართულ სხდომებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამ-
დგომლობასა და თანდართულ მასალებს, მოუსმინა მხარეთა ახ-
სნა-განმარტებებს, მივიდა დასკვნამდე, რომ ა. შ-ის შუამდგომ-
ლობა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალუ-

რი რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

11. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ, მხარეთა პოზიციების ზეპირი მოსმენის შედეგად, განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების ძირითადი საგანია რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის სხდომის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირებულობა.

12. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვნად არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება.

13. იმავე შინაარსის ნორმას შეიცავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

15. შესაბამისად, როგორც ზემოაღნიშნული კონვენცია, ისე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევა საქმის განხილვასთან დაკავშირებით მხარის ინფორმირებულობას (საქმე №ა-3667-შ-97-2013, 2014 წლის 14 აპრილი).

16. საკასაციო პალატა მიუთითებს შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14

აპრილის გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვით, მოპასუხე მ. ფ-ე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა, მისი ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის დადგენა შეუძლებელი იყო და ზუსტი მისამართი ცნობილი არ იყო. ამასთან, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, მიუხედავად მის მიერ არაერთხელ მიღებული ზომებისა, დაკავშირებოდა მოპასუხეს, მოპასუხის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინებები იგნორირებულ იქნა მის მიერ, რაც მეტყველებდა მოპასუხის მიერ საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელი იყო საქმის განხილვა მოპასუხის გარეშე. სასამართლომ, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე, მოპასუხეს წარმომადგენლად დაუნიშნა ადვოკატი, რომელიც სასამართლო სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგი იყო.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოსაზრების გაზიარების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თავად რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებიდან ცალსახად არ დგინდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ სადავოდ გამხდარი საკითხი, კერძოდ, ის გარემოება, რომ 2016 წლის 14 აპრილის სასამართლო პროცესის თაობაზე იგი ინფორმირებული იყო.

18. რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერებს, კერძოდ, წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში მითითებულია იმის თაობაზე, რომ მ. ფ-ემ სასამართლოს წერილობითი განცხადებით აცნობა მისი იმჟამინდელი მისამართი:ის რაიონის სოფელი, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნული გადაწყვეტილების იმ ჩანაწერთან, რომლის თანახმად, მოპასუხის ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის დადგენა შეუძლებელია და ზუსტი მისამართი უცნობია.

19. შუამდგომლობის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილია მოწინააღმდეგე მხარის განცხადება, რომლითაც მან, საქმის მსვლელობის დროს, 2016 წლის 12 თებერვალს, მიმართა ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს მოსამართლე რ-ს და, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ მისმა ყოფილმა ადვოკატმა, თ. წ-მა, ქალაქ ორენბურგის ცენტრალურ-

რი რაიონული სასამართლოდან თავის ელექტრონულ ფოსტაზე მიიღო გზავნილი. აღნიშნული გზავნილის თანახმად, მ. ფ-ე 2016 წლის 9 თებერვალს დაბარებული იყო ქალაქ ორენბურგის ცენტრალურ რაიონულ სასამართლოში ა. შ-ის სარჩელის განხილვის გამო. თ. წ-მა მ. ფ-ეს გზავნილი ჩააბარა 2016 წლის 29 იანვარს. აღნიშნულის მიზეზად მ. ფ-ემ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ იგი არისს რაიონის სოფელ ... მცხოვრები, ხოლო თ. წ-ლი კი ცხოვრობს თბილისში. მ. ფ-ე წერილში უთითებდა, რომ თ. წ-ლს გაეგზავნა მხოლოდ სარჩელი, სარჩელზე თანდართული დოკუმენტები კი მას არ გაეგზავნია და, გამომდინარე იქედან, რომ მისთვის უცნობი იყო თანდართული დოკუმენტების შინაარსი, შეუძლებელი იყო სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მისი პოზიციის დაფიქსირება. მ. ფ-ე შუამდგომლობდა სასამართლოს წინაშე, რომ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მისთვის გაეგზავნათ საქართველოში, ... რაიონის სოფელ ... -ში.

20. საქმეში წარმოდგენილია ასევე ამონაბეჭდი ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს ელექტრონული ფოსტიდან, რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ ქალაქ ორენბურგის ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 22 იანვარს თ. წ-ის ელექტრონულ ფოსტაზე გააგზავნა გარკვეული სახის დოკუმენტები.

21. საქმეში დამატებით წარმოდგენილია ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს ცნობები (უწყებები), რომლებშიც მითითებულია მისამართი: საქართველო, ... რაიონი, სოფელი და, რომლითაც მ. ფ-ე 2016 წლის 13 იანვარსა და 2016 წლის 23 მარტს დაბარებულია ქალაქ ორენბურგის ცენტრალურ რაიონულ სასამართლოში, თუმცა, არ არის წარმოდგენილი ზემოაღნიშნული უწყებების ადრესატისთვის ჩაბარების ან ჩაუბარებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

22. საქმეში არსებობს, ასევე, ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს ცნობა (უწყება), რომელიც გაგზავნილია მისამართზე: საქართველო, ... რაიონი, სოფელი ... და, რომლითაც მ. ფ-ე დაბარებულია სასამართლოში 2016 წლის 14 აპრილს, ამასთან, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, წარმოდგენილია ასევე უკუგზავნილი, რომელზეც შესრულებულია ხელმოწერა 2016 წლის 7 აპრილს.

23. საკასაციო პალატის მიერ ზეპირი მოსმენით გამართულ სხდომაზე, ზემოაღნიშნული მტკიცებულების გამოკვლევის შე-

დეგად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ უკუგზავნილზე შესრულებული ხელმოწერითა და პირადი ნომრით არ დასტურდება, რომ გზავნილი ჩაიბარა მ. ფ-ემ (საქმეში წარმოდგენილ ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობაში მ. ფ-ის პირადი ნომერი არ ემთხვევა უკუგზავნილში იმ პირის პირად ნომერს, ვინც აღნიშნული უწყება ჩაიბარა). ამასთან, უკუგზავნილში არც ის არის მითითებული, თუ რა დამოკიდებულებაშია უწყების ჩამბარებელი პირი ადრესატთან, ასევე არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე. გარდა ამისა, შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს ცნობაში (უწყებაში), რომლითაც რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ აცნობა მონინალმდევე მხარეს 2016 წლის 14 აპრილის სხდომის შესახებ, არ არის მითითებული, რომ იგი სასამართლო პროცესზე დაბარებულია, როგორც მოპასუხე, ა. შ-ის სარჩელზე.

24. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების, კერძოდ, თავად შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მ. ფ-ის 2016 წლის 12 თებერვლის წერილისა და სასამართლო უწყებების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს მიერ მითითებული გარემოება, რომ მოპასუხე იგნორირებას უკეთებდა სასამართლოს მიერ გაგზავნილ შეტყობინებებს, არ დასტურდება.

25. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იყო ინფორმირებული 2016 წლის 14 აპრილის სასამართლო სხდომის თაობაზე, რაც „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს აღნიშნული კონვენციის ხელშემკვერელი მხარის, მოცემულ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს.

26. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ასევე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლზე, რომლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებ-

რივ პრინციპებს და განმარტავს, რომ სასამართლო პროცესის თაობაზე მოპასუხის ინფორმირებულობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის – შეჯიბრებითი სამართალწარმოების წინაპირობაა.

27. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხილეთ, რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz-Mateos v. Spain), 23/06/1993, § 63, Series A no. 262). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადწყვეტილებაზე (იხილეთ „ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ“ (Lobo Machado v. Portugal), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს იმას, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხილეთ „დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ“ (Dilipak and Karakaya v. Turkey), nom. 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის, სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (იხილეთ „ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ“ (Ozgur-Karaduman v. Germany (dec.), no. 4769/02, 26/06/2007; „ვებერი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება), (Weber v. Germany (dec.), no. 30203/03, 02/10/2007; და „ზადოვნიკი სლოვენის წინააღმდეგ“ (Zavodnik v. Slovenia), no. 53723/13, § 70, 21/05/2015).

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე, ხოლო ამავე კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებე-

ბი. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რომელიც რაიმე ფორმით, მათ შორის საქმის განხილვაზე მიუწვევლობით არ შეიძლება შეეზღუდოს სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტებს (საქმე №ა-3667-შ-97-2013, 2014 წლის 14 აპრილი).

29. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ, მართალია, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს სასამართლომ დაუნიშნა წარმომადგენელი, თუმცა აღნიშნული ფორმით არაინფორმირებული მოპასუხის საქმის განხილვაში ჩაბმას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, იმისთვის რათა დაცული იქნეს მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, რაც შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მოპასუხის ძებნას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე (სსსკ-ის 51-ე მუხლი) (საქმე №ა-3667-შ-97-2013, 2014 წლის 14 აპრილი).

30. ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, ეწინააღმდეგება ასევე საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რადგან საქმის ამგვარი წესით განხილვა ეწინააღმდეგება მოპასუხის უფლებას თავისი ნების თავისუფალი გამოვლენით შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა სასამართლოში საქმის განხილვისას (საქმე №ა-3667-შ-97-2013, 2014 წლის 14 აპრილი).

31. მონინააღმდეგე მხარის მიერ თავის პასუხში გამოთქმულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს (იხ. მოცემული განჩინების მე-7 პუნქტი), საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით, გამომდინარეობდა სწორედ მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან, კერძოდ, სასამართლომ მონინააღმდეგე მხარეს დააკისრა სხვისი ფულადი თანხებით სარგებლობისთვის პროცენტის გადახდა, რაც წარმოადგენს ფულადი ვალდებულების გადახ-

დის ვადის გადაცილებისას მოვალისთვის პროცენტის გადახდის დაკისრების მსგავს ინსტიტუტს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაყოფილია პერიოდებად, თუმცა, საერთო ჯამში, მხარეს პროცენტი დაკისრებული აქვს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. შესაბამისად, სახეზე გვაქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ძირითადი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაც განიხილა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილება ცნო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 10 სექტემბერს, შესაბამისად, სწორედ რუსეთის ფედერაციის სასამართლოს უნდა განეხილა ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი სასარჩელო მოთხოვნაც.

32. რაც შეეხება მონინააღმდეგე მხარის მიერ თავის პასუხში გამოთქმულ პრეტენზიას, რომლითაც მან სადავო გახადა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით მისთვის თანხების დაკისრების კანონიერება (იხ. მოცემული განჩინების მე-6 პუნქტი), აღნიშნული საკითხის შესწავლა არ შედის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების სფეროში.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

განჩინება საქართველოს სახელით

№ა-3937-ბ-15-2013

13 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა

აღწერილობითი ნაწილი:

1. დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინ-
სტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ
საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით მოსარჩე-
ვლები: „ო-ის“, „ო-ისა“ და სს „ო-ის“ (მოსარჩევლების) განცხა-
დების საფუძველზე მიღებულ იქნა განკარგულება მოპასუხე ვ.
გ-იას წინააღმდეგ ქონების დაყადაღების შესახებ.

2. მოსარჩევლები: „ო-ის“, „ო-ისა“ და სს „ო-ის“ წარმომად-
გენელმა ვ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზე-
ნაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული ბრძანების
(განკარგულების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღ-
სრულება.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით „ო-ის“ (ბრი-
ტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო-
ისა“ და სს „ო-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომ-
პანია) წარმომადგენელ ვ. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილ-
და, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღ-
სასრულებლად დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს
პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კო-
მერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება მო-
პასუხე ვ. გ-იას ქონების დაყადაღების შესახებ.

4. 2013 წლის 20 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს გან-
ცხადებით მომართეს ვ. გ-იამ და ნ. ც-ემ და სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლებმა მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

4.1. ვ. გ-ია წინამდებარე დავაზე წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიუხედავად იმისა, საკასაციო სასამართლო იხილავდა არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისა თუ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას, ვ. გ-იას უფლება ჰქონდა, ინფორმირებული ყოფილიყო საქმის განხილვის თაობაზე. გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ამავე კანონით გათვალისწინებული პროცედურა და ნორმატიული აქტი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების შინაარსობრივ განსხვავებას არ ითვალისწინებს.

4.2. მართალია, დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე 2013 წლის 11 თებერვლის განჩინების მე-6 პარაგრაფში აღნიშნულია ვ. გ-იას ვალდებულებაზე, არ გაასხვისოს აქტივები, მათ შორის ისეთი, რომელიც, შესაძლოა, მის სახელზე არ იყოს რეგისტრირებული, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დათქმა მიუთითებს მხოლოდ იმგვარ აქტივებზე, რაც ვ. გ-იას საკუთრებას წარმოადგენს და არა სხვა პირთა ქონებაზე.

4.3. საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფციას, რაც იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრეა პირი, რომელიც მარეგისტრირებელ ორგანოში ასეთადაა აღრიცხული. განჩინებაში მითითებული ქონება – საქართველო, ქ.თბილისი, 0179, ფ-ის 32, ბინა №27, რომლის თაობაზეც გაცემულია დაყადაღების განკარგულება, 2006 წლიდან ეკუთვნის და უწყვეტადაა რეგისტრირებული ნ. ც-ის საკუთრებად. ის გარემოება, რომ ნ. ც-ე წარმოადგენს უძრავი ქონების ერთადერთ მესაკუთრეს, ამასთან, რაიმე ვალდებულება წინამდებარე დავის თაობაზე განმცხადებლებს შორის არ არსებობს, მიუხედავად უცხო ქვეყნის მიერ გადაწყვეტილებაში ზემოაღ-

ნიშნული ქონების მითითებისა, ამ ნაწილში გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივ პრინციპებს, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელთა განმარტებით, ვინაიდან საქმის განხილვის თაობაზე არ იყო ინფორმირებული ნ. ც-ე, რომლის უფლებებსაც ასევე შეეხო გადანყვეტილება, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების ბათილად ცნობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. განმცხადებლებმა მიუთითეს იმ გარემოებაზეც, რომ საკასაციო პალატის განჩინება აღსრულებული არ არის, ნ. ც-ის ქონებას არ ადევს ყადაღა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, ვ. გ-ისა და ნ. ც-ის განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ განმცხადებელთა მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 70-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების მოქმედ სამართალთან შესაბამისობის კვლევის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

2. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიღებული განჩინების ბათილად ცნობის საკითხი, რის გამოც, ზემოაღნიშნული ნორმების დანაწესებიდან გამომდინარე, საკითხის გადანყვეტისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესები.

3. საქმის მასალებით დასტურდება, რომ:

ა) დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინ-

სტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით მოსარჩეულები: „ო-ის“, „ო-ისა“ და სს „ო-ის“ განცხადების საფუძველზე მიღებულ იქნა განკარგულება მოპასუხე ვ. გ-იას წინააღმდეგ ქონების დაყადაღების შესახებ;

ბ) „ო-ის“, „ო-ისა“ და სს „ო-ის“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება;

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით „ო-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო-ისა“ და სს „ო-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანია) შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება მოპასუხე ვ. გ-იას ქონების დაყადაღების შესახებ;

დ) უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთ ობიექტს ასევე წარმოადგენს ქონება, მდებარე საქართველოში, თბილისი, 0179, ფ-ის 32, ბინა №27;

ე) უდავოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება შესულია კანონიერ ძალაში მისი მიღებიდან – 2013 წლის 11 თებერვლიდან.

4. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართეს მოწინააღმდეგე მხარე ვ. გ-იამ, ასევე ნ. ც-ემ და მოითხოვეს ზემოაღნიშნული განჩინების ბათილად ცნობა, იმ საფუძველით, რომ ისინი საქმის განხილვაზე მონაწილე არ ყოფილან, ამასთანავე, საქართველოში, ქ.თბილისში, ფ-ის 32-ში მდებარე №27 ბინა არ წარმოადგენს ვ. გ-იას საკუთრებას და მიუხედავად უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით ამ ქონებაზე უზრუნველყოფის მიქცევისა, სხვისი საკუთრების უზრუნველყოფის ღონისძიების ობიექტად გამოყენებით და ამ ნაწილში უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტე-

რიტორიაზე ცნობით დაირღვა კანონის მოთხოვნა. იმ ფაქტის მტკიცების მიზნით, რომ სადავო ქონება წარმოადგენს განმცხადებელ ნ. ც-ის და არა ვ. გ-იას საკუთრებას, განცხადებას ერთვის საჯარო რეესტრის ამონაწერი, ასევე ამ ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დადასტურებულია, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ქონება 2006 წლის 18 მაისიდან რეგისტრირებულია სწორედ ნ. ც-ის საკუთრებად და ქონებაზე სხვა პირის უფლება რეგისტრირებული არ ყოფილა.

5. საქმის მასალებით დასტურდება გარემოება იმის შესახებ, რომ უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის განხილვაზე ინფორმირებული იყო მხოლოდ შუამდგომლობის ავტორთა წარმომადგენელი გ. გ-ი.

6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე; პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადანყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე. ნორმის მე-2 ნაწილით კი, კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლებით გადანყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელია, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების ნამოყენება საქმის განხილვისას. ნორმის ამკრძალავი ეს დებულება საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

7. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმადაც ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას. ამავე კანონის 68-ე და მომდევნო მუხლებით კი, რეგულირებულია უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხი და დადგენილია, რომ საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება,

თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს (71.3 მუხლი). კანონის არც ერთი დანაწესით არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა შინაარსობრივი დიფერენციაცია, რაც, პალატის შეფასებით, საკითხის განხილვის თაობაზე შუამდგომლობის ავტორის მონიშნულ მდგე მხარის უპირობო ინფორმირების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამ გარემოების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს განმცხადებელ ვ. გ-ის არგუმენტს მისი საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირების აუცილებლობის შესახებ და თვლის, რომ მის მიმართ არსებობს მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

8. რაც შეეხება ნ. ც-ის მოთხოვნასა და მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას, რომლითაც უტყუარად დასტურდება ქ.თბილისში, ფ-ის 32-ში მდებარე №27 ბინაზე განმცხადებლის საკუთრების უფლება, საკასაციო პალატა აღნიშნავს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვის ეტაპზე საკასაციო სასამართლოსათვის უცნობი იყო ზემოაღნიშნული გარემოება, ამასთან ის არც მონიშნულ მდგე მხარედ ყოფილა მითითებული და არც თავად უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება შეიცავს დათქმას განმცხადებლის უფლების თაობაზე, მაინც არსებობს მისი მოთხოვნის ნაწილში განცხადების დაკმაყოფილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველები.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 431-ე მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება ბათილად უნდა იქნას ცნობილი და განახლდეს საქმის წარმოება, შესაბამისად, როგორც თანმდევნი შედეგი, უნდა გაუქმდეს ამავე განჩინების აღსრულების მიზნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2013 წლის 15 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

10. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებას ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რომელთა თანახმადაც, განმცხადებლებმა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საკითხის განხილვისათვის სახელმწიფო ბიუჯე-

ტის სასარგებლოდ გადაიხადეს 600 ლარი (300-300 ლარი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 50 ლარს. ამდენად, თითოეული განმცხადებლის მიერ ზედმეტად გადახდილია 250-250 ლარი, სულ 500 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლისა და 42-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატა თვლის, რომ განმცხადებლებს უნდა დაუბრუნდეთ ვ. რ-ის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 42-ე, 422-ე, 430-ე, 431-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. გ-იასა და ნ. ც-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის №ა-4678-შ-88-2012 განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის №ა-4678-შ-88-2012 განჩინება და განახლდეს საქმის წარმოება.

3. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 15 მარტს №ა-4678-შ-88-2012 განჩინების იძულებით აღსრულების მიზნით გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

4. საქმის საერთო წესით განხილვის მიზნით, შუამდგომლობა და თანდართული მასალები გაეგზავნოს ვ. გ-იას.

5. მასვე განემარტოს, რომ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა.

6. თუ მონინააღმდეგე მხარე შუამდგომლობის მხარეთა დასწრებით განხილვას არ მოითხოვს საქმის განხილვა დაინიშნება ზეპირი მოსმენის გარეშე.

7. ვ. გ-იასა და ნ. ც-ეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეთ 2013 წლის 20 დეკემბერს ვ. რ-ის მიერ №8 და №9 საგადახდო დავალებებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან ზედმეტად გადახდილი 250-250, სულ 500 ლარი.

8. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

განჩინება საქართველოს სახელით

№ა-5069-შ-130-2017

26 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე.გასიტაშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობასა „P-ე“ (შემდეგში: მოსარჩელე, შპს, გამყიდველი, კრედიტორი ან შუამდგომლობის ავტორი) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ბ-ი“ (შემდეგში: მოპასუხე, შპს, მყიდველი, მოვალე ან მონინალმდგევე მხარე) შორის, 2016 წლის 24 აგვისტოს, გაფორმდა ნავთობპროდუქტების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება. ნასყიდობის საგანი იყო ვაკუუმის გაზოილი, მაზუთი, ღუმელის სანვავი (საერთო წონა 951.838 ტონა), ნასყიდობის საფასური 211 783.96 აშშ დოლარით განისაზღვრა.

2. გამყიდველმა სრულად შეასრულა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ხოლო მყიდველმა ნასყიდობის საფასური ნაწილობრივ /158 200 აშშ დოლარი/ გადაიხადა.

3. გამყიდველმა სარჩელი აღძრა მყიდველის წინააღმდეგ და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება, კერძოდ, მოპასუხისათვის კრედიტორის სასარგებლოდ 53 583.96 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

4. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ მიწვეული სასამართლო განხილვაზე. მოპასუხე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ შეუტყობინებია სასამართლოსათვის. უცხო ქვეყნის სასამართლომ მოპასუხის სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნია, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა – დასაბუთებულად.

5. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ხელშეკრულება, სალაროს ორდერები, სარკინიგზო ზედნადებები) დადასტურებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი, რაც გამყიდველის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

6. იქედან გამომდინარე, რომ მოპასუხე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა და არც სარჩელს შეწინააღმდეგებია, უცხო ქვეყნის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მყიდველს გამყიდველის მოთხოვნებზე პრეტენზია არ გააჩნია.

7. მოსარჩელის შუამდგომლობას ერთვის ყაზახეთის სასამართლოს გზავნილი, რომელიც ადასტურებს, რომ 2017 წლის 12 აპრილს მოსარჩელესა და მოპასუხეს გაეგზავნათ უწყება სასამართლო სხდომის 2017 წლის 21 აპრილს, 15:00 საათზე დაინიშნის თაობაზე.

8. 2017 წლის 20 აპრილს უცხო ქვეყნის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხემ და სხდომის სხვა დროისათვის გადადება ითხოვა, რადგან სასამართლო უწყება 2017 წლის 18 აპრილს ჩაჰბარდა და იმავე წლის 21 აპრილის სხდომაზე გამოცხადებას ვერ შეძლებდა. მოპასუხემ ითხოვა სხდომა 2017 წლის 19 მაისის შემდეგ ჩანიშნულიყო.

9. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლომ მოპასუხის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მხარეებს 2017 წლის 4 მაისის უწყებით შეატყობინა, რომ სხდომა 2017 წლის 22 მაისს, 15:30 საათზე გაიმართებოდა (უწყებაში მითითებულია სხდომის დღე, საათი, ადგილი და განმარტება სხდომაზე გამოცხადების სავალდებულოობის თაობაზე).

10. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

11. ყაზახეთის რესპუბლიკის, ატირაუს ოლქის სპეციალიზირებული რეგიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის №2301-17-00-2/709 გადაწყვეტილებით გამოცემული სარჩელი მყიდველის მიმართ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა:

11.1. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა 53 583.96 აშშ დოლარის ოდენობით, რაც 16 747 667 ტენგეს ეკვივალენტია;

11.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლოს მიერ განეული ხარჯების – 502 430 ტენგეს ანაზღაურება სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის;

11.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახდილი საფასურის – 1 000 000 ტენგეს გადახდა.

12. მოსარჩელემ, 2017 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება ითხოვა.

13. შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 დეკემბრის განჩინებით გამოცემული შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

15. შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების ასლი შუამდგომლობისა და თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად მონინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა და განემარტა, რომ აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში აქვს აზრის გამოთქმის უფლება, ასევე, მას შეუძლია, მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

16. მონინააღმდეგე მხარემ, 2018 წლის 15 იანვარს, მომართა უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა მოსაზრება გამოცემული შუამდგომლობასთან დაკავშირებით. მყიდველის განმარტებით, არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდეგში: სპეციალური კანონი), გათვალისწინებული წინაპირობები. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გა-

დანყვეტილების ცნობა არ უნდა მოხდეს, რადგან მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სხდომის თაობაზე. მოპასუხის განმარტებით, მას არ მიეცა შესაძლებლობა საქმის განხილვაში მიეღო მონაწილეობა. მიყვებილი აღნიშნავს, რომ შუამდგომლობას არ ერთვის მოპასუხისათვის უწყების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

17. მოპასუხის განმარტებით უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ უნდა მოხდეს, რადგან ის არ არის კანონიერ ძალაში შესული (სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტი). მოპასუხეს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება არ ჩაბარებია და, შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაც არ გასულა, რადგან გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან იწყება.

18. მონინალმდევე მხარეს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ გამყიდველის შუამდგომლობა, ყაზახეთის რესპუბლიკის, ატირაუს ოლქის სპეციალიზირებული რეგიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის №2301-17-00-2/709 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მხარეთა პოზიციების გაცნობის შედეგად, დადგინდა სადავო საკვანძო საკითხი – უცხო ქვეყნის სასამართლო უწყებისა და საცნობი გადაწყვეტილების მოვალისათვის ჩაბარების ფაქტი.

20. საქმეში წარმოდგენილი უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის, მხარეთა განმარტებების, ერთობლივად გაანალიზებისა და შეჯგერების საფუძველზე უტყუარად დასტურდება, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო უცხო ქვეყანაში დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე.

21. საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების (შემ-

დეგში: ორმხრივი ხელშეკრულება) 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „სასამართლო, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა, არ განიხილავს გადაწყვეტილებას არსებითად, არამედ განიხილავს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობაში“.

22. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმის შესწავლის ძირითადი ნაწილი დაეთმო მოვალისათვის უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყებების ჩაბარების საკითხს არა იმიტომ, რომ აღნიშნულის შესახებ არასაკმარისად იქნა მიჩნეული მეგობარი სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება, არამედ – განსახილველ შემთხვევაში, ორმხრივი ხელშეკრულების 26-ე მუხლის 1.3. ქვეპუნქტით დადგენილი /თუ მხარეს, რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, გადაწყვეტილების გამომტანი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ .../ და სპეციალური კანონის საფუძველზე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გამომრიცხველი წინაპირობების, კერძოდ, 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოწესრიგების /გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოცხადების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები/ გამოკვლევის მიზნით.

23. მოპასუხის მტკიცებები (იხ. ამ განჩინების 16-17 პუნქტები) საგანს წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იქნეს ცნობილი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მოვალე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოცხადების თაობაზე.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 71-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: „სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული განსხვავებული წესის მიხედვით“. ამავ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად: „ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო

უნყება მას უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უნყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უნყებას ადრესატს გადასცემს“.

25. მოპასუხის მტკიცების საწინააღმდეგოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილი არგუმენტები ასახულია წინამდებარე განჩინების 7-9 პუნქტებში.

26. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, განსახილველი შუამდგომლობის დასაბუთებულობის კვლევის დროს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება, მხარისათვის უწყების ჩაბარების თაობაზე, ქმნის გაქარწყლებადა პრეზუმფციას, რომლის გაბათილება, ამ შემთხვევაში, სტანდარტული მტკიცებულებით ვერ მოხდება. მნიშვნელოვანია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მიეცეს საკუთარი პოზიციის დამტკიცების ანუ პრეზუმფციის, როგორც ვარაუდის, გაქარწყლების შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში, სრულად იქნა უზრუნველყოფილი მოპასუხისათვის, თუმცა, მან ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის შუამდგომლობის ავტორისათვის გადაკისრება.

27. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მოპასუხეს 2017 წლის 12 აპრილს გაგზავნილი უნყება 2017 წლის 18 აპრილს ჩაჰბარდა, რასაც თავადაც აცხადებს და ადასტურებს. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ იმავე მისამართზე ჩაჰბარდა მოვალეს უზენაესი სასამართლოს გზავნილი 2018 წლის 10 იანვარს. აღნიშნული გარემოებები სარწმუნოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოპასუხის სწორ მისამართზე იგზავნებოდა სასამართლო გზავნილები. სწორედ ამიტომ, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს 2017 წლის 4 მაისს გაგზავნილი უწყებით მოპასუხეს ეცნობა 2017 წლის 22 მაისს დანიშნული სხდომის თაობაზე, რასაც მოწინააღმდეგე მხარე დამაჯერებლად ვერ აქარწყლებს. მას, გარდა წერილობითი განმარტებისა, აღნიშნულის დამადასტურებელი სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებები საკასაციო სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

28. მოვალის მიერ 2017 წლის 20 აპრილს უცხო ქვეყნის სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობა, სხდომის გა-

დადების შესახებ, უტყუარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო კრედიტორის მიერ აღძრული სარჩელისა და სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის თაობაზე (მოპასუხის შუამდგომლობაშია მითითება აღნიშნულის შესახებ). უცხო ქვეყნის სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და საქმის განხილვა 2017 წლის 22 მაისს (19 მაისის შემდეგ) დანიშნა (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი). შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ მოპასუხეს სარჩელის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა, მას ჰქონდა შესაძლებლობა შეინააღმდეგებოდა სარჩელს და კრედიტორის მოთხოვნის საინააღმდეგო არგუმენტები წარედგინა, რაც მოვალეს არ განუხორციელებია.

29. „მოპასუხის სათანადო წესით მონვევასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ, როდესაც შუამდგომლობას თან ერთვის მოპასუხის მონვევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, წარმოიშობა გაბათილებადი პრეზუმფიცია (rebuttable presumption), რომ მოპასუხე მონვეული იყო სასამართლო განხილვაზე. მოპასუხეს აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, რათა ეს პრეზუმფიცია გააბათილოს და მტკიცების ტვირთი კვლავ მოსარჩელეზე გადაიტანოს“ (საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2018 წ. გვ.110).

30. „საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მონესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება“ (იხ. სუსგ №ას-299-284-2016).

31. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2017 წლის 29 ივნისს შევიდა, რასაც ხელმოწერით ადასტურებს უცხო ქვეყნის სასამართლოს მოსამართლე. სასამართლო აქტის მაღალი ლეგიტიმაციიდან გამომდინარე, მხოლოდ მონიშნულმდეგე მხარის მითითება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, რადგან ის ჯერ მხარეს არ ჩაბარებია და, შესაბამისად, გასაჩივრების ვადაც არ გასულა (იხ. ამ განჩინების მე-17 პუნქტი), არასაკმარისი მტკიცებულებაა. კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ სასამართლო აქტში მითითე-

ბული ჩანანერის გაქარწყლებას დასაბუთებული მტკიცებულება სჭირდება, რაც მოცემულ საქმეზე მოპასუხეს არ წარმოუდგენია.

32. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ორმხრივი ხელშეკრულების პირველ მუხლზე, რომელიც სამართლებრივ დაცვას აწესრიგებს და მისი პირველი პუნქტი ადგენს, რომ „ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეები“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები გამოიყენება იურიდიული პირებისა და მათთან გათანაბრებული წარმონაქმნების მიმართ. მაშასადამე, ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, იურიდიული პირები და მსგავსი ორგანიზაციული წარმონაქმნები სარგებლობენ უფლებით, მიმართონ სასამართლოს, იუსტიციის ორგანოებს და სხვა დაწესებულებებს, თუკი ამ უკანასკნელთა კომპეტენციას განეკუთვნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

33. ორმხრივი ხელშეკრულების მე-3 მუხლი, სამართლებრივი დახმარების სახით, ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას, ხოლო მე-4 მუხლით განსაზღვრულია სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას ურთიერთობის წესი. ორმხრივი ხელშეკრულების მეორე თავი ეძღვნება სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო საქმეებზე და მე-18 მუხლით დადგენილია სამართლებრივი დახმარების მოცულობა, მათ შორისაა სასამართლო გადაწყვეტილებათა, ცნობა და აღსრულება.

34. ორმხრივი ხელშეკრულების 22-26 მუხლებით დადგენილია ცნობასა და აღსრულებას დაქვემდებარებულ გადაწყვეტილებათა შესახებ შუამდგომლობის წარდგენის წესი. საკასაციო სასამართლო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ ორმხრივი ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობის წარდგენა შესაძლებელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოსადმი, როგორც ცენტრალური ორგანოს მეშვეობით, ასევე, უშუალოდ განმცხადებლის მიმართვით. ამდენად, ამ თვალსაზრისითაც დაცულია ორმხრივი ხელშეკრულების დანაწესი წარმოდგენილი შუამდგომლობის პროცედურული ნაწილის

შემონმების თვალსაზრისით.

35. ამავე ხელშეკრულების 24-ე მუხლით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შემდეგნაირი წესია დადგენილი, ასეთი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხორციელდება ხელშეკრულების იმ მხარის სასამართლოს მიერ, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

36. სპეციალური კანონის მე-2 მუხლით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით, ხოლო უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო (იხ. სპეციალური კანონის 68-ე მუხლი).

37. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია 1996 წლის 17 სექტემბერს, განსახილველ შემთხვევაში, მას უპირატესობა ენიჭება კონკრეტული სამართლებრივი ნორმების მისადაგებისას, ამიტომ საკასაციო სასამართლო აღარ მიუთითებს „მინსკის“ კონვენციის ანალოგიურ მოწესრიგებაზე, რადგან საქმეზე გამოსაკვლევია რომელიმე საკითხის სამართლებრივი დასაბუთებისათვის არ არსებობს მითითებული კონვენციის კონკრეტული რეგულირების გამოყენების საჭიროება, რაც დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორმხრივი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული რომელიმე საკითხი.

38. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

39. მოხმობილი ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი. სპეციალური კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა. ამავე კანონის 70-ე მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნე-

ბა, ხოლო 71-ე მუხლით დადგენილი აღსრულების პროცედური-სათვის შემოწმებულია 68-ე მუხლით დადგენილი წინაპირობე-ბი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „P-e“-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსას-რულებლად მიექცეს ყაზახეთის რესპუბლიკის, ატირაუს ოლ-ქის სპეციალიზირებული რეგიონთაშორისო ეკონომიკური სა-სამართლოს 2017 წლის 22 მაისის №2301-17-00-2/709 გადაწ-ყვეტილება, რომლითაც:
 - 2.1. შპს „ბ-ს“ შპს „P-e“-ის სასარგებლოდ დაეკისრა დავალი-ანების გადახდა 53 583.96 (ორმოცდაცამეტი ათას ხუთას ოთ-ხმოცდასამი აშშ დოლარისა და ოთხმოცდათექვსმეტი ცენტის) აშშ დოლარის ოდენობით, რაც 16 747 667 (თექვსმეტი მილიონ შვიდას ორმოცდაშვიდი ათას ექვსას სამოცდაშვიდი) ტენგეს ექვივალენტია;
 - 2.2. შპს „ბ-ს“ შპს „P-e“-ის სასარგებლოდ დაეკისრა სასამარ-თლოს მიერ განეული ხარჯების ღირებულების ანაზღაურება სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის – 502 430 (ხუთას ორი ათას ოთხას ოცდაათი) ტენგეს ოდენობით;
 - 2.3. შპს „ბ-ს“ შპს „P-e“-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკა-ნასკნელის მიერ გადახდილი წარმომადგენლის მომსახურების საფასურის – 1 000 000 (ერთი მილიონი) ტენგეს გადახდა;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ვალდებულებითი სამართალი

თანხის დაკისრება

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ა-887-შ-21-2016

26 აგვისტო, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლონდონში ერთპიროვნული არბიტრის – პროფესორ ვ. მის (შემდგეში ერთპიროვნული არბიტრი) 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით (შემდგეში: საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ad-hoc ან ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილება), შპს „კ-ას“ (შემდგეში: მყიდველი, მიმღები ან მოპასუხე) შპს „G-ის“ (შემდგეში: განმცხადებელი, შუამდგომლობის ავტორი, გამყიდველი, მიმწოდებელი ან მოსარჩელე) სასარგებლოდ დაეკისრა:

1.1. 262.788.70 (ორას სამოცდაორი ათას შვიდას ოთხმოცდარვა აშშ დოლარი და სამოდაათი ცენტი) აშშ დოლარი;

1.2. უბრალო პროცენტი 1.1. ქვეპუნქტში მითითებულ თანხაზე, წლიური 8.5% საპროცენტო განაკვეთით, 2015 წლის 31 იანვრიდან გადახდის თარიღამდე;

1.3. 100.00 (ასი) გირვანქა სტერლინგი ფიქსირებული კომპენსაცია მოსარჩელის ვალის გადახდის დაგვიანებისათვის;

1.4. მოსარჩელეთა მიერ გადახდილი სასამართლო ხარჯები 35.000.00 (ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი;

1.5. მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო სკამის განყოფილების კომერციული სასამართლოს მიერ ერთპიროვნული არბიტრის დანიშვნასთან დაკავშირებული ხარჯი 12 030.00 (თორმეტი ათას ოცდაათი) გირვანქა სტერლინგი;

1.6. ტრიბუნალისათვის გადასახდელი მოსაკრებელი 7.000.00 (შვიდი ათასი) ევრო.

2. გამყიდველმა (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), 2016 წლის 9 მარტს, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ad-hoc არბიტრის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. გამყიდველის მიერ საკასაციო სასამართლოში შუამდგომლობის წარმოდგენამდე, 2016 წლის 19 თებერვალს, უზენაეს სასამართლოს წინასწარ მომართა მყიდველის (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი იყო გამყიდველის განზრახვა, ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საკასაციო სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენაზე და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის საფუძველზე. მყიდველის წარმომადგენელმა განცხადებაში ისიც აღნიშნა, რომ ერთპიროვნულმა არბიტრმა ფუნდამენტური პროცესუალური დარღვევებით ჩაატარა საქმის განხილვა, რამაც არსებითად შელახა მყიდველის უფლებები და წაართვა მას საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. მყიდველის მტკიცებით, სახეზეა რამდენიმე წინაპირობა, რომელთა არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის (შემდეგში: ნიუ-იორკის კონვენცია) და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: არბიტრაჟის ან სპეციალური კანონი) შესაბამისად, არ უნდა მოხდეს უცხოელი არბიტრის ერთპიროვნული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

4. ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილებაში მითითებულია დავის შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. მხარეთა შორის, 2014 წლის 22 აპრილს, გაფორმდა მინოდების ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლითაც გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიენოდებინა 8.000.000.00 (რვა მილიონი) კგ შაქარი. გამყიდველმა მყიდველს რეალურად 5.456.000.15 კგ შაქარი მიაწოდა, ხოლო დანარჩენი 2.534.000.00 კგ არ მიუწოდებია.

4.2. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ საქონლის ფასსა და მინოდების განრიგზე, ასევე, ფაქტობრივად მინოდებული საქონლის თითოეული მოცულობის საფასურის გადახდაზე, კერძოდ, ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით: „საქონლის ღი-

რებულების გადახდა ხდება მიწოდების მომენტიდან (მაგრამ არა უგვიანეს) თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში“. მყიდველს არ გადაუხდია მიუღებელი საქონლის ღირებულება.

4.3. ხელშეკრულებაში, მისივე 6.3. ქვეპუნქტით დადგენილი წესით, მხარეებმა წერილობით შეიტანეს ცვლილება 2014 წლის 5 ივლისს, კერძოდ, შეიცვალა ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტის რედაქცია, ხოლო ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი, უცვლელად დარჩა.

5. გამყიდველის მიერ საკასაციო სასამართლოში 09.03.2016წ. წარმოდგენილი შუამდგომლობის (იხ. 1.2. ქვეპუნქტი) მიხედვით, არსებული უთანხმოების გადაჭრის მიზნით, 2015 წლის 27 თებერვალს, გამყიდველმა მიმართა მყიდველს და შესთავაზა შეთანხმება არბიტრთან დაკავშირებით, რომელიც გადაწყვეტდა საარბიტრაჟო დავას. რადგან მყიდველმა არ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მხარეთა შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ინგლისის კანონმდებლობის („არბიტრაჟის შესახებ“ ინგლისის 1996 წლის აქტი, შემდეგში: 1996 წლის აქტი) შესაბამისად, განმცხადებელმა, 2015 წლის 31 მარტს, მიმართა ინგლისის სასამართლოს, რათა განსაზღვრულიყო არბიტრის ვინაობა.

6. ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით: „მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული 2014 წლის 22 აპრილის მიწოდების ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად, ერთპიროვნულ არბიტრად დაინიშნა პროფესორი ვ. მ-ი“. ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით და ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტში დასახელებული 1996 წლის აქტის მე-18 მუხლი), დადგინდა ერთპიროვნული არბიტრის კომპეტენცია, საარბიტრაჟო დავის გადასაწყვეტად, რადგან, როგორც შუამდგომლობის ავტორი უთითებს, ხელშეკრულების 5.2. ქვეპუნქტის მიხედვით, დავა უნდა გადაწყვეტილიყო ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად; ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამება, როგორც ხელშეკრულებაში არსებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას, ისე ინგლისის კანონმდებლობას.

7. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული 1996 წლის აქტის 34-ე მუხლის მიხედვით, ერთპიროვნულმა არბიტრმა 2015 წლის 1 ივლისს მიიღო პირველი პროცედურული ბრძანება, რომლითაც დადგინდა პროცესის მიმდინარეობის განრი-

გი. აღნიშნულის მიხედვით, მყიდველს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხი უნდა წარედგინა, მისი ელექტრონული ფორმით ჩაბარებიდან, 30 (ოცდაათი) დღეში ან ამ ვადის გასვლამდე 2 დღით ადრე მაინც მოეთხოვა ხსენებული ვადის გახანგრძლივება. შუამდგომლობის ავტორის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ 30 დღიანი ვადა ამოიწურა 2015 წლის 19 აგვისტოს, ერთპიროვნულმა არბიტრმა დამატებით ორი კვირით, იმავე წლის 2 სექტემბრამდე გაუხანგრძლივა მოპასუხეს შეპასუხების წარდგენის ვადა. მოპასუხემ არც ამ ვადაში წარადგინა შეპასუხება. მყიდველმა მხოლოდ 2015 წლის 2 სექტემბერს მოითხოვა პასუხის წარდგენის ვადის გახანგრძლივება, რაც ერთპიროვნულმა არბიტრმა არ გაიზიარა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ ჯერ კიდევ 2015 წლის 31 მარტიდან იცოდა საარბიტრაჟო პროცესის დაწყების თაობაზე, მას ჩაბარდა პროცესთან დაკავშირებული ყველა კორესპონდენცია და ჰქონდა საშუალება, რათა უზრუნველყო სათანადო წარმომადგენლობა დავაში. მიუხედავად ამისა, არბიტრაჟმა მყიდველი მიიწვია ზეპირ განხილვაზე და მხედველობაში მიიღო მის მიერ გამოხატული პოზიცია, რაც ფიქსირდებოდა დავის დაწყებამდე პერიოდში გამყიდველთან (მოსარჩელესთან) მიმონერაში.

8. გამყიდველის შუამდგომლობაში მითითებული და განმარტებულია მოთხოვნის შემდეგი სამართლებრივი საფუძვლები:

8.1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73¹-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 356²²-ე მუხლისა და არბიტრაჟის კანონის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება ხორციელდება დასახელებული კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

8.2. არბიტრაჟის კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში, უნდა აღსრულდეს, ამავე მუხლისა და კანონის 45-ე მუხლით დადგენილი წესების გათვალისწინებით. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს უზენაესი სასამართლო;

8.3. არბიტრაჟის კანონი განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძ-

ვლებს. 45-ე მუხლი აყალიბებს იმ საფუძვლებს, რომლებიც მითითებულია ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლში, რომლის ნეერ სახელმწიფოებსაც წარმოადგენს, როგორც შვეიცარიის კონფედერაცია, ისე საქართველო. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უარის თქმის არცერთი საფუძველი, ისევე, როგორც არ არსებობს მოპასუხის მხრიდან გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით შედაგების საფუძვლები:

ა) საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები იყვნენ ქმედუნარიანნი;

ბ) მხარეთა ურთიერთობის მარეგულირებელი ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით („ინგლისის საარბიტრაჟო აქტის“), საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის ბათილი ან ძალადაკარგული;

გ) მოპასუხე ჯეროვნად იყო ინფორმირებული სხდომის დანიშვნის პროცედურის შესახებ და ეთხოვა მასში ჩართვა, ხოლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მხარის მიერ იყო მიღებული და იგი არ ყოფილა მოკლებული შესაძლებლობას, დაეცვა თავისი პოზიცია;

დ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იყო საარბიტრაჟო შეთანხმებით;

ე) არბიტრაჟის შემადგენლობა და საარბიტრაჟო წარმოება შეესაბამებოდა მხარეთა შორის არსებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას. ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, ხელშეკრულებიდან და საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება არბიტრის დანიშვნის შესახებ მიღებული იყო თავად ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს მიერ;

ვ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და შესულია ძალაში; იგი არ გაუქმებულა ან/და შეჩერებულა თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან ინგლისის სასამართლოების მიერ;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დავა შეიძლებოდა გამხდარიყო საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

თ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

8.4. ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით: „ყოველი ხელშემკვერელი სახელმწიფო ვალდებულია ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძა-

ლის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობების გათვალისწინებით. დაუშვებელია იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია, დაწესებული იქნეს არსებითად უფრო რთული პირობები ან უფრო მაღალი გადასახადი ან სახელმწიფო ბაჟი, ვიდრე დაწესებულია ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის“.

8.5. ამავე კონვენციის მე-4 მუხლით, მხარემ, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას სასამართლოსგან, უნდა წარადგინოს: „(ა) სათანადო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი; (ბ) მე-2 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი“;

8.6. ნიუ-იორკის კონვენციის აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, რომლის წევრიც არის საქართველო და რომელსაც გააჩნია უპირატესი ძალა იერარქიულად მასზე დაბალ საფეხურზე მდგარ საკანონმდებლო აქტებთან შედარებით, დაუშვებელია განმცხადებლისგან იყოს მოთხოვნილი: (ა) უფრო მეტი დოკუმენტი, ვიდრე გათვალისწინებულია კონვენციით, (ბ) ბაჟი უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის და (გ) განსახილველად დაწესებული იქნეს უფრო ხანგრძლივი ვადა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის.

8.7. სსსკ-ის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის ა² პუნქტის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე ბაჟი შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. რადგან მოცემულ შემთხვევაში, ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ არსებობს, წინამდებარე შუამდგომლობას ერთვის ბაჟის – 150 ლარის გადახდის ქვითარი.

9. მყიდველმა წარმოადგინა მოსაზრება გამყიდველის შუამდგომლობის უარყოფაზე, რომელშიც აღნიშნა, რომ კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გადან-

ყვეტილება არ ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რადგან გამყიდველის შუამდგომლობა შეიცავს არაერთ მნიშვნელოვან ცდომილებას, როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ ნაწილში, კერძოდ:

9.1. ფუნდამენტური პროცესუალური დარღვევებით მიმდინარეობდა ე.წ. „საარბიტრაჟო განხილვა“, რამაც არსებითად შელახა მოპასუხის უფლებები, წაართვა მას საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალება. ვერც განხილვა და ვერც გადანყვეტილება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნებს. სახეზეა რამდენიმე წინაპირობა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, ნიუ-იორკის კონვენციისა და არბიტრაჟის კანონის შესაბამისად, არ უნდა მოხდეს გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება, კერძოდ:

9.2. გადანყვეტილება არ ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას კონვენციის მე-5 (1) „ა“ პუნქტის შესაბამისად;

9.2.1. კონვენციის მიზანია, დაამკვიდროს საარბიტრაჟო შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტები ცნობისა და აღსრულების მიზნებისათვის. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, მხარეთა თანხმობა არბიტრაჟზე წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება. ამ განჩინების 4.1. ქვეპუნქტში მითითებული ხელშეკრულების 5.2 ქვეპუნქტის მიხედვით: „შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადანყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი: ლონდონი“. მუხლის სათაურში „არბიტრაჟის“ მითითება არ არის საკმარისი მხარეთა ნების გამოსახატად. მხარეთა ნება ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს საარბიტრაჟო დათქმის ტექსტიდან და არა მუხლის სათაურიდან. მხარეებს არ გამოუხატავთ დავის არბიტრაჟის საშუალებით გადანყვეტის ნება.

9.2.2. „საარბიტრაჟო დათქმა“ არ მოიცავს შეთანხმებას არსებით საკითხებზე. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საარბიტრაჟო დათქმა უნდა იყოს გასაგები, სრული და ავტონომიური. ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ შეიცავს არანაირ კონკრეტულ შეთანხმებას არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე, არ დგინდება შეთანხმება საარბიტრაჟო პროცესთან, არბიტრების რაოდენობასთან, პროცედურის ენასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო მე-5 მუხლის მეორე ნაწილი, სავარაუდოდ, გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ან პროცედურული სამართლის არჩევის მიზნით არის შედგენილი;

9.2.3. წინააღმდეგობაა ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის, მაშინ, როცა ქართული ტექსტი პირდაპირ მიუთითებს, რომ დავა წყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, რუსული ტექსტი – ხელშეკრულების რეგულირების და განმარტების საკითხების მიმართ იყენებს ინგლისურ სამართალს. საარბიტრაჟო პროცესში წარდგენილი იყო რუსულიდან ნათარგმნი ინგლისური ვერსია, რომელიც არ შეესაბამებოდა ქართულ ტექსტს;

9.2.4. ვინაიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ ასახავდა მხარეთა შეთანხმებას არბიტრაჟთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე, ამიტომ გამყიდველი 2015 წლის 26 თებერვლის წერილით მოითხოვდა მყიდველისაგან დამატებით შეთანხმებას იმ საკითხებზე, რაც უნდა ყოფილიყო საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილი;

9.3. გადანყვეტილება არ ექვემდებარება ცნობას და აღსრულებას კონვენციის მე-5 (1) „ბ“ პუნქტის შესაბამისად;

9.3.1. მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული გადანყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ან სხვა მიზეზების გამო, ვერ მოახერხა თავისი პოზიციის წარდგენა. მსგავსი ჩანაწერია არბიტრაჟის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადანყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია, ან დაეცვა თავისი ინტერესები;

9.3.2. არბიტრაჟის მიერ არასწორად იქნა გამოყენებული საქართველოს სამართალი სარჩელისა და სხვა დოკუმენტების ჩაბარებასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ვადების არასწორად გამოთვლა და არათანასწორ მდგომარეობაში ჩააყენა მყიდველი, ვინაიდან მას უარი ეთქვა დამატებით ორკვირიან ვადაზე, რის გამოც, არ მიეცა შესაძლებლობა, საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია პროცესუალურ დარღვევასთან დაკავშირებით. სარჩელი და სხვა პროცესუალური დოკუმენტები მხარეს უნდა ჩაბარდეს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ელექტრონული ფოსტით ჩაბარებისას, აუცილებელია მიმღების მიერ მიღების დადასტურება. ვინაიდან ადრესატის მიერ არ მომხდარა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დოკუმენტების მიღების დადასტუ-

რება, ჩაბარების თარიღად უნდა ჩაითვალოს ფოსტაში დოკუმენტების ორიგინალების ჩაბარების თარიღი. არბიტრმა კომუნიკაციის საწარმოებლად მიუთითა იმ პირების ელექტრონული ფოსტის მისამართები, რომელთაც არ ჰქონდათ დავასთან დაკავშირებით საქმის წარმოების უფლებამოსილება;

9.4. გადანყვეტილება არ ექვემდებარება ცნობას და აღსრულებას კონვენციის მე-5 (1) „დ“ პუნქტის შესაბამისად, კერძოდ: საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობას და აღსრულებას შეიძლება უარი ეთქვას, როცა არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

9.4.1. საარბიტრაჟო პროცედურა წარიმართა ინგლისის საარბიტრაჟო აქტის დარღვევით. აქტის 33-ე მუხლის შესაბამისად, ტრიბუნალს აქვს ვალდებულება, იმოქმედოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, ორივე მხარეს მისცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია და უპასუხონ მოწინააღმდეგე მხარეს, გამოიყენოს პროცედურა, რომელიც შეესაბამება კონკრეტული საქმის გარემოებებს, თავიდან აირიდოს არასაჭირო დაგვიანება და ხარჯი;

9.4.2. არბიტრმა გადანყვეტილება ისე მიიღო, რომ წარმოების არცერთ ეტაპზე არ გაუთვალისწინებია მყიდველის პოზიცია, მხარეს არ მიეცა კომპეტენციასთან დაკავშირებული პრეტენზიის წარდგენის საშუალება. არბიტრმა არ გაითვალისწინა მყიდველის მიერ 2015 წლის 2 სექტემბერს წარდგენილი მოთხოვნა, ჩართულიყო საარბიტრაჟო წარმოებაში, რადგან არბიტრმა უარი განაცხადა ვადის გაგრძელებაზე;

9.4.3. გადანყვეტილება არ შეესაბამება ინგლისის აქტის იმპერატიულ ნორმას არბიტრის ვალდებულებასთან დაკავშირებით და წაართვა მხარეს სამართლიანი სასამართლოს უფლება. იმ ფონზე, როდესაც არბიტრი დაინიშნა 2014 წლის 23 აპრილს და საარბიტრაჟო პროცესი 4 თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა, მოპასუხისათვის (მყიდველისათვის) ორკვირიანი ვადის გაგრძელება არ გამოიწვევდა მართლმსაჯულების განხორციელების დაყოვნებას;

9.4.4. არბიტრმა არ განიხილა მხარეთა მიერ მოლაპარაკების ეტაპის ამონაწერის საკითხი. ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, მხარეებს დავა უნდა გადაეწვიტათ მოლაპარაკების გზით და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართათ დავის გადამწყვეტი ორგანოებისთვის. არბიტრის გადანყვეტილება არ მიუთითებს

მოლაპარაკებების ამონურვის საკითხზე, არბიტრს არ გაუანალიზებია ამონურეს თუ არა მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მექანიზმი;

9.4.5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ნიუ-იორკის კონვენციისა და არბიტრაჟის კანონის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (მუხლი 45.1.ბ. (ბ.ბ.);

9.4.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება არღვევს საჯარო წესრიგს, ვინაიდან ხელშეკრულების 5.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიცავს დავის განმხილველი არბიტრაჟის დასახელებას, მხარეებს არ გამოუხატავთ ნება, დავა განიხილოს კონკრეტულმა არბიტრაჟმა. საერთო სასამართლოების პრაქტიკით, „დავა მხარეთა შორის შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას, ხოლო ბათილია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს“ (იხ. სუსგ №ას-809-862-2011, 15.07.2011წ.). მეტიც, „საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ შეთანხმება შეიცავდეს დავის განმხილველი არბიტრაჟის დასახელებას, რათა მხარეთათვის შეთანხმების გაფორმების მომენტშივე იყოს ცნობილი, რომელი არბიტრაჟი განიხილავს შესაძლო დავას, რათა მხარემ გამოხატოს ნება, კონკრეტულ არბიტრაჟზე და არა ზოგადად მუდმივმოქმედ არბიტრაჟზე, რამეთუ არბიტრაჟზე შეთანხმება ეს არის მხარეთა მიერ არბიტრაჟის არჩევა და მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით უნდა აირჩიონ დავის განმხილველი კონკრეტული არბიტრაჟი“ (იხ. სუსგ №ას-549-519-2011, 06.06.2011წ.). საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით, თუ მხარეები არ შეთანხმებულან კონკრეტული არბიტრაჟის მიერ დავის განხილვაზე, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ სა-

ფუძველს. სსკ-ის 54-ე მუხლის დანაწესის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, შეთანხმების მიჩნევა საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმებას, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს;

9.4.7. გადაწყვეტილება არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს და ამიტომ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საჯარო წესრიგი განმარტებულია, როგორც კანონით დადგენილი იმპერატიული წესი, სამართლებრივი საფუძველი, რომლის დარღვევაც თავისთავად იწვევს საჯარო წესრიგის დარღვევას. მყიდველის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ მხარეს არ მიეცა თავისი ინტერესის წარდგენის საშუალება უკვე წარმოადგენს საჯარო წესრიგის დარღვევას. აღნიშნულით დაირღვა არა მარტო თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, არამედ სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც საჯარო წესრიგის ნაწილია;

9.4.8. საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც გარიგება, არღვევს სსკ-ის 50-ე, 317-ე, 327-ე მუხლების მოთხოვნებს და იგი, როგორც სამოქალაქო ვალდებულებით სამართლებრივი პრინციპების სანაწინააღმდეგო, არღვევს საჯარო წესრიგს. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამყიდველის წინააღმდეგ მყიდველმა წარადგინა სარჩელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. გადაწყვეტილების გამოტანამდე, ერთპიროვნული არბიტრისათვის ცნობილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესის შესახებ, მიუხედავად ამისა, არბიტრმა არა თუ არ გაითვალისწინა საარბიტრაჟო წარმოებაზე უფრო ადრე დაწყებული პროცესი, არამედ, ე.წ. „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში“ არც უმსჯელია საკუთარ კომპეტენციაზე. ასეთი ტიპის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აშკარად უგულებელყოფს იგივე მხარეებს შორის, იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებას, რითაც ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს;

9.4.9. არბიტრი არაობიექტური და მიკერძოებულია, იგი არა ფაქტების ანალიზითა და სამართლებრივი შეფასებებით მივიდა და დასკვნებამდე და გადაწყვეტილებამდე, არამედ პირიქით, თავიდანვე გადაწყვეტილ საკითხებს მოარგო საკუთარი ანალიზი და მოახდინა ფაქტების მანიპულაცია.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 18 მარტის განჩინებით, მიმწოდებლის შუამდგომლობა ერთპიროვნული არბიტრის 2015 წლის 17

ნომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიიღო განსახილველად და დანიშნა ზეპირი მოსმენა 2016 წლის 22 აპრილს, რომელიც მხარეებთან შეთანხმებით, გადაიდო იმავე წლის 3 ივნისს, სადაც მხარეებმა დეტალურად წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები, ისევე როგორც, მომდევნო სხდომებზე, რომლებიც ჩატარდა 30 ივნისს და 28 ივლისს.

11. შუამდგომლობის ავტორმა, წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტში მითითებული არგუმენტაციის დამატებით, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

11.1. მხარეებმა სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის განსაზღვრის თავისუფლებით ისარგებლეს, როდესაც ხელშეკრულების მე-5 მუხლით დაადგინეს: „შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით. იურისდიქციის ადგილი ლონდონი“. აღნიშნული დებულებით მხარეებმა თავიანთი სახელშეკრულებო ურთიერთობა დაუქვემდებარეს სხვა ქვეყნის – ინგლისის სამართალს (იხ. შუამდგომლობის ავტორის 22.04.2016წ. განმარტება – გვ. 2, ქვეპუნქტი 2.3);

11.2. გამყიდველის მტკიცებით, „იქიდან გამომდინარე, რომ მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის, მათ შორის, დავის გადაწყვეტისათვის, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს ინგლისის სამართალი, განსახილველ შუამდგომლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (გარდა საჯარო წესრიგისა) – საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია, საარბიტრაჟო პროცესის ჯეროვანი ხასიათი და სხვა საკითხები...“ (იხ. შუამდგომლობის ავტორის 22.04.2016წ. განმარტება – გვ.3, ქვეპუნქტი 2.4);

11.3. ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება დავის გადაწყვეტის მეთოდზე არის ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით, რადგან ერთადერთი მოთხოვნა, რომელსაც აღნიშნული ქვეყნის სამართალი აყენებს საარბიტრაჟო შეთანხმებებისათვის, ეს არის მისი წერილობითი ფორმით არსებობა;

12. ხელშეკრულების მე-5 მუხლთან დაკავშირებით, შუამდგომლობის ავტორისა და მისი მოწინააღმდეგის მიერ, გარდა წერილობით წარმოდგენილი განმარტებისა (იხ. ამ განჩინების მე-8 და მე-9 პუნქტები), საქმის ზეპირი განხილვისას დაფიქსირდა შემდეგი პოზიციები:

12.1. შუამდგომლობის ავტორს მე-5 მუხლის ქართული და

რუსული ტექსტის ვერსიები ერთმანეთის შემავსებლად მიაჩნია, კერძოდ, გამყიდველის წარმომადგენლებმა 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე განმარტეს, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მხარეებს აძლევს უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, რაც რეალიზებულია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით, კერძოდ, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ქართულ და რუსულ ვერსიებს შორის არ არსებობს არსებითი წინააღმდეგობა, თუკი რაიმე განსხვავებაა მათ შორის, ისინი უფრო მეტად ავსებენ ერთმანეთს, ვიდრე კოლიზიურია;

12.2. შუამდგომლობის ავტორის მტკიცებით, ტექსტებს შორის ბუნდოვანება არ არის იმგვარი, რომლის გამოც, ვერ დგინდება მხარეთა ნება, აქედან გამომდინარე, ინგლისის კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს მხარეთა დავა. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ინგლისის კანონმდებლობა არ უყენებს მხარეებს რაიმე მოთხოვნებს, თუ რა ფორმისა და შინაარსის უნდა იყოს შეთანხმება, ერთადერთი კრიტერიუმია შეთანხმების წერილობითი ფორმა, მითითებაც კი სიტყვისა – „არბიტრაჟი“ (იხ. ასევე, შუამდგომლობის ავტორის 22.04.2016წ. განმარტება – გვ.4-5, ქვეპუნქტი 3.1), საკმარისია, რასაც, შუამდგომლობის ავტორის მტკიცებით, ადასტურებს მის მიერ წარდგენილი ინგლისელი ბარისტერის მოსაზრების 27-29 პუნქტები: „წერილობითი ფორმის დაცვის მოთხოვნის გარდა, ინგლისის სამართალი არ ადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების განსაზღვრულ სავალდებულო ფორმას, ან რაიმე გარკვეული ენის (ფორმულირების) გამოყენებასა თუ შინაარსობრივ ვალდებულებას. საკითხი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა დებულება ნამდვილ შეთანხმებას არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე (როგორც მოთხოვნილია აქტის მე-6 მუხლით) უნდა დადგინდეს სიტყვიერი ფორმულირების მიხედვით“;

12.3. შუამდგომლობის ავტორი აპელირებდა ასევე, საქმეში წარმოდგენილ განმარტებაზე ინგლისელი ბარისტერისა, რომ ინგლისის სასამართლოები საარბიტრაჟო წინადადების ინტერპრეტაციისას მიმართავენ იმავე მეთოდს, რომელსაც ისინი ზოგადად იყენებენ კომერციული ხელშეკრულებებისადმი, საამისოდ კი ტესტს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რას მიიჩნევდა გონიერი პირი მხარეების განზრახვად, მათ მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე იმ მომენტისათვის მხარეების შესაბამისი

ცოდნის გათვალისწინებით. მხარემ მიუთითა ქართული არბიტრაჟის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ.“ ქვეპუნქტზე, თუ როდის შეიძლება ეთქვას უარი მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე: „არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა“; არა მარტო ინგლისის კანონი უშვებს არბიტრაჟის შემადგენლობასა და საარბიტრაჟო წარმოებაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობას, არამედ დასახელებული ქართული კანონის შესაბამისი ნორმაც (მეორე წინადადება);

12.4. შუამდგომლობის ავტორის მტკიცებით, არბიტრაჟზე შეთანხმებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 4 თებერვლის წერილიც. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, არბიტრი დანიშნა ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესმა სასამართლომ, მხარე უთითებს, ინგლისელი ბარისტერის მოსაზრების 36-ე პუნქტზე და განმარტავს, რომ ოპონენტთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება არბიტრის დანიშვნაზე, რის გამოც, გამყიდველმა განცხადებით მიმართა ინგლისის სამეფო სასამართლოს, რომელმაც დანიშნა საქმეზე ერთპიროვნული არბიტრი. არბიტრის დამნიშვნელმა მოსამართლე ბ-მა ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე, პრეზუმირებლად მიიჩნია, რომ საქმე არბიტრის განსახილველი იყო. ერთპიროვნულმა არბიტრმა იმსჯელა, როგორც საკუთარ კომპეტენციაზე, ასევე, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე (იხ. ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილების 2.8 ქვეპუნქტი, მე-4 თავი). მხარემ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ არბიტრს, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, შეეძლო ემსჯელა კომპეტენციაზე, მოწინააღმდეგეს არ გამოუხატავს რაიმე მოსაზრება არბიტრის დანიშვნისა და კომპეტენციის თაობაზე, მიუხედავად ამისა, ერთპიროვნულმა არბიტრმა მაინც იმსჯელა საკუთარ კომპეტენციაზე, შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა ინგლისელი ბარისტერის მოსაზრების 39-ე პუნქტზე (იხ. 03.06.2016წ. სხდომის ოქმი 11:39:90-დან 12:34:25-მდე).

13. მოპასუხის (მყიდველის) წარმომადგენლის განმარტებით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომლის ცნობაც და აღსრულებაც არის შუამდგომლობით მოთხოვნილი, არის არა ლონდონის საარბიტრაჟო ინსტიტუციური არბიტრაჟი, არამედ, ე.წ. ad-hoc არბიტრაჟი, რომელიც თავად მხარემ წარუდგინა ინგლისის სასამართლოს და რომელიც დანიშნა ინგლისის სასამართლომ;

13.1. მოპასუხე არ დაეთანხმა შუამდგომლობის ავტორის მტკიცებას ხელშეკრულების მე-5 მუხლის თაობაზე და აღნიშნა, რომ ამ მუხლში არა მხოლოდ ლინგვისტური პრობლემაა, არამედ მისი პირველი და მეორე ნაწილები განსხვავებულია და არა ერთმანეთის შემავსებელი, როგორც ამას ოპონენტი უთითებს. სადავო ტექსტის ქართული ვერსია უთითებს დავის მოგვარებაზე, ხოლო რუსული ვერსია – ხელშეკრულების განმარტებაზე, რაც არ არის ერთი და იგივე, მით უფრო, რომ ხელშეკრულების 6.4 ქვეპუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულება ორ ენაზე შედგენილი, ორივე მათგანი ავთენტურია და არ არის განსაზღვრული რომელიმე მათგანის უპირატესობა, რომ შედარების შემთხვევაში, ერთერთს მიენიჭოს პრიორიტეტი. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ როდესაც არბიტრაჟზე საუბარი, მხარეთა ნება აბსოლუტურად განმსაზღვრელია. მონინალმდევე უთითებს, რომ შუამდგომლობის ავტორის პრაქტიკულად ერთადერთი არგუმენტია სადავო მე-5 მუხლის სათაური – „არბიტრაჟი“, თუმცა, თავისი შინაარსით, დასახელებული ნორმის პირველი პუნქტი ეხება მოლაპარაკებებს, ხოლო მეორე – დავის მოგვარებას. დავის მოსაგვარებლად არბიტრაჟზე შეთანხმება უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი, არაორაზროვანი და მკაფიო, ამასთან, დამკვიდრებულია, რომ ხელშეკრულების შემდგენლის საწინააღმდეგოდ (contra referenda) განმარტება მის მიერ შედგენილი დებულება, განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულება გამყიდველმა შეადგინა და შესთავაზა მყიდველს. საარბიტრაჟო დათქმიდან გამომდინარე, არც ის ჩანს, მხარეები ინსტიტუციონალურ არბიტრაჟზე შეთანხმდნენ თუ ერთჯერად (ad-hoc) არბიტრზე, ასევე, არც ის დგინდება არბიტრაჟზე შეთანხმდნენ, თუ სასამართლოზე, შესაბამისად, ყველა „საექვო“ დებულება უნდა განიმარტოს შუამდგომლობის ავტორის საწინააღმდეგოდ (იხ. 03.06.2016 წ. სხდომის ოქმი – 14:20:55-დან 14:46:05);

13.2. მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს მის მიერ 2016 წლის 30 მარტს წარმოდგენილ წერილობით განმარტებაზე, სადაც ხელშეკრულების მე-5 მუხლის თაობაზე მითითებულია, რომ არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი, ნახსენებია მხოლოდ მუხლის სათაურში, მხოლოდ ერთხელ, ხოლო ხელშეკრულების არცერთ სხვა მუხლში არ არის მითითება მხარეთა ნებაზე, დავა გადაწყვიტონ არბიტრაჟის გზით და მასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ მიღწეულ შეთანხმებაზე. კონკრეტული მუხლის სათაურში „არბიტრაჟის“ მითითება არ არის საკმა-

რისი მხარეთა ნების გამოსახატად, თუკი მხარეთა ნება ერთმნიშვნელოვნად, მკაფიოდ და არაორაზროვნად არ გამომდინარეობს საარბიტრაჟო დათქმის ტექსტიდან;

13.3. ამავე წერილობით პოზიციაში მითითებულია, რომ „საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს ისეთი ფორმით, რომ არ საჭიროებდეს დამატებებსა და დაზუსტებებს დავის წარმოშობის დროს, საარბიტრაჟო დათქმა უნდა იყოს გასაგები, სრული და ავტონომიური. გასაგები და ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების გარეშე, არ არსებობს არბიტრაჟი და, შესაბამისად, ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილი არიან, განახორციელონ თავიანთი იურისდიქცია“. მონინალმდეგე, 2016 წლის 30 მარტის წერილობით განმარტებაში, იმასაც უთითებს, რომ დასახელებული კრიტერიუმების საწინააღმდეგოდ, ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ შეიცავს არანაირ კონკრეტულ შეთანხმებას არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე. მეტიც, ე.წ. საარბიტრაჟო დათქმა იმდენად გაუგებარი და არაერთმნიშვნელოვანია, რომ მისი შინაარსის დადგენა არათუ გართულებული, არამედ შეუძლებელია. მხარეთა შორის დადებული ე.წ. საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის „გასაგები, სრული და ავტონომიური“ და, ამ კონტექსტში, მონინალმდეგე უთითებს მიმწოდებლის 2015 წლის 26 თებერვლის წერილზე, რომლითაც მყიდველის მტკიცებით, გამყიდველი მოითხოვდა დამატებით შეთანხმებას, რომლის გარეშეც, მონინალმდეგის მტკიცებით, ხელშეკრულების მე-5 მუხლი პირველადი ფორმით არ წარმოადგენს საარბიტრაჟო დათქმას, რადგან მისი განხორციელება და მის საფუძველზე მხარეთა ნების დადგენა შეუძლებელია. სწორედ ამით აიხსნება მიმწოდებლის წარმომადგენელთა არაერთი მიმართვა მყიდველისათვის საარბიტრაჟო დათქმის არსებით ელემენტებზე შეთანხმების მიღწევის მიზნით;

13.4. მხარემ მიუთითა, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის გადწვევტილების ცნობა-აღსრულება უნდა მოხდეს ნიუ-იორკის კონვენციისა და მისი შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და განმარტა: თუკი დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ არბიტრაჟის გზით დავის მოგვარებაზე, საარბიტრაჟო დათქმა შეიცავს პათოლოგიურ დებულებებს. საგულისხმოა, რომ საარბიტრაჟო დათქმა არ უნდა იყოს არასრული, ბუნდოვანი, არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი. თუკი ერთი სიტყვა „არბიტრაჟი“ საკმარისია მხარეთა ნების დასადგენად და ინგლისის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ამას შუამდგომლობის ავტორი ამტკიცებს,

საარბიტრაჟო დათქმის, ანუ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი უთითებს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავებზე მხოლოდ და არა ხელშეკრულების შეწყვეტის, დარღვევის, ბათილობის, განმარტების შესახებ. ამგვარი დეტალური ჩამონათვალის მითითება აუცილებელია, რათა არ იყოს ორაზროვნება და მხარეთა ნების განმარტების საჭიროება. როდესაც მხარე უარს აცხადებს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებაზე და დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტას თანხმდება, მაშინ ამგვარი დათქმა უნდა იყოს მკაფიო, არაბუნდოვანი და არაორაზროვანი. ეროვნული კანონმდებლობით უნდა დადგინდეს, არის თუ არა მხარე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, იყო თუ არა შესაბამისი ფორმით გარიგების ყველა არსებით საკითხზე შეთანხმება, ასეთია უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკაც (იხ. 30.06.2016 წ. სხდომის ოქმი – 11:13:52-დან – 11:53:16-მდე)

13.5. მონინალმდგვის მტკიცებით, ხელშეკრულების მე-5 მუხლი ვერ აკმაყოფილებს საარბიტრაჟო შეთანხმებისათვის კონვენციით დადგენილ სტანდარტებს, ვინაიდან დასახელებული მუხლით არ იკვეთება მხარეთა ნება, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები გადაეცათ არბიტრაჟისათვის. მონინალმდგვის მტკიცება იმ მსჯელობის დაშვებასაც მოიცავს, რომ თუნდაც მხარეებს სურდათ დავის არბიტრაჟის მეშვეობით მოგვარება, ხელშეკრულების მე-5 მუხლი ვერ აკმაყოფილებს საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს და მისი შინაარსი გაუგებარია (იხ. 30.03.2016 წ. წერილობითი განმარტება);

13.6. მყიდველმა აღნიშნა, რომ მან 2015 წლის 10 მარტს სარჩელით მიმართა საქართველოს საერთო სასამართლოს გამყიდველის წინააღმდეგ, რომელიც მხარეს 20 მარტს ჩაბარდა, რითაც მხარემ თუნდაც ამ დროიდან უკვე ცალსახად იცოდა, რომ საარბიტრაჟო განხილვას არ ეთანხმებოდა (იხ. 03.06.2016 წ. სხდომის ოქმი 15:40-51-დან 15:49:59-მდე). დასახელებული არგუმენტების საფუძველზე, მოპასუხე ითხოვს უარი ეთქვას შუამდგომლობის ავტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

14. შუამდგომლობის ავტორმა 28.07.2016 წ. სხდომაზე, საკუთარი განმარტებებისა და წინა სხდომებზე გაცხადებული არგუმენტების დამატებით, წარმოადგინა და გამოაქვეყნა ხუთგვერდიანი ნაბეჭდი დოკუმენტი (დაერთო საქმის მასალებს), რომელიც მისივე მითითებით, თეზისების სახით, აჯამებს მოსარჩელის პოზიციას და ეხება განსახილველი დავის სამარ-

თლებრივ ჩარჩოს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნამდვილობას, მოლაპარაკების ეტაპის ამონაწერებს, მოპასუხის ჯეროვან ინფორმირებას და პროცედურის სამართლიანად წარმართვას, საქართველოში მიმდინარე დავის გამო საარბიტრაჟო პროცესის შეჩერება/შენწყვეტის საკითხებს, არბიტრის კვალიფიკაციას, მოპასუხის მიერ გამოუყენებლ დაცვის საშუალებებს, საჯარო წესრიგს. შუამდგომლობის ავტორმა ისაუბრა ინგლისური სამართლის განმარტების მიზანშეუწონლობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ და მხარი დაუჭირა ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე (იხ. 28.07.2016წ. სხდომის ოქმი 12:11:06-დან 12:24:44-მდე).

15. მოპასუხემ მოითხოვა მოსარჩელის შუამდგომლობის უარყოფა და კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება, რომ საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობა არავის გაურკვევია და დაუდგენია აქამდე, არც არბიტრის დამნიშვნელ ინგლისელ მოსამართლეს და არც თავად ერთპიროვნულ არბიტრს. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების მე-5 მუხლის თითოეული ქვეპუნქტის შინაარსზე და აღნიშნა, რომ მასში მითითებულია, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა გადაწყდება ინგლისური სამართლის გამოყენებით, ერთპიროვნულმა არბიტრმა კი ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების საკითხი განიხილა, რითაც გასცდა კომპეტენციის ფარგლებს, კერძოდ, მე-5 მუხლის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა, რათა გასულიყო გამყიდველის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების საკითხზე (იხ. 28.07.2016წ. სხდომის ოქმი 12:34:03-დან 12:47:16-მდე).

სამოტივაციო ნაწილი:

გამყიდველის შუამდგომლობით მოთხოვნილი უცხო ქვეყნის სასამართლო (ერთპიროვნული არბიტრის) გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების შესწავლისა და განალიზების შედეგად, რაც ემყარება ხელშეკრულებისა და საქმის მასალების შეზღუდული სახით გამოკვლევას, მოდავე მხარეთა პოზიციების, ზეპირი განხილვით, მხარეთა მონაწილეობით მოსმენას, მათი თანაბარი საპროცესო უფლებების (სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები) რეალიზებას, ამასთან, ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად, საქმის საკასაციო სასამართლოს მიერ განხილვას, კონვენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინ-

ციბის – „აღსრულების მომხრე განწყობის“ – გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გამყიდველის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

16. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვისას ხელმძღვანელობს ნიუ-იორკის კონვენციის (საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით) პირველი მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-3, მე-4 მუხლების და მე-5 მუხლის პირველი ნაწილით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 71-ე, არბიტრაჟის კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, სსსკ-ის 356²² მუხლით.

17. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ ნიუ-იორკის კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (იხ. პირველი მუხლი), განსახილველი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილება, რაც ასევე, შეესაბამება კონვენციის პირველი მუხლის მეორე ნაწილს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით წარმოდგენილ შუამდგომლობაზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლო, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, იხილავს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს, იყენებს კონვენციის ეულ მიდგომას, რომ დაუშვებელია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის დაწესებული იქნეს არსებითად უფრო რთული პირობები, ვიდრე დადგენილია ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის (იხ. კონვენციის მე-3 მუხლი; ასევე, ამ განჩინების 8.4 ქვეპუნქტი).

18. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მტკიცებულებები, შეესაბამება, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მომთხოვნი მხარისათვის, კონვენციის მე-4 მუხლით დადგენილ წინაპირობებს (იხ. ამ განჩინების 8.5 ქვეპუნქტი). მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების პირობებში, ნიუ-იორკის კონვენციით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე ამომწურავი საფუძვლების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ამასთან, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების ფართოდ განმარტება დაუშვებელია, რადგან თუკი არ-

სებობს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კონვენციით გათვალისწინებული საფუძველი, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს დისკრეცია შეზღუდულია.

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების არსებითი განხილვისა და გადახედვის კომპეტენციის გარეშე, სასამართლოს კვლევისა და მსჯელობის ცენტრალური ნაწილია მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის სახელწოდებაცაა „არბიტრაჟი“. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია დასახელებული მუხლის შინაარსის მოხმოვა: „5.1. ყველა სადავო საკითხს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ, ურთიერთმოლაპარაკების გზით. 5.2. შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი: ლონდონი.“; იგივე მუხლი ხელშეკრულების რუსულენოვან ტექსტში ფორმულირებულია შემდეგნაირად: „5. Арбитраж. 5.1 Все споры связанные с выполнением условий данного Договора Стороны будут решать путем проведения переговоров. 5.2. В случае невозможности решить спор путем проведения переговоров, условия □того Договора регулируются и разъясняются в соответствии с Английским правом, местом юрисдикции является Лондон“. ორენოვანი ხელშეკრულების მე-5 მუხლის ციტირებიდან, აშკარად ჩანს, რომ არსებითი განსხვავებაა ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის. ქართული და რუსული ვერსიების 5.1. ქვეპუნქტის იდენტურად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, 5.2. ქვეპუნქტი ქართულ ვერსიაში, შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის ინგლისური სამართლის გამოყენებით გადაწყვეტაზე უთითებს, ხოლო რუსული ტექსტი – ამ ხელშეკრულების პირობების მოწესრიგებასა და განმარტებაზე ინგლისური სამართლის შესაბამისად. ხელშეკრულების 6.4 ქვეპუნქტით, ქართულ და რუსულ ენებზე, მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ ერთნაირი ძალა, შესაბამისად, ვერცერთს მიენიჭება უპირატესობა მუხლის შინაარსის განმარტების დროს.

20. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა: „ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, ინვეს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის

აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამოვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამოვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამოვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება. ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება, მაგრამ, თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს. ხელშეკრულებ-

ბის განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს. „ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მონესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული. ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა“ (იხ. სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26.10.2015წ.).

21. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ არ იზიარებს შუამდგომლობის ავტორის არგუმენტს, ხელშეკრულების მე-5 მუხლის სათაურიდან გამომდინარე, მხარეთა შორის დავის არბიტრაჟის მეშვეობით მოგვარების შესახებ შეთანხმებაზე, რაც მიღებული პრაქტიკაა ინგლისის სამართლის მიხედვით (იხ. ამ განჩინების 11.1-11.3, 12.1-12.3 ქვეპუნქტები) და შუამდგომლობის ავტორის აღნიშნული მტკიცების საწინააღმდეგოდ უთითებს საკასაციო სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე:

„სხენებული საარბიტრაჟო დათქმა (შეთანხმება არბიტრაჟზე) ნამდვილი არ იყო, ვინაიდან ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნე-

ლოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის შეთანხმება ჩამოყალიბებული, რომ, მისი შინაარსის მიხედვით, შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, რომელ არბიტრაჟს ეხება დათქმა. დაუშვებელია, საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის, ან ერთობლივად არბიტრაჟის და სასამართლოს განსჯადობა გამომდინარეობდეს“ (სუსგ №ას-804-858-2011, 27.06.2011წ). „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულიად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება ასევე წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შინაარსობრივად ურთიერთთანხმვედრი ნების გამოვლენას (გარიგებას), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ნების გამოვლენის ნამდვილობის ყველა წინაპირობას. კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას. შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. და-

უშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს. ...ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზოგადი დათქმა დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე არ შეიძლება მიჩნეულიყო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო შეთანხმებად, ვინაიდან მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების არსებით პირობაზე – კონკრეტულ არბიტრაჟზე, რომლის კომპეტენციასაც აღიარებს ორივე მხარე“ (სუსგ №ას-416-389-2010, 28.06.2010წ).

22. საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ამავე კანონის მე-8 მუხლის ცალკეულ ქვეპუნქტზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებასა და ფორმას ადგენს: „1. საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. 2. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. 3. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. 4. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა“. არბიტრაჟის კანონის 44-ე და 45-ე მუხლები ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების, ასევე, მათზე უარის თქმის საფუძვლებს, 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ.“ ქვეპუნქტის მიხედვით: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება“.

23. ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 (1) მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია ერთ-ერთი საფუძველი, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შეიძლება უარი ეთქვას იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მხარე უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საკასაციო სასამართლო, განსახილველ

შემთხვევაში, ყურადღებას გაამახვილებს, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ მოთხოვნილი ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების უარყოფა ეფუძნება კონვენციის ზემოხსენებულ ნორმას, რადგან უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველია, საკასაციო სასამართლოს მიერ მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5 მუხლის, რომლის სახელწოდებაა – „არბიტრაჟი“ – შინაარსის, როგორც მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების, დადგენა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტდნენ ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა ინგლისის სამართლის გამოყენებით. აღნიშნული მუხლის სათაურისა და მისი შინაარსის ერთობლივი გაანალიზებითა და „ვინრო“ ინტერპრეტაციით, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მომავალში წარმოშობილ დავაზე, მხარეებმა გაითვალისწინეს დათქმა, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებდა დამატებით შეთანხმებას და დაზუსტებას და არ იყო დაკონკრეტებული, ზოგადად, ინგლისური სამართლის გამოყენების გარდა, რომელიმე არბიტრაჟის, ინსტიტუციური თუ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილი ე.წ. ad-hoc არბიტრის ან სასამართლოს მიერ მოხდებოდა საქმის განხილვა. უფრო მეტიც, თუკი დასახელებული მუხლის რუსულენოვან ტექსტს დავეყრდნობით, მხარეებს, დავის მოლაპარაკების გზით შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობები უნდა მოენესრიგებინათ და განემართათ ინგლისის სამართლის გამოყენებით (იხ. ამ განჩინების მე-19 პუნქტი), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შუამდგომლობის ავტორის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლის სათაური „არბიტრაჟი“ საარბიტრაჟო განხილვას ნიშნავს, მხოლოდ იმას შეიძლება ადასტურებდეს, რომ მხარეებმა გაითვალისწინეს საარბიტრაჟო დათქმა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით და არ შეთანხმებულან კონკრეტულ არბიტრაჟზე.

24. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5 მუხლის შინაარსის, როგორც საარბიტრაჟო დათქმის განმარტების შემთხვევაშიც კი, იგი განიხილება როგორც ხელშეკრულების ნაწილი და

ეხება ჯერ არარსებულ, მომავალში ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავის ინგლისის სამართლისათვის დაქვემდებარებას მხარეთა შეთანხმებით (იხ. მოპასუხის პოზიცია ამ განჩინების 13.3-13.5 ქვეპუნქტებში, ასევე, მე-19 პუნქტში მითითებული 5.1 და 5.2. ქვეპუნქტების დეფინიცია). მითითებულ დასკვნას, დასაბუთებული არგუმენტაციით ვერ აბათილებს შუამდგომლობის ავტორის მტკიცება, რომელიც, თავის მხრივ, ინგლისელი ბარისტერის მოსაზრებას (იხ. ამ განჩინების 12.3 ქვეპუნქტი) ეყრდნობა და ეფუძნება ტესტს, თუ რას მიიჩნევდა გონიერი პირი მხარეების განზრახვად, მათ მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე, იმ მომენტისათვის, მხარეების შესაბამისი ცოდნის გათვალისწინებით. სწორედ აღნიშნული ტესტის გამოყენებით, იმ დაშვებითაც კი, რომ მე-5 მუხლში მხარეთა ნება გამოვლენილია საარბიტრაჟო დათქმის სახით, მის არცერთ ქვეპუნქტში არ არის მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი და სხვა მატერიალური ხასიათის თუ პროცედურული საკითხები, რომლებიც, არბიტრაჟის გზით, დავის გადაწყვეტისათვის იქნებოდა მხარეთა შორის შეთანხმებული სსკ-ის 50-ე, 327-ე მუხლებით დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საარბიტრაჟო დათქმისაგან განსხვავებით, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც ზოგადი ცნებაა, შესაძლოა საარბიტრაჟო ხელშეკრულებაა ცხებოდეს, რომელიც იდება მხარეთა შორის უკვე წარმოშობილი დავის გამო და საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მის გადასაწყვეტად.

25. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტზე, რომელიც არბიტრის გადაწყვეტილების შედეგს ასახავს და თავად ერთპიროვნული არბიტრის მიერ გადაწყვეტილების 3.2 ქვეპუნქტში მითითებულ დავის საგანზე: მიმწოდებლის მოსაზრებით (შუამდგომლობის ავტორი), „მყიდველმა არ მიიღო (და არ გადაიხადა) შეთანხმებული მისაწოდებელი საქონლის მთლიანი მოცულობა. ვინაიდან, მყიდველმა უარი განაცხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვაზე იმ შემთხვევაში, თუ არ შემცირდებოდა ფასი, მიმწოდებელმა შეწყვიტა ხელშეკრულება და მოსთხოვა მყიდველს მიმწოდებლის მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურება“. მოსარჩელის (შუამდგომლობის ავტორის) მითითებული მოთხოვნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კიდევ ერთხელ დასტურდება წინამდებარე განჩინების 21-23 პუნქტებში განვითარებული მსჯელობისა და დას-

კვნების დასაბუთებულობა, რომ მხარეთა შეთანხმების საარბიტრაჟო დათქმად განხილვის პირობებშიც კი, დგინდება, რომ მოსარჩელემ არა ხელშეკრულების შესრულება, არამედ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა, რადგან ხელშეკრულება შეწყვეტა (იხ. ასევე, ამ განჩინების 13.4 ქვეპუნქტი). სწორედ ამ მოთხოვნაზე იმსჯელა ერთპიროვნულმა არბიტრმა, შესაბამისად, იმ დაშვებითაც, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლი არის საარბიტრაჟო დათქმა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული დათქმა მომავალში წარმოშობილ დავას ეხება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, არბიტრმა კი განიხილა საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ხელშეკრულების მე-5 მუხლის საარბიტრაჟო დათქმად მიჩნევის შემთხვევაშიც, არბიტრმა იმსჯელა გამყიდველის მიერ წარდგენილ მეორად მოთხოვნაზე, რომელიც ეხებოდა ზიანის ანაზღაურებას, რაც არ გამომდინარეობს მე-5 მუხლით გათვალისწინებული დათქმიდან, რადგან აღნიშნული ეხებოდა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გადაწყვეტას და არა მისი შეწყვეტის შედეგად, მხარის უფლებას, მიემართა არბიტრაჟისათვის მოწინააღმდეგისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით. მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5 მუხლის „ვინრო“ განმარტებით, ხელშეკრულების შესრულებასა (პირველადი მოთხოვნა) და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ზიანის ანაზღაურების (მეორადი მოთხოვნა) მოთხოვნათა შორის კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პირველად მოთხოვნას. განსახილველ შემთხვევაში, ერთპიროვნულმა არბიტრმა დავა განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო მოსარჩელის მეორადი მოთხოვნიდან გამომდინარე, რითაც იგი გასცდა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებს.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლით მხარეთა შორის გამოვლენილი ნება დადგინდა, უზენაესი სასამართლო აღარ იმსჯელებს მოპასუხის სხვა არგუმენტებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების უარყოფის საფუძველებს ეხება, რადგან საარბიტრაჟო დათქმის შინაარსის გამოკვლევით, სასამართლომ დაადგინა ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 (1) „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წინაპირობა, რაც წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის უარყოფის საფუძველია, შესაბამისად, აღარ განიხილება

გადაწყვეტილების აღსრულების საკითხიც.

27. „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები“ (იხ. სუსგ №ა-2135-შ-46-2015, 26.10.2015წ.).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის კონვენციის პირველი მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, მე-3 და მე-4 მუხლებით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე, 73¹-ე მუხლებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²²-ე მუხლით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 264-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს-ის „G“ შუამდგომლობა ლონდონში საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის დაკისრება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ა-3151-შ-83-2016

1 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სსს „ი-მ“ (შემდგომში – „შუამდგომლობის ავტორი“, „მოსარჩელე“ ან „დამკვეთი“) საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს (შემდგომში – „საარბიტრაჟო სასამართლო“) 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების (შემდგომში – „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, რომლის თანახმად, სს ... „ს-ს“ (შემდგომში – „მონინააღმდეგე მხარე“, „მოპასუხე“ ან „შემსრულებელი“) შუამდგომლობის ავტორის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების სახით 760 682.88 აშშ დოლარის გადახდა; აგრეთვე, სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის ძირითად თანხაზე – 760 682.88 აშშ დოლარზე დარიცხული პროცენტი 2013 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 27 იანვრის ჩათვლით – 63 203.79 აშშ დოლარის ოდენობით; ასევე სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის ძირითად თანხაზე – 760 682.88 აშშ დოლარზე დარიცხული პროცენტი, რომელიც მოიცავს პერიოდს 2016 წლის 28 იანვრიდან მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღის ჩათვლით და გამომდინარეობს კრედიტორის ადგილსამყოფელზე არსებული, რუსეთის ბანკის მიერ გამოქვეყნებული და შესაბამის პერიოდში აშშ დოლარში ფიზიკურ პირთა ანაბრებზე საშუალო საბანკო პროცენტიდან; ასევე საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის – 26105.00 აშშ დოლარის ანაზღაურება.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად, შუამდგომლობის ავტორმა/მოსარჩელემ მოწინააღმდეგე მხარისათვის ძირითადი დავალიანების სახით 760 682,88 აშშ დოლარისა და სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის სახით 177 960,50 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა 2015 წლის 25 მარტს.

3. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ 2002 წლის 12 სექტემბერს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (შემდგომში – „ხელშეკრულება 2002“) მოპასუხეს მოსარჩელისთვის უნდა გაენია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან საქართველოს ელექტროქსელებით მესამე ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებში ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურება, საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოყენების გარეშე.

4. მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 14 მარტს მხარეთა შორის დაიდო ანაზღაურებადი მომსახურების ხელშეკრულება №... (შემდგომში – „ხელშეკრულება 2005“), რომლის თანახმად, მოპასუხემ აიღო ვალდებულება მოსარჩელის დავალებით განეხორციელებინა საქმიანობა ვლ-500 კვ. პს. „ცენტრალნაია“-ენგური ჰესის („კავკასიონი“) რუსეთის უბანზე საქართველოს ტერიტორიიდან ელექტროენერჯის გადაცემის ტექნიკური პირობების ეფექტურობის გაზრდასთან დაკავშირებით, ხოლო მოსარჩელემ აიღო ვალდებულება აენაზღაურებინა განუთლი მომსახურების საფასური. 2006 წლის 8 დეკემბერს მხარეები დამატებით შეთანხმდნენ, რომ დამკვეთის ვალდებულებები ხელშეკრულება 2002-ის ფარგლებში ჩაითვლებოდა შესრულებულად, ხოლო აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად დამკვეთის მიერ წინასწარ გადახდილი გამოუყენებელი სახსრები, 1 366 776,93 აშშ დოლარის ოდენობით, დამატებითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მიიჩნეოდა დამკვეთის ავანსად ხელშეკრულება 2005-ის ანგარიშსწორების ფარგლებში და გადაირიცხებოდა დებიტორულ ნაშთზე.

5. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მხარეებმა ზემოაღნიშნული დამატებითი ხელშეკრულებით ცვლილება შეიტანეს ხელშეკრულება 2005-ში და განსაზღვრეს შემსრულებლის მომსახურების ანაზღაურების წესიც, რომლის თანახმად, 2006 წლის 1 ოქტომბრიდან შემსრულებლის მომსახურება ანაზღაურდებოდა მომსახურების განვეის აქტის საფუძველზე, შემსრულებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, მომსახურების განვეის აქტის მიხედვით მომსახურების ღირებულების 60%-ის ოდენო-

ბით, ხოლო მომსახურების ღირებულების დარჩენილი 40%-ის დაფარვა განხორციელდებოდა ავანსის თანხიდან, ამასთან, აღნიშნული პუნქტის მოქმედება შეწყდებოდა შემსრულებლის მომსახურების ანაზღაურების შედეგად დამკვეთის ავანსის მთლიანი თანხის გამოყენების შემდეგ.

6. მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულება 2005-ის 2008 წლის 12 ნოემბრის №8 დამატებითი შეთანხმებით მხარეებმა აღიარეს, რომ 2007 წლის ივნის-აგვისტოს თვეებში, 2008 წლის აპრილ-მაისის თვეებსა და 2008 წლის ივლისის თვეში მოპასუხეს მოსარჩელისათვის მომსახურება არ გაუწევია.

7. მხარეებმა 2012 წლის 19 დეკემბერს გააფორმეს დამატებითი შეთანხმება №10, რომლითაც ცვლილება შეიტანეს ხელშეკრულება 2005-ში და განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულება 2005 მოქმედებდა 2013 წლის 31 იანვრამდე, ხოლო მხარეთა ფინანსური ვალდებულებების ნაწილში, – მათ სრულ შესრულებამდე.

8. საარბიტრაჟო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მომსახურების განევის აქტების შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მომენტი-სათვის, 2013 წლის 31 იანვრისთვის, აუთვისებელი ავანსის თანხა შეადგენდა 760 682,88 აშშ დოლარს.

9. გამომდინარე იქედან, რომ სხვისი ფულადი სახსრების დაკავების სამართლებრივი საფუძველი გაუქმდა ხელშეკრულება 2005-ის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, საარბიტრაჟო სასამართლომ მიიჩნია, რომ აუთვისებელი ავანსი 760 682,88 აშშ დოლარის ოდენობით რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით, ექვემდებარებოდა მოსარჩელისთვის დაბრუნებას.

10. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის მსვლელობის დროს სადავო გახადა საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის საკითხი, კერძოდ, მოპასუხე აცხადებდა, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა მხარეთა შორის წარმოშობილი დავის განხილვა, გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულება 2005-ში არსებული საარბიტრაჟო დათქმა უთითებდა ისეთ დავებზე, რომლებიც წარმოიშობოდა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების პერიოდში. მოპასუხის განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტასთან ერთად წყდება მისი შესრულებაც. მოპასუხე აღნიშნავდა, რომ მოსარჩელე ითხოვდა თანხის დაკისრებას უსაფუძვლო გამდიდრებიდან გა-

მომდინარე, რაც არ იყო დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან და ატარებდა არასახელშეკრულებო მოთხოვნის ხასიათს. შესაბამისად, მოპასუხის აზრით, საარბიტრაჟო შეთანხმება აღნიშნული დავის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე მხარეთა შორის მიღწეული არ ყოფილა.

11. საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილა რა საკუთარი კომპეტენციის საკითხი, მოპასუხის პრეტენზია მიიჩნია უსაფუძვლოდ. კერძოდ, საარბიტრაჟო სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე გადახდევინების შესახებ წარმოადგენდა მოთხოვნას, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულება 2005-დან გამომდინარეობდა და მისი განუყოფელი ნაწილი იყო.

12. საარბიტრაჟო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მხარეთა შეთანხმების მიხედვით, თანხები, რომლებიც მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა წინასწარი გადასახდელების სახით, ხელშეკრულება 2002-ის შესაბამისად, მის შეწყვეტასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა ხელშეკრულება 2005-ით გათვალისწინებულ ავანსს. აღნიშნული სახსრები გამოიყენებოდა ხელშეკრულება 2005-ით განეული მომსახურების ანაზღაურებისათვის.

13. საარბიტრაჟო სასამართლომ მიუთითა 2012 წლის 19 დეკემბრის №10 დამატებით შეთანხმებაზე, რომლის მიხედვით, ხელშეკრულება 2005 ძალაშია 2013 წლის 31 იანვრამდე, ხოლო ფინანსური ვალდებულებების ნაწილში – მათ სრულ შესრულებამდე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულება 2005-ში არ არის მოცემული ტერმინის „ფინანსური ვალდებულებები“ განმარტება და, ვინაიდან მხარეებმა არაერთხელ გაითვალისწინეს, რომ მათ შორის ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ავანსის სრულად ამონურვამდე (2006 წლის 8 დეკემბრის დამატებითი შეთანხმების მე-5 პუნქტი და 2012 წლის 12 ნოემბრის №8 დამატებითი შეთანხმების მე-3 პუნქტი), საარბიტრაჟო სასამართლომ დასაბუთებულად და მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობების შესაბამისად მიიჩნია ავანსის სახით ანგარიშსწორების დაკვალიფიცირება მხარეთა ფინანსურ ვალდებულებად.

14. საარბიტრაჟო სასამართლოს მითითებით, კანონით ან ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას, რომ ხელშეკრულების ვადის დასრულებას მოჰყვება მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეწყვეტა, ხოლო ის ხელშეკრულება, რომელშიც ასეთი პირობა არ არის ჩადებული, ითვლება ძალაში მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების მომენ-

ტამდე. საარბიტრაჟო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება 2005-ში ასეთი პირობა არ იყო მოცემული. გარდა ამისა, მხარეებმა 2012 წლის 19 დეკემბრის №10 დამატებით შეთანხმებაში პირდაპირ გაითვალისწინეს, რომ ფინანსური ვალდებულებების ნაწილში ხელშეკრულება 2005 ძალაში იყო ფინანსური ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ეხებოდა იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს, რომელიც განაგრძობდა მოქმედებას მხარეთა მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებამდე. შესაბამისად, მას გააჩნდა აღნიშნული დავის განხილვის კომპეტენცია.

15. საარბიტრაჟო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე თავის შესაგებელში ეყრდნობოდა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებს (უნიდროას პრინციპებს), თუმცა, საარბიტრაჟო სასამართლოს განმარტებით, გამომდინარე იქედან, რომ, ხელშეკრულება 2005-ის თანახმად, მხარეები შეთანხმებულნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით დავების გადაწყვეტაზე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობების მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო სწორედ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი.

16. შუამდგომლობაზე დართული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობიდან დგინდება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა აღსასრულებლად მისი გამოტანის თარიღიდან, 2016 წლის 5 აპრილიდან.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

18. 2016 წლის 4 ოქტომბერს მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადგინა მოსაზრება, რომლითაც მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვა და აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა.

19. მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის (შემდგომში – „ნიუ-იორკის კონვენცია“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და „არ-

ბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტზე, რომელთა თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია.

20. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, მის მიერ ხელშეკრულების დადებისას გამოვლენილი ნება არ ყოფილა, რომ საარბიტრაჟო განხილვის საგანი გამხდარიყო ამავე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი ქონებრივი დავა და, მით უმეტეს, მის ნებას არ შეესაბამებოდა უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნების განხილვა საარბიტრაჟო წარმოების წესებით. შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარის ნება პირდაპირ არ გამომდინარეობს არც ხელშეკრულებიდან და არც სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან.

21. მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა, აგრეთვე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის კიდევ ერთ საფუძველზე, კერძოდ, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. მოწინააღმდეგე მხარემ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებას საფუძვლად არ უდევს ხელშეკრულება, ხოლო საარბიტრაჟო დათქმა სადავო საკითხის საარბიტრაჟო წესით გადწყვეტასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, აუცილებლად სახელშეკრულებო შეთანხმების ფარგლებში. შესაბამისად, მხარეები წინასწარ ვერ შეთანხმდებოდნენ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნების საარბიტრაჟო წესით განხილვაზე.

22. მოწინააღმდეგე მხარემ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის საფუძვლით გაასაჩივრა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოში.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ნო-

ემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მონინალმდეგე მხარის განცხადება და დადგინდა შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენით.

24. 2016 წლის 14 დეკემბერს შუამდგომლობის ავტორმა მონინალმდეგე მხარის პასუხზე წარმოადგინა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება, რომლის თანახმად, მონინალმდეგე მხარეს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით განცხადების დაკმაყოფილებაზე და მოსკოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის დადგენილება, რომლითაც უცვლელი დარჩა ზემოაღნიშნული განჩინება.

25. შუამდგომლობის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობა, რომლის მოქმედებაც მხარეებმა გაავრცელეს ხელშეკრულებაზე (მათ შორის, საარბიტრაჟო შეთანხმებაზე) ადგენს კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავების შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებას. თუმცა, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე მითითება არ ნიშნავს, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ მხარეთა შორის ურთიერთობა აუთვისებელი ავანსის დაბრუნების თაობაზე განმარტა, როგორც – არასახელშეკრულებო. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები უშუალოდ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. ამასთან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა წყვეტს მოვალის ვალდებულებას შეასრულოს მომავალში მოქმედებები, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, მაგრამ არ წყვეტს მხარეთა უფლება-მოვალეობებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შესრულებულის დაბრუნებაზე მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოებული ქონებრივი მიწოდებების არაეკვივალენტურობის შემთხვევაში.

26. შუამდგომლობის ავტორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება 2005-ის ფარგლებში მხარეთა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს, ერთის მხრივ, დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის განეული მომსახურების ღირებულების გადახდების უზრუნველყოფას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობებით, ხოლო, მეორეს მხრივ, – შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის ხელშეკრულება 2005-ის ფარგლებში ავანსად გადახდილი თანხის ნაშთის დაბრუნებას.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრუ-

ლების საკითხი განიხილა ზეპირი მოსმენით 2016 წლის 16 დეკემბერს გამართულ სხდომაზე.

28. მონინალმდეგე მხარემ ზეპირ სხდომაზე დააზუსტა, რომ იგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმას ითხოვს ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტსა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით და განმარტა, რომ საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილია, არ არსებობს მისი ბათილობის საფუძველი, თუმცა, იმ საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებში, რომელზე დაყრდნობითაც მიიღო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სასამართლომ და რომელზეც შეთანხმდნენ მხარეები, საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო კომპეტენტური განეხილა მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობდა უსაფუძვლო გამდიდრებიდან, რადგან საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციას მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილი დავების მიმართ, ამასთან, მონინალმდეგე მხარემ კვლავ დააყენა პრეტენზია, რომ შუამდგომლობის ავტორს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარი უნდა ეთქვას „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით.

29. 2016 წლის 16 დეკემბრის ზეპირ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და მას განესაზღვრა ერთკვირიანი ვადა დამატებითი დასაბუთებული პოზიციის წარმოსადგენად.

30. 2016 წლის 22 დეკემბერს მონინალმდეგე მხარემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს განჩინების ასლი და განმარტა, რომ, წარმოდგენილი განჩინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, აღნიშნული განჩინების თანახმად, ერთ-ერთ დავაზე ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლო არ მიიჩნია დავის განმხილველ უფლებამოსილ სასამართლოდ, რადგან ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებული იყო სწორედ უსაფუძვლო გამდიდრებასთან.

31. ზემოაღნიშნულის პასუხად, 2016 წლის 27 დეკემბერს შუამდგომლობის ავტორმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის დადგენილება,

რომლითაც გაუქმებულია მონინალმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს განჩინება და მიუთითა, რომ აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძველი გახდა სამართლის ნორმათა განმარტებისა და გამოყენების ერთგვაროვნების დარღვევა, რაც ადასტურებს, რომ, რუსეთის ფედერაციის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აუთვისებელი ავანსის დაკისრების შესახებ ნორმები არ გამოიყენება იმ სახით, როგორც მიუთითებს მონინალმდეგე მხარე.

სამოტივაციო ნაწილი:

32. სსს „ი-ს“ შუამდგომლობით მოთხოვნილი, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, რაც ემყარება ხელშეკრულებებისა და საქმის მასალების შეზღუდული სახით გამოკვლევას და მხარეთა პოზიციების ზეპირი მოსმენით განხილვას, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

33. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს:

33.1. დავის განმხილველი საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის არსებობის საკითხი ანუ სახეზეა თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი;

33.2. დავა, რომელზეც მიღებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება იყოს თუ არა საარბიტრაჟო განხილვის საგანი ანუ სახეზეა თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

34. საკასაციო სასამართლო მონინალმდეგე მხარის მიერ და-

ყენებულ ზემოაღნიშნულ პრეტენზიებს განიხილავს ცალ-ცალკე.

35. საკასაციო პალატა მოცემულ შემთხვევაში მსჯელობს მონინალმდეგე მხარის პრეტენზიაზე, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლო გასცდა მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებს, გამომდინარე იქედან, რომ საარბიტრაჟო დათქმის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლო იხილავს ისეთ დავებს, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელე ითხოვდა თანხის დაკისრებას უსაფუძვლო გამდიდრების წესებით, რაც არ იყო დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან და ატარებდა არასახელშეკრულებო ხასიათს.

36. საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის თაობაზე მონინალმდეგე მხარის პრეტენზიის საკითხის განხილვამდე საკასაციო პალატას მნიშვნელოვნად მიაჩნია იმ გარემოებაზე მითითება, რომ მონინალმდეგე მხარემ აღნიშნული საკითხი სადავო გახადა თავად საარბიტრაჟო წარმოების დროს სწორედ იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც იგი ითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას (იხ. მოცემული განჩინების მე-10 პუნქტი). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას საკუთარი კომპეტენციის თაობაზე (იხ. მოცემული განჩინების მე-11-მე-14 პუნქტები) არ აქვს სავალდებულო ძალა საკასაციო სასამართლოსთვის, რადგან სხვაგვარად აზრს მოკლებული იქნებოდა მონინალმდეგე მხარის მიერ ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნის დაყენება.

37. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას არ განიხილავს არსებითად. „ამასთან, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების ფართოდ განმარტება დაუშვებელია, რადგან თუკი არსებობს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კონვენციით გათვალისწინებული საფუძველი, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს დისკრეცია შეზღუდულია“.

ლუდულია“ (სუსგ №ა-887-შ-21-2016, 2016 წლის 26 აგვისტო).

38. ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო დათქმა. ხელშეკრულება 2005-ის მე-9 მუხლი, რომლის სათაურია – „დავების გადანყვეტა“, შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, რომლის თანახმად: 9.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, მხარე მეორე მხარეს უგზავნის პრეტენზიას ფაქსიმილური კავშირით ფოსტით სავალდებულო ჩაბარების გზით. პრეტენზიის შესრულების ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს მხარის მიერ პრეტენზიის ფაქსიმილური ასლის მიღების თარიღიდან. 9.2. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენზიის წესით მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას სადავო საკითხებზე, უთანხმოებები გადანყვეტა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოში, რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით. 9.3. სასამართლოს გადანყვეტილება მხარეთათვის საბოლოოა.

39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის ზემოაღნიშნული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობა არ არის სადავო (იხ. მოცემული განჩინების 28-ე პუნქტი). შესაბამისად, ნამდვილია მხარეთა შეთანხმებაც ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილი სადავო საკითხების მიმართ რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის გამოყენების თაობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ხელშეკრულება 2005-ის 12.3 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა სხვა საკითხს, რომელიც არ იყო განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები გადანყვეტდნენ ასევე რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის არსებობის საკითხს განიხილავს სწორედ რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების შესაბამისად.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოწინააღმდეგე მხარეს. ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მან არა მარტო უნდა მიუთითოს საკასაციო პალატას

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველზე, არამედ უნდა წარუდგინოს კიდევ სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები.

42. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერც წერილობით და ვერც ზეპირი ახსნა-განმარტებების დროს საკასაციო პალატას ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ საარბიტრაჟო დათქმის მიმართ გამოსაყენებელი რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით, ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების წესებით არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას, არ განეკუთვნება ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილ სადავო საკითხთა წრეს და, შესაბამისად, არ ექცევა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში.

43. საკასაციო პალატა მიუთითებს შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, რომლებშიც მათ იმსჯელეს მოცემული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სწორედ საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის საფუძველით (იხ. მოცემული განჩინების 22-ე და 24-ე პუნქტები). გამომდინარე იქედან, რომ, საარბიტრაჟო დათქმის თანახმად, დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი ემთხვევა საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალს, საკასაციო პალატას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვნად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური სასამართლოების გადაწყვეტილებები, რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის ნორმების განმარტების კუთხით.

44. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინების თანახმად, ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა ხელშეკრულებით გაცემული ავანსის გადახდევინების შესახებ, რომლის ათვისებაც არ განხორციელდა ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, უშუალოდ გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული და საარბიტრაჟო დათქმის თანახმად შედიოდა საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციაში. ქალაქ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ მიუთითა, რომ აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა უშუალოდ დაკავშირებული იყო

ხელშეკრულების შესრულებასთან, რომელიც ძალაში რჩებოდა ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. რამდენადაც ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მექანიზმი, ხოლო კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული დაბრუნების განსაკუთრებული წესები, ქალაქ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ მართებულად გამოიყენა რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის დებულებები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ, კერძოდ, კოდექსის 1103-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ქალაქ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ განმარტა, რომ აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან. გარდა აუთვისებელი ავანსისა, როდესაც ხელშეკრულების მხარეთა შორის დაშვებულია უსაფუძვლო გამდიდრების წესებით მოთხოვნების წაყენება, ქალაქ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ, მაგალითების სახით, მიუთითა ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა ერთი და იმავე მომსახურებისთვის ან საქონლისთვის ორმაგი ფასის გადახდა, გამყიდველის მიერ მყიდველისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზედმეტი რაოდენობის მიწოდება, მიყენებული ზიანის ორმაგი ანაზღაურება და აღნიშნა, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების, როგორც შესრულების საფუძვლის, შემოწმების გარეშე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა არის უსაფუძვლოდ გადახდილი, ხოლო ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება შესაძლებელია სწორედ იმიტომ, რომ ის გადახდილია უსაფუძვლოდ, რადგან მისი გადახდა არ ეფუძნება ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ შესრულდა მასთან დაკავშირებით.

45. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება მოსკოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით უცვლელი დარჩა.

46. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიუთითებს შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის დადგენილებაზე (იხ. მოცემული განჩინების 31-ე პუნქტი), რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს განჩინება საარბიტრაჟო შეთან-

ხმების არარსებობის შესახებ. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ გადახდილი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა წარდგინების ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ იურიდიულად წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ხელშეკრულების გარეშე მოთხოვნას და არ შეიძლება მიჩნეულიყო ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულად, არასწორი იყო.

47. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საარბიტრაჟო დათქმის მიმართ გამოყენებული რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას და ექცევა ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილი დავების კატეგორიაში. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს ჰქონდა კომპეტენცია აღნიშნული დავის განსახილველად.

48. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დავის მიმართ საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების შემთხვევაშიც აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა მიჩნეული იქნებოდა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებში წარმოშობილად.

49. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აუთვისებელი ავანსის დაბრუნების ვალდებულება წარმოადგენს ფულად ვალდებულებას, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლი, რომლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს გამოთხოვილი. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად კი, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარეგნის ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოშობა ან შეწყდა შემდგომში. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მსგავსად, აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა ექვემდებარება უსაფუძვლო გამდიდ-

რების წესებით დაბრუნებას.

50. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლის მიერ უსაფუძვლო გამდიდრების წესებზე მითითება არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ხელშეკრულებასთან. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია საარბიტრაჟო დათქმის მოქმედებიდან ხელშეკრულებიდან გამომდინარე აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნის გამორიცხვა მხოლოდ იმ დასაბუთებით, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნები არასახელშეკრულებო (კანონისმიერ) მოთხოვნათა რიცხვს განეკუთვნება. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება 2005-ში არსებული დათქმა უნდა განიმარტოს თავად მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შინაარსისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით, ამასთან საკასაციო სასამართლოს არაერთხელ მიუთითებია, რომ „ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს“ (სუსგ №ას-358-343-2016, 2016 წლის 3 ივნისი). მოცემულ შემთხვევაში შემსრულებლის მიერ მიღებული სარგებელი წარმოადგენს სწორედ ხელშეკრულება 2005-ის თანმდევ შედეგს, შემსრულებელმა ავანსი მიიღო სწორედ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იმ ვარაუდით, რომ მოხდებოდა მისი სრულად გახარჯვა (იხ. მოცემული განჩინების მე-5 პუნქტი). ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სამომავლო შესრულებისაგან, მაგრამ არ ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად უკვე შესრულებულის დაბრუნების ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, როცა შესრულება და საპასუხო შესრულება არაექვივალენტურია ხელშეკრულების მოქმედების (ხელშეკრულების შესრულების) პერიოდში. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ ხელშეკრულებიდან, დაკავშირებულია მის შესრულებასთან და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხელშეკრულების გარეშე მოთხოვნად.

51. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშეკრულება 2005-ის თანახმად, მისი მოქმედება ძალაშია ფინანსური ვალდებულებების ნაწილში მათ სრულ შესრულებამდე (იხ. მოცემული განჩინების მე-7 პუნქტი). საარ-

ბიტრაჟო სასამართლომ აუთვისებელი ავანსის დაბრუნების ვალდებულება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მიიჩნია სწორედ ფინანსურ ვალდებულებად და ხელშეკრულება 2005-ის შეწყვეტა დაუკავშირა აუთვისებელი ავანსის, როგორც ფინანსური ვალდებულების, შესრულებას. გამომდინარე აქედან, აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა სრულად ექცევა ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილი დავების კატეგორიაში.

52. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მონინალმდევე მხარის პრეტენზია საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის თაობაზე, დაუსაბუთებელია.

53. მონინალმდევე მხარის მეორე პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საშუალებას აძლევს მოცემული კონვენციის ხელშემკერელი სახელმწიფოების სასამართლოებს უარი თქვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დავის საგანი, რომელზეც მიღებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არ შეიძლება იყოს განხილული არბიტრაჟის მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც არის მოთხოვნილი აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. სხვაგვარად რომ ითქვას, აღნიშნული ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო ამონმებს, შეიძლება თუ არა დავა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით და ხომ არ ექვემდებარება იგი მხოლოდ სასამართლო განხილვას.

54. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი მონმდება *ex officio* თავად სასამართლოს ინიციატივით, რადგან აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმა ერთ-ერთია იმ იმპერატიულ ნორმებს შორის, რომლებიც ეროვნულ სასამართლოებს საშუალებას აძლევს დაიცვან თავიანთი სამართლებრივი წესრიგის ძირითადი პრინციპები.

55. ამასთან, საკასაციო სასამართლო მონინალმდევე მხარის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო არ ამონმებს იმ საკითხს, დავა, რომელზეც მიღებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ხვდება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების მოქმედების სფეროში. აღნიშნული საკითხი საკასაციო სასამართლომ უკვე შეამონმა მოცემული გან-

ჩინების წინა პუნქტებში, ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

56. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

57. მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მხარეთა შორის წარმოშობილ დავაზე, რომელიც ეხება, ანაზღაურებადი მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაბრუნების საკითხს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა განეკუთვნება პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ დავას და, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.

58. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსს „ი-ს“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

59. ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშეკრული სახელმწიფო ვალდებულია ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

60. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

61. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი, 150 ლარის ოდენობით, აქედან გამომდინარე, მო-

წინააღმდეგე მხარეს უნდა დაეკისროს შუამდგომლობის ავტორის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსს „ი-ს“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც სსს ... „ს-ს“ სსს „ი-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების სახით 760 682.88 აშშ დოლარის გადახდა; აგრეთვე სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის ძირითად თანხაზე – 760 682.88 აშშ დოლარზე დარიცხული პროცენტები 2013 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 27 იანვრის ჩათვლით – 63 203.79 აშშ დოლარის ოდენობით; ასევე სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის ძირითად თანხაზე – 760 203.79 აშშ დოლარზე დარიცხული პროცენტი რომელიც მოიცავს პერიოდს 2016 წლის 28 იანვრიდან მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღის ჩათვლით და გამომდინარეობს კრედიტორის ადგილსამყოფელზე არსებული, რუსეთის ბანკის მიერ გამოქვეყნებული და შესაბამის პერიოდში აშშ დოლარში ფიზიკურ პირთა ანაბრებზე საშუალო საბანკო პროცენტიდან; ასევე საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის 26 105.00 აშშ დოლარის ანაზღაურება;

3. სსს ... „ს-ს“ სსს „ი-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის დაკისრება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ა-1132-შ-32-2017

28 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეცი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბელარუსის რესპუბლიკის, ქ. მინსკის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ინდ.მე-წარმე თ. ც-იას ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარული საწარმო „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 12 510,99 აშშ დოლარის ანაზღაურება.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარულმა საწარმომ „ბ-მა“ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ:

ა) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, არ გასაჩივრებულა, შესულია კანონიერ ძალაში 2016 წლის 20 დეკემბერს და ექვემდებარება აღსრულებას;

ბ) თანხის დაკისრების ნაწილში გაცემულია სააღსრულებო ბრძანება, თუმცა სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულა;

გ) სასამართლო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე ეკონომიკური სასამართლოს დავალება არ შესრულებულა, თუმცა, ბელარუსის რესპუბლიკის სამეურნეო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად, ეს გარემოება მხარის ინფორმირებას წარმოადგენდა და სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა საქმე, ამასთანავე, წარმოდგენილია საქმის განმხილველი სასამარ-

თლოს მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, თავად ეს ცნობა ემყარება საფოსტო შეტყობინებას, რომელიც ასლის სახით ერთვის შუამდგომლობას;

დ) მოპასუხეს საქართველოში გააჩნია ადგილსამყოფელი.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად. საკასაციო პალატის ზემოხსენებული განჩინებისა და თანდართული მასალების ჩაბარების მიზნით, საკასაციო სასამართლომ განკარგა ყველა საპროცესო საშუალება, თუმცა თ. ც-ია ვერც მხარის მიერ მითითებულ და ვერც საკასაციო სასამართლოს მიერ შერჩეულ მისამართზე ვერ მოიძებნა, ამ შემთხვევაში პალატა თვლის, რომ მხარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, მიიჩნევა ინფორმირებულად, ხოლო, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარული საწარმო „ბ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის, ქ. მინსკის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ინდ.მენარმე თ. ც-იას, ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარული საწარმო „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 12 510,99 აშშ დოლარის ანაზღაურება.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარულმა საწარმომ „ბ-მა“ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ:

ა) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, არ გასაჩივრე-

ბულა, შესულია კანონიერ ძალაში 2016 წლის 20 დეკემბერს და ექვემდებარება აღსრულებას;

ბ) თანხის დაკისრების ნაწილში გაცემულია სააღსრულებო ბრძანება, თუმცა სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულია;

გ) სასამართლო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე ეკონომიკური სასამართლოს დავალება არ შესრულებულა, თუმცა, ბელარუსის რესპუბლიკის სამეურნეო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად, ეს გარემოება მხარის ინფორმირებას წარმოადგენდა და სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა საქმე, ამასთანავე, წარმოდგენილია საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, თავად ეს ცნობა ემყარება საფოსტო შეტყობინებას, რომელიც ასლის სახით ერთვის შუამდგომლობას;

დ) მოპასუხეს საქართველოში გააჩნია ადგილსამყოფელი.

4. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვე-

ვაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის, ქ. მინსკის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ინდ. მენარმე თ. ც-იას, ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარული სანარმო „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 12 510,99 აშშ დოლარის გადახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარული სანარმო „ბ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ინდ.მენარმე თ. ც-იას ბელარუსის რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო უნიტარული სანარმო „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 12 510,99 აშშ დოლარი.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის დაკისრება
განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ა-3627-შ-98-2016

28 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბელარუსის რესპუბლიკის, ბრესტსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით ინდ.მენარმე თ. ც-იას დახურული სააქციო საზოგადოება „ლ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 39 250 აშშ დოლარისა და 73 ცენტის, ასევე, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 15 834 989 ბელარუსული რუბლის გადახდა, რაც 802 აშშ დოლარისა და 10 ცენტის ეკვივალენტია.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დახურულმა სააქციო საზოგადოება „ლ-მა“ (დირექტორი გ. გ.მ-ი) და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება როგორც ძირითადი თანხის, ისე – სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ:

ა) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში 2016 წლის 14 ივლისის და ექვემდებარება აღსრულებას;

ბ) როგორც ძირითადი თანხის, ისე – სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულა;

გ) სასამართლოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მოპა-

სუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, მასვე ჩაბარდა სარჩელის ასლი;

დ) მოპასუხე საქართველოს მოქალაქეა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად. საკასაციო პალატის შემოსენებული განჩინებისა და თანდართული მასალების ჩაბარების მიზნით, საკასაციო სასამართლომ განკარგა ყველა საპროცესო საშუალება, თუმცა, თ. ც-ია ვერც მხარის მიერ მითითებულ და ვერც საკასაციო სასამართლოს მიერ შერჩეულ მისამართზე ვერ იქნა მოძიებული, ამ შემთხვევაში პალატა თვლის, რომ მხარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, მიიჩნევა ინფორმირებულად, ხოლო, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ დახურული სააქციო საზოგადოება „ლ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის, ბრესტსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ბელარუსის რესპუბლიკის, ბრესტსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით ინდ.მენარმე თ. ც-იას დახურული სააქციო საზოგადოება „ლ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 39 250 აშშ დოლარისა და 73 ცენტის, ასევე, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 15 834 989 ბელარუსული რუბლის გადახდა, რაც 802 აშშ დოლარისა და 10 ცენტის ეკვივალენტია.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დახურულმა სააქციო საზოგადოება „ლ-მა“ (დირექტორი გ. გ.მ-ი) და მოითხოვა ზემოსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება როგორც ძირითადი თანხის, ისე – სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ:

ა) გადანყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე

ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში 2016 წლის 14 ივლისს და ექვემდებარება აღსრულებას;

ბ) როგორც ძირითადი თანხის, ისე – სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულა;

გ) სასამართლოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, მასვე ჩაბარდა სარჩელის ასლი;

დ) მოპასუხე საქართველოს მოქალაქეა.

4. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ინდ.მენარმე თ. ც-იას დახურული სააქციო საზოგადოება „ლ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 39 250 აშშ დოლარისა და 73 ცენტის, ასევე, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 15 834 989 ბელარუსული რუბლის (რაც წარმოადგენს 802

აშშ დოლარისა და 10 ცენტის ეკვივალენტს) გადახდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 71-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დახურული სააქციო საზოგადოება „ლ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ინდ.მენარმე თ. ც-იას დახურული სააქციო საზოგადოება „ლ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 39 250 აშშ დოლარისა და 73 ცენტის, ასევე, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 15 834 989 ბელარუსული რუბლის გადახდა, რაც წარმოადგენს 802 აშშ დოლარისა და 10 ცენტის ეკვივალენტს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის დაკისრება

ბანკინება საქართველოს სასჯელით

№ა-2432-შ-65-2017

17 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. კ-ის ასულ ბ-ს მიერ 2012 წლის 28 აგვისტოს გაცემული №.. სააღსრულებო წარწერის მიხედვით, 1978 წლის 14 სექტემბერს დაბადებულ შ. ვ-ის ძე ბ-ს, 1976 წლის 7 მაისს დაბადებულ რ. ვ-ის ასულ ტ-ესა და 1987 წლის 2 მარტს დაბადებულ დ. ვ-ის ძე ა-ს ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის,“ (ადგილმდებარეობა: ქ. მ-ი, ყ-ის ქ. №..) ფილიალის ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი“ – ვ-ის საოლქო სამმართველოს (ადგილმდებარეობა: ქ. ვ-ი, დ-ის ქ. №.., უნპ ..., ანგარიში №..., ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ ფილიალი – ვ-ის საოლქო სამმართველო, მფო ...,) სასარგებლოდ 2009 წლის 16 ნოემბრის №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2009 წლის 16 ნოემბრიდან 2012 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით, სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი ვალის – 1720122 ბელარუსის რუბლის გადახდა, ასევე დაეკისრათ პროცენტის – 1314140 ბელარუსის რუბლის, პირგასამტეხლოს 3798330 ბელარუსის რუბლის და სააღსრულებო წარწერის განხორციელებისათვის განეული ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის სახით – 341630 ბელარუსის რუბლის, სანოტარო ტარიფის სახით – 80000 ბელარუსის რუბლის, სულ 7254222 ბელარუსის რუბლის გადახდა.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. კ-ის ასულ ბ-ს მიერ 2013 წლის 8 მაისს გაცემული №.. სააღსრულებო წარწერის მიხედვით, 1978 წლის 14 სექტემბერს დაბადებულ შ. ვ-ის ძე ბ-ს, 1976 წლის 7 მაისს დაბადებულ რ. ვ-ის ასულ ტ-ესა და 1987 წლის 2 მარტს დაბადებულ დ. ვ-ის ძე ა-ს ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ (ადგილმდებარეობა: ქ. მ-ი, ყ-ის ქ. №..) ფი-

ლიალის – ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი – ვ-ის საოლქო სამმართველოს (ადგილმდებარეობა: ქ. ვ-ი, დ-ის ქ. №., უნჯ ..., ანგარიში №..., ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ ფილიალი – ვ-ის საოლქო სამმართველოს, კოდი ...) სასარგებლოდ 2009 წლის 16 ნოემბრის №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2012 წლის 29 აგვისტოდან 2012 წლის 17 აპრილის ჩათვლით, სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი ვალის – 1579128 ბელარუსის რუბლის გადახდა, ასევე დაეკისრათ პროცენტის – 1405370 ბელარუსის რუბლის და სააღსრულებო წარწერის განხორციელებისათვის განეული ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის სახით – 149225 ბელარუსის რუბლის, სანოტარო ტარიფის სახით – 80000 ბელარუსის რუბლის, სულ 3213723 ბელარუსის რუბლის გადახდა.

ღია სააქციო საზოგადოება „ბ-მა“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა კერძო ნოტარიუს გ. ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. და 2013 წლის 8 მაისის №.. სააღსრულებო წარწერების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და იძულებითი აღსრულება საქართველოს მოქალაქეების – შ. ვ-ის ძე ბ-ისა და რ. ვ-ის ასულ ტ-ის ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემომითითებული სააღსრულებო წარწერები ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ივნისის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ შუამდგომლობა კერძო ნოტარიუს გ. ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. და 2013 წლის 8 მაისის №.. სააღსრულებო წარწერების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის და იძულებითი აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად და მოწინააღმდეგე მხარეებს განემარტათ, რომ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში აქვთ თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მათ შეუძლიათ მოითხოვონ საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნული შუამდგომლობა, საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის განჩინების, ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ შუამდგომლობისა და შუამდგომლობაზე დართული მასალების ასლები შ. ბ-სა და რ. ტ-ეს ორჯერ გაეგზავნათ საქმეში მითითებულ მისამართზე, მაგრამ ფოსტიდან დაბრუნებული შეტყობინებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ მისამართზე კურიერს არავინ დახვდა.

საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტს დაევალა შ. ბ-ისათვის და რ. ტ-ისათვის ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ჩაბარება, მაგრამ ვერ მოხერხდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დადგინდა უწყების ჩაბარება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით – საჯარო შეტყობინებით და განთავსდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე საჯაროდ გაცნობის მიზნით.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარეებს თავიანთი მოსაზრება არ წარმოუდგენიათ და არც რაიმე შუამდგომლობით მოუპართავთ უზენაესი სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ შუამდგომლობა კერძო ნოტარიუს გ. ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. და 2013 წლის 8 მაისის №.. სააღსრულებო წარწერების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს მოქალაქეების – შ. ვ-ის ძე ბ-ისა და რ. ვ-ის ასულ ტ-ის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. კ-ის ასულ ბ-ს მიერ 2012 წლის 28 აგვისტოს გაცემული №.. სააღსრულებო წარწერის მიხედვით, 1978 წლის 14 სექტემბერს დაბადებულ შ. ვ-ის ძე ბ-ს, 1976 წლის 7 მაისს დაბადებულ რ. ვ-ის ასულ ტ-ესა და 1987 წლის 2 მარტს დაბადებულ დ. ვ-ის ძე ა-ს ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“, (ადგილმდებარეობა: ქ. მ-ი, ყ-ის ქ. №..) ფილიალის ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი“ – ვ-ის საოლქო სამმართველოს (ადგილმდებარეობა: ქ. ვ-ი, დ-ის ქ. №31, უნპ ..., ანგარიში №..., ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ ფილიალი – ვ-ის საოლქო სამმართველო, მფო ...) სასარგებლოდ 2009 წლის 16 ნოემბრის №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2009 წლის 16 ნოემბრიდან 2012 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით, სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი ვალის – 1720122 ბელარუსის რუბლის გადახდა, ასევე დაეკისრათ პროცენტის – 1314140 ბელარუსის რუბლის, პირგასამტეხლოს 3798330 ბელა-

რუსის რუბლის და სააღსრულებო წარწერის განხორციელები-სათვის განეული ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის სახით – 341630 ბელარუსის რუბლის, სანოტარო ტარიფის სახით – 80000 ბელარუსის რუბლის, სულ 7254222 ბელარუსის რუბლის გადახდა.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. კ-ის ასულ ბ-ს მიერ 2013 წლის 8 მაისს გაცემული №.. სააღსრულებო წარწერის მიხედვით, 1978 წლის 14 სექტემბერს დაბადებულ შ. ვ-ის ძე ბ-ს, 1976 წლის 7 მაისს დაბადებულ რ. ვ-ის ასულ ტ-ესა და 1987 წლის 2 მარტს დაბადებულ დ. ვ-ის ძე ა-ს ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ (ადგილმდებარეობა: ქ. მ-ი, ჟ-ის ქ. №..) ფილიალის – ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი – ვ-ის საოლქო სამმართველოს (ადგილმდებარეობა: ქ. ვ-ი, დ-ის ქ. №31, უნპ ..., ანგარიში №..., ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ ფილიალი – ვ-ის საოლქო სამმართველოს, კოდი ...) სასარგებლოდ 2009 წლის 16 ნოემბრის №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2012 წლის 29 აგვისტოდან 2012 წლის 17 აპრილის ჩათვლით, სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი ვალის – 1579128 ბელარუსის რუბლის გადახდა, ასევე დაეკისრათ პროცენტის – 1405370 ბელარუსის რუბლის და სააღსრულებო წარწერის განხორციელებისათვის განეული ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის სახით – 149225 ბელარუსის რუბლის, სანოტარო ტარიფის სახით – 80000 ბელარუსის რუბლის, სულ 3213723 ბელარუსის რუბლის გადახდა.

ღია სააქციო საზოგადოება „ბ. ბ-ის“ ფილიალმა ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი – ვ-ის საოლქო სამმართველომ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა კერძო ნოტარიუს გ. ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. და 2013 წლის 8 მაისის №.. სააღსრულებო წარწერების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და იძულებითი აღსრულება საქართველოს მოქალაქეების – შ. ვ-ის ძე ბ-ისა და რ. ვ-ის ასულ ტ-ის ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემომითითებული სააღსრულებო წარწერები ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარეებს თავიანთი მოსაზრება არ წარმოუდგენიათ და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავთ უზენაესი სასამართლოსათვის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. და 2013 წლის 8 მაისის №.. სააღსრულებო წარწერები ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუსის – გ. ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. და 2013 წლის 8 მაისის №.. სააღსრულებო წარწერების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად: ა) ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. კ-ის ასულ ბ-ს მიერ გაცემული 2012 წლის 28 აგვისტოს №.. სააღსრულებო წარწერა, რომლის თანახმად 1978 წლის 14 სექტემბერს დაბადებულ შ. ვ-ის ძე ბ-ს, 1976 წლის 7 მაისს დაბადებულ რ. ვ-ის ასულ ტ-ეს სააქციო საზოგადოება „ბ-ის,“ (ადგილმდებარეობა: ქ. მ-ი, ყ-ის ქ. №..) ფილიალის ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი – ვ-ის საოლქო სამმართველოს (ადგილმდებარეობა: ქ. ვ-ი, დ-ის ქ. №.., უნა ..., ანგარიში №..., ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ ფილიალი – ვ-ის საოლქო სამმართველო, მფო ...) სასარგებლოდ 2009 წლის 16 ნოემბრის №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2009 წლის 16 ნოემბრიდან 2012 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით, სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი ვალის – 1720122 ბელარუსის რუბლის გა-

დახდა, ასევე დაეკისრათ პროცენტის – 1314140 ბელარუსის რუბლის, პირგასამტეხლოს 3798330 ბელარუსის რუბლის და სააღსრულებო წარწერის განხორციელებისათვის განეული ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის სახით – 341630 ბელარუსის რუბლის, სანოტარო ტარიფის სახით – 80000 ბელარუსის რუბლის, სულ 7254222 ბელარუსის რუბლის გადახდა;

ბ) ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ვ-ის კერძო ნოტარიუს გ. კ-ის ასულ ბ-ს მიერ 2013 წლის 8 მაისს გაცემული №.. სააღსრულებო წარწერა, რომლის თანახმად 1978 წლის 14 სექტემბერს დაბადებულ შ. ვ-ის ძე ბ-ს, 1976 წლის 7 მაისს დაბადებულ რ. ვ-ის ასულ ტ-ეს ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ (ადგილმდებარეობა: ქ.მ-ი, ჟ-ის ქ. №..) ფილიალის – ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ი – ვ-ის საოლქო სამმართველოს (ადგილმდებარეობა: ქ. ვ-ი, დ-ის ქ. №., უნზ ..., ანგარიში № ..., ღია სააქციო საზოგადოება „ბ-ის“ ფილიალი – ვ-ის საოლქო სამმართველოს, კოდი ...) სასარგებლოდ 2009 წლის 16 ნოემბრის № ... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2012 წლის 29 აგვისტოდან 2012 წლის 17 აპრილის ჩათვლით, სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი ვალის – 1579128 ბელარუსის რუბლის გადახდა, ასევე დაეკისრათ პროცენტის – 1405370 ბელარუსის რუბლის და სააღსრულებო წარწერის განხორციელებისათვის განეული ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის სახით – 149225 ბელარუსის რუბლის, სანოტარო ტარიფის სახით – 80000 ბელარუსის რუბლის, სულ 3213723 ბელარუსის რუბლის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სსსსი

ბანკინება საქართველოს სახელით

№ა-3533-შ-93-2017

14 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 11 იანვრის ხელწერილით დადასტურებულია, რომ ვ. ვ-მა (შემდეგში: მოსარჩელე, გამსესხებელი, კრედიტორი ან შუამდგომლობის ავტორი) მ. ფ-ეს (შემდეგში: მოპასუხე, მსესხებელი, მოვალე ან მონინალმდევე მხარე) ასესხა 2 300 000 რუბლი, ორი თვის ვადით, პროცენტის ოდენობა თვეში 5%-ით განისაზღვრა.

2. გამსესხებელმა სარჩელი აღძრა მსესხებლის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 5 626 675.84 რუბლის (ძირითადი თანხა – 2 300 000 რუბლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი – 2 932 500 რუბლი, კანონით გათვალისწინებული პროცენტი – 394 255.84 რუბლი) დაკისრება, სესხის ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

3. რუსეთის ფედერაციის, ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის №2-2582/2016 გადაწყვეტილებით კრედიტორის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მსესხებელს, გამსესხებლის სასარგებლოდ, დაეკისრა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხის – 2 300 000 რუბლის, სესხით სარგებლობის პროცენტის – 230 000 რუბლის და სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის – 455 924,20 რუბლის, ჯამში – 2 985 924,2 რუსული რუბლის ანაზღაურება.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეები კანონით დადგენილი წესით მიწვეული იყვნენ საქმის განხილვაზე, თუმცა, მოსარჩელე და მოპასუხე

სხდომას არ დასწრებიან. მათ ინტერესებს მათივე უფლებამოსილი წარმომადგენლები იცავდნენ. უცხო ქვეყნის სასამართლო აღნიშნავს, რომ მოვალემ არაერთხელ წარადგინა მოსაზრება სარჩელის წინააღმდეგ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისთვის სარჩელისა და სასამართლო განხილვის თაობაზე ცნობილი იყო, ხოლო მისი პრეტენზიები საქმის გაჭიანურებას ისახავდა მიზნად.

5. მოპასუხემ უცხო ქვეყნის სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ჩატარებულიყო გრაფიკული ექსპერტიზა, რაც დაადასტურებდა, რომ მოსარჩელისაგან სესხის ალების შესახებ ხელწერილი მოპასუხეს არ დაუწერია. სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა, თუმცა, მასში მონაწილეობის მისაღებად, ხელწერის ნიმუშის ასაღებად, მოვალე არ გამოცხადდა. მოპასუხემ განმარტა, რომ ის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა და ექსპერტიზაზე გამოცხადებას ვერ შეძლებდა, რადგან პასპორტი ჰქონდა დაკარგული.

6. უცხო ქვეყნის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოვალის მიერ მოსარჩელისათვის სესხის დაბრუნების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ იყო, რის გამოც სარჩელი დასაბუთებულად მიიჩნია. უცხო ქვეყნის სასამართლო მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ოდენობაში არ დაეთანხმა და განმარტა, რომ მოვალეს მხოლოდ 2 თვის პროცენტი უნდა დაეკისროს, ისე, როგორც ეს მხარეთა შეთანხმებით იყო დადგენილი.

7. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსესხებლის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

8. ქ. ორენბურგის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეების სასამართლო კოლეგიის 2017 წლის 9 თებერვლის სააპელაციო განჩინებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, უსაფუძვლობის გამო, არ დაკმაყოფილდა.

9. 2017 წლის 21 აგვისტოს მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა რუსეთის ფედერაციის, ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის №2-2582/2016 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულება.

10. შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და რუსეთის ფედერაციის

ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

12. შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების ასლი, შუამდგომლობისა და თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად, მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა და განემარტა, რომ აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში აქვს აზრის გამოთქმის უფლება, ასევე, მას შეუძლია, მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

13. 2018 წლის 30 იანვარს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მოწინააღმდეგე მხარემ და განმარტა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება არ უნდა მოხდეს, რადგან მას კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა სხდომის თაობაზე და არ მიეცა შესაძლებლობა საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო. მას რომ მისცემოდა შესაძლებლობა წარმდგარიყო უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს წინაშე, ის აუცილებლად დაამტკიცებდა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა.

14. მოწინააღმდეგე მხარემ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა ითხოვა.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა დაინიშნა 2018 წლის 28 თებერვალს, 16:00 საათზე, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იქნენ მხარეები.

16. 2018 წლის 28 თებერვლის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდა. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა №8 პენიტენციური დაწესებულების ოქმი, სადაც მითითებულია, რომ მსჯავრდებული (განსახილველი საქმის მოპასუხე) სათანადო წესით არ იყო ინფორმირებული სხდომის თაობაზე.

17. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო უკუგზავნილი, რომლითაც უტყუარად დასტურდებოდა, რომ №8 პენიტენციურ დაწესებულებას სასამართლოს შეტყობინება, სხდომის დანიშვნისა და მსჯავრდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის შესახებ, ჩაჰბარდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის სხდომა გადაიდო 2018 წლის 14 მარ-

ტისათვის, 16:00 საათზე.

18. 2018 წლის 14 მარტის სხდომაზე გამოცხადდნენ შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელი და მოწინააღმდეგე მხარე. შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტება შუამდგომლობაში დასახელებულ გარემოებებზე მითითებით წარადგინა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ დავის არსებით საკითხებზე ისაუბრა. საკასაციო სასამართლომ განუმარტა მოპასუხეს უზენაესი სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვის პროცესუალურსამართლებრივი ფარგლები და მიუთითა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ სარწმუნოდ უნდა ამტკიცოს ის პროცესუალური საკითხები, რამაც შესაძლოა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა განაპირობოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის, თანდართული მასალებისა და მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა აკმაყოფილებს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდეგში – „მინსკის კონვენცია“) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მოთხოვნებს, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ უნდა იქნეს და აღსრულდეს რუსეთის ფედერაციის, ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის №2-2582/2016 გადაწყვეტილება.

19. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საფუძველზე ირკვევა, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილ სარჩელს ფაქტობრივ საფუძველად დაედო ის გარემოებები, რომ:

19.1. 2013 წლის 11 იანვრის ხელწერილით დადასტურებულია, რომ შუამდგომლობის ავტორმა მოწინააღმდეგე მხარეს ასესხა 2 300 000 რუბლი, ორი თვის ვადით, პროცენტის ოდენობა თვეში 5%-ით განისაზღვრა;

19.2. მოპასუხეს მოსარჩელისათვის ვალი არ დაუბრუნებია.

20. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხეს კანონით დად-

გენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დროისა და თარიღის შესახებ, ის სხდომაზე არ გამოცხადებულა, თუმცა, სხდომას ესწრებოდა და მოპასუხის ინტერესებს იცავდა ამ უკანასკნელის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რაც სავსებით საკმარისი საფუძველია საკასაციო სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ მოპასუხე უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ ჯერონად და სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის ადგილის, დროის, მხარეებისა და დავის საგნის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე თავის წერილობით პასუხში მხოლოდ იმას უთითებს, რომ მას არ ჩაბარებია შეტყობინება სათანადო წესით, თუმცა, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად არ წარმოუდგენია დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ გადანყვეტილებაში მხარის ჯეროვანი ინფორმირების თაობაზე მითითებულ გარემოებას საეჭვოს გახდიდა. მოპასუხე ვერც იმ გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულებაზე უთითებს, რომ ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს სხდომას მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ესწრებოდა.

21. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოპასუხის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით წარიმართა. მოვალემ ისაუბრა დავის არსებით საკითხებზე, სესხის ურთიერთობის არარსებობაზე, მისი განმარტებით, მას სურდა, რომ გრაფიკული ექსპერტიზა საქართველოში ჩატარებულიყო, რაც უცხო ქვეყნის სასამართლომ არ გაითვალისწინა.

22. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩევები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმა-

ვე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

23. ამავე კონვენციის მე-3 თავით მონესრიგებულია გადანყვეტილებათა აღიარება და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-55 მუხლებით დადგენილია გადანყვეტილებათა აღიარებისა და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადანყვეტილების ხელმეორედ არსებით განხილვას.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შუამდგომლობას ერთვის „მინსკის კონვენციის“ 53-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადანყვეტილების აღიარებისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის გადასაწყვეტად, ასევე, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით დადგენილი რომელიმე წინაპირობა წარმოდგენილი შუამდგომლობით მოთხოვნილი სასამართლო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და მის აღსრულებაზე უარსაყოფად.

25. სასამართლო სხდომაზე მოპასუხისმიერ გაჟღერებული პრეტენზიის პასუხად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავის განმხილველი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით არის მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაა მოთხოვნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არსებითად ვერ იმსჯელებს უცხო ქვეყნის გადანყვეტილების სამართლებრივ გამართულობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და საქართველოს უზენაესი სასამართლო მხოლოდ ამ გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების საკითხზე მსჯელობს.

26. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას განემარტა, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება, განემარტა ისიც, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ამას მოითხოვდა. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხემ წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა საქართველოს ტე-

რიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადანყვეტილების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობაზე და ზეპირი განხილვაც მოითხოვა. საკასაციო სასამართლოში მოსარჩელის შუამდგომლობის ზეპირი განხილვა გაიმართა, თუმცა, მოპასუხემ ვერ შეძლო დაედგინებინა, რომ არსებობდა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებასა და აღსრულებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი, გათვალისწინებული მინსკის კონვენციით ან სპეციალური კანონით.

27. საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს „მინსკის კონვენციისა“ და სპეციალური კანონის ზემოხსენებული ნორმებით და აკმაყოფილებს გამსესხებლის შუამდგომლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის 51-55 მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. ვ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებული იქნეს და აღსრულდეს რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის №2-2582/2016 გადანყვეტილება, რომლის საფუძველზე მ. რ-ის ძე ფ-ეს ვ. რ-ის ძე ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრა:
 - 2.1.2013 წლის 11 იანვრის ხელწერილის მიხედვით ძირითადი ვალის – 2 300 000, 00 (ორი მილიონ სამასი ათასი) რუბლის, სესხით სარგებლობის პროცენტების – 230 000, 00 (ორას ოცდაათი ათასი) რუბლის, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის წესით სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობის პროცენტების – 455 924, 20 რუბლის (ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაოთხი რუბლისა და ოცი კაპიკის) გადახდა.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საოჯახო სამართალი

განქორწინება

განჩინება

საქართველოს სასჯელით

№ა-3666-შ-100-2016

31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქორწინება მ. ჯ-ასა და ვ. პ-ს შორის გაუქმდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მართა მ. ჯ-ას წარმომადგენელმა ნ. ქ-ამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით მ. ჯ-ას შუამდგომლობა აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად. ამავე განჩინებით განისაზღვრა, რომ მონინალმდევე მხარეს უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება სახელმწიფო მ. ჯ-ას შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში, აგრეთვე შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

აღნიშნული შუამდგომლობა, საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და შუამდგომლობაზე დართუ-

ლი მასალების ასლები ვ. პ-ს გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე, მაგრამ სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო შეტყობინებიდან ირკვევა, რომ სასამართლო შეტყობინებები მხარეს ვერ ჩაბარდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, ვ. პ-ს ეცნობა ამავე პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინების თაობაზე საჯარო შეტყობინების გზით, რომელიც განთავსდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე.

მონინალმდეგე მხარე ვ. პ-ს კანონით დადგენილ ვადაში თავისი მოსაზრება არ წარმოუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს უზენაესი სასამართლოსთვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ჯ-ას შუამდგომლობა განქორწინების ნაწილში აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქონების განკარგვის მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქორწინება მ. ჯ-ასა და ვ. პ-ს შორის გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მხარეებს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც შეეხება უძრავი ქონების გაყოფას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ჯ-ას წარმომადგენელმა ნ. ქ-ამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-

ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილების ცნობისათვის არ არსებობს.

რაც შეეხება მ. ჯ-ას შუამდგომლობას მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფის ნაწილში აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს:

შუამდგომლობის ავტორი ითხოვს საქართველოში, ქ. თბილისში, კ-ის ქ №...-ში ბ.№... და ბ.№... მდებარე უძრავი ქონების მეუღლეთა შორის გაყოფის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია. ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის საწინააღმდეგო ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება,

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ისეთი კატეგორიის დავებზე, რომლებიც განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება, რადგან ისინი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონება საქართველოს ტერიტორიაზეა, არ არსებობს ქონების გაყოფის ნაწილში აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცნობის წინაპირობები. ასევე არ

არსებობს მითითებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე მიქცევის საფუძველიც, ვინაიდან „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აღსასრულებლად უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების მიქცევის ერთ-ერთი წინაპირობაა იმის დადგენა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება შეესაბამება თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ დათქმებს, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ჯ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. მ. ჯ-ას და ვ. პ-ის განქორწინების ნაწილში აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე; მ. ჯ-ას შუამდგომლობა ქ. თბილისში, კ-ის ქ №...-ში ბ. №... და ბ. №... მდებარე უძრავი ქონების გაყოფის ნაწილში აშშ-ის ნიუ ჯერსის სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განქორწინება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-2982-შ-79-2017

22 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: განქორწინება, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება, მამის თანხმობის გარეშე ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლების მინიჭება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის №2-763/17 გადაწყვეტილებით შეწყდა 2013 წლის 14 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება ი. ზ-სა (შემდეგში: შუამდგომლობის ავტორი, მოსარჩელე, ბავშვის დედა) და ა. ზ-ს (შემდეგში: მოპასუხე, ბავშვის მამა) შორის;

1.1. არასრულწლოვანი შვილის – დ. ზ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი;

1.2. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს 2016 წლის 8 ნოემბრიდან დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის გადახდა შვილის რჩენისათვის, მის სრულწლოვანებამდე;

1.3. დედას მიენიჭა მამის თანხმობის გარეშე ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლება;

1.4. მამას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა ქ. მოსკოვის ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2017 წლის 12 ივლისს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსარჩელის შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და მოითხოვა რეაგირება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდეგში – „მინსკის კონვენცია“) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად.

3. შუამდგომლობის ავტორი ითხოვს რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის №2-763/17 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას.

4. შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

5. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ივლისის განჩინებით შუამდგომლობა წარმოებაშია მიღებული. ამავე განჩინებაში, სპეციალური კანონის 71.3-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხისათვის განმარტებულია მისი უფლებები: გამოთქვას საკუთარი აზრი, ასევე, მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, რაც მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე მოხდება.

6. მოპასუხემ წერილობით წარმოადგინა საკუთარი მოსაზრებები, რომელშიც მიუთითა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა აღსრულდეს პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მას დღემდე არ ჩაბარებია სარჩელი და თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისად, არ ჰქონია საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, რაც საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება;

6.1. ასევე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შემთხვევაშიც, მოპასუხე, რომელიც ლტოლვილია, უმუშევარი, საცხოვრებელი პირობები და არავითარი შემოსავალი არ გააჩნია, ვერ შეძლებს მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აღიმენტის 26 000 (ოცდაექვსი ათასი) რუბლის, რომელიც 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარია, გადახდას, რადგან ამ ოდენობის ხელფასი საქართველოში ცოტას აქვს და არარეალურია არსებული სოციალური ყოფის გათვალისწინებით; საქართველოში საარსებო მინიმუმი 150 (ას ორმოცდაათი) ლარით განისაზღვრება;

6.2. მამა ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის მისი ნებართვის გარეშე საზღვარგარეთ გაყვანას და ამ პოზიციის დაფიქსირების საშუალება რომ მისცემოდა, სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა რუსეთის ფედერაციის სასამართლო.

6.3. მოპასუხე არ ითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით, განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომ-

ლობას, თანდართულ მასალებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა აკმაყოფილებს წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული „მინსკის კონვენციისა“ და სპეციალური კანონის მოთხოვნებს, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ უნდა იქნეს და აღსრულდეს რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის №2-763/17 გადაწყვეტილება.

7. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის განწყვეტილების საფუძველზე ირკვევა, რომ არასრულწლოვანის დედის მიერ წარდგენილ სარჩელს ფაქტობრივ საფუძველად დაედო ის გარემოებები, რომ:

7.1. 2015 წლის 21 იანვრიდან მეუღლეებს შორის დაიძაბა ურთიერთობა, ხოლო იმავე წლის 5 აგვისტოდან ფაქტობრივად შეწყდა მათ შორის საქორწინო ურთიერთობა. ამის შემდეგ მოპასუხე გაემგზავრა და მხარეები განცალკევებით ცხოვრობენ;

7.2. მოპასუხე ყურადღებას არ აქცევს ოჯახს, მხარეებს აღარ აქვთ საერთო მეურნეობა და ბიუჯეტი;

7.3. ბავშვი დედასთან ერთად ცხოვრობს და მის კმაყოფაზე იმყოფება;

8. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ უცხო ქვეყნის განწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხეს (არასრულწლოვანის მამას) კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დროისა და თარიღის შესახებ, კერძოდ, სასამართლო შეტყობინება დაბრუნდა აღნიშვნით: „შენახვის ვადის ამონაწერის გამო“, რაც სავსებით საკმარისი საფუძველია საკასაციო სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ მოპასუხე უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ ჯეროვნად და სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის ადგილის, დროის, მხარეებისა და დავის საგნის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე თავის წერილობით პასუხში მხოლოდ იმას უთითებს, რომ მას არ ჩაბარებია შეტყობინება სათანადო წესით, თუმცა, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად არ წარმოუდგენია დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ გადაწყვეტილებაში მხარის ჯეროვანი ინფორმირების თაობაზე მითითებულ გარემოებას საეჭვოს გახდიდა (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი)

8.1. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში მითითებულია: იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლომ მიიღო ზომები მოპასუხის შეტყო-

ბინებისათვის მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო საქმის განხილვის გადადება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე, გამოიწვევდა საქმის გონივრულ ვადებში განხილვაზე მოსარჩელის უფლების დარღვევას, სასამართლომ დასახელებული კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლებლად მიიჩნია საქმის განხილვა მოპასუხის დასწრების გარეშე.

9. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დანესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

10. ამავე კონვენციის მე-3 თავით მონესრიგებულია გადაწყვეტილებათა აღიარება და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-55 მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებათა აღიარებისა და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილების ხელმეორედ არსებით განხილვას.

11. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შუამდგომლობას ერთვის „მინსკის კონვენციის“ 53-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების წინაპირობების შემონმების საკითხის გადასაწყვეტად, ასევე, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით დადგენილი რომელიმე წინაპირობა წარმოდგენილი შუამ-

დგომლობით მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და მის აღსრულებაზე უარსაყოფად.

12. ამ განჩინების 6.1 ქვეპუნქტში ასახული მოპასუხის წერილობითი პრეტენზიის პასუხად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით არის მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაა მოთხოვნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს რუსეთის ფედერაციაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანაწესის მიხედვით.

13. ამ განჩინების მე-2 პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას განემარტა, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება, განემარტა ისიც, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ამას მოითხოვდა. როგორც უკვე აღინიშნა მოპასუხემ წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობაზე.

14. საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს „მინსკის კონვენციისა“ და სპეციალური კანონის ზემოხსენებული ნორმებით და აკმაყოფილებს ი. ზ-ის შუამდგომლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ზ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ იქნეს და აღ-

სრულდეს რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის №2-763/17 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე:

2.1. შეწყდა საქართველოში, სიღნაღის რაიონის სამოქალაქო რეესტრში 2013 წლის 14 ოქტომბერს №49133000449 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება ა. ზ-სა და ი. ზ-ს (ლ-ას) შორის;

2.1.1. ქორწინება შეწყვეტილად იქნა მიჩნეული ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის №2-763/17 გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან;

2.2. არასრულწლოვანი დ. ა-ს ძე ზ-ის /დაბადებულის 21.01.2015წ./ საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ი. ზ-ის საცხოვრებელი ადგილი;

2.3. ა. ზ-ს /დაბადებულს 08.08.1991წ./, მცხ. საქართველოში, ქ. ო., ი. ვ-ის ასული ზ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი დ. ა-ს ძე ზ-ის /დაბადებულის 21.01.2015წ./ სარჩენად, რაც შეადგენს 26 318 (ოცდაექვსი ათას სამას თერამეტი) რუბლს, რაც არის ქ. მოსკოვში ბავშვებისათვის დაწესებული საცხოვრებელი მინიმუმის ორმაგი ოდენობა და აითვლება 2016 წლის 8 ნოემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, თანმდევი ინდექსაციის გათვალისწინებით, ქ. მოსკოვში ბავშვებისათვის დადგენილი საცხოვრებელი მინიმუმის კანონით დადგენილი ოდენობის გაზრდის პროპორციულად;

2.4. აღიარებულ იქნა არასრულწლოვანი დ. ა-ს ძე ზ-ის /დაბადებულის 21.01.2015წ./ უფლება, დროებით გაემგზავროს რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ – ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის შენგენის ხელშეკრულების ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, რუსეთის ფედერაციასთან უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყნებში, თურქეთში, ტაილანდში, ჩინეთში, დომინიკელთა რესპუბლიკაში, აშშ-ში, კანადაში, კუბის რესპუბლიკაში, ისრაელში – დასასვენებლად კანონიერი წარმომადგენლის – ი. ვ-ის ასული ზ-ის თანხლებით, გამგზავრებაზე მამის – ა. ზ-ის თანხმობის გარეშე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტის დაკისრება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ა-4113-შ-115-2016

26 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2016 წლის 17 ნოემბერს №7479 წერილით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდეგში – მინსკის კონვენცია) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, შემდგომი მსვლელობისათვის გადმოგზავნა ო. კ.-ას (შემდეგში: მოსარჩელე, შუამდგომლობის ავტორი, ბავშვის დედა ან კრედიტორი) შუამდგომლობა საქართველოს მოქალაქის ზ. დ.-ისათვის (შემდეგში: მოპასუხე, ბავშვის მამა ან მოვალე) ალიმენტის დაკისრების თაობაზე, ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ.

2. საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან და ჰყავთ მცირეწლოვანი შვილი, 2013 წლის 5 იანვარს დაბადებული, რ. ზ.-ის ძე დ-ე (შემდეგში: ბავშვი ან მცირეწლოვანი).

3. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ბელარუსის რესპუბლიკის კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. იმავე კოდექსის 92-ე მუხლით კი, არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ, მის მშობლებს ეკისრებათ ალიმენტის გადახდა, რომლის

ამოღება ხდება შემდეგი წესით: ერთი ბავშვის სასარგებლოდ – 25%, ორი ბავშვისათვის – 33%, სამი და მეტი ბავშვისათვის – 50% მშობლების ხელფასის ან სხვა შემოსავლის მიხედვით. ამასთან, შრომისუნარიანი მშობლებისათვის აღიმენტის მინიმალური ოდენობა თვეში არ უნდა იყოს ერთი ბავშვისათვის 50%-ზე, ორი ბავშვისათვის – 75%-ზე, ხოლო სამი და მეტი ბავშვისათვის 100%-ზე ნაკლები საარსებო მინიმუმის ბიუჯეტთან მიმართებით მოსახლეობის საშუალო სულადობის მიხედვით.

4. გომელის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილია, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ბავშვის მამის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ მცირეწლოვანი დედის კმაყოფაზეა, ამ უკანასკნელს შვილის რჩენაში მოპასუხე მატერიალურად არ ეხმარება. მამის ვალდებულება, არჩინოს არასრულწლოვანი შვილი კანონიდან გამომდინარეობს.

5. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს (ბავშვის მამას) დაეკისრა აღიმენტი ხელფასის ან სხვა შემოსავლის 25%-ის ოდენობით, რაც არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 50%-ზე ნაკლები მოსახლეობის საშუალო სულადობის მიხედვით. აღიმენტის გადახდა მოპასუხეს დაეკისრა 2014 წლის 15 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

6. გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით, უსწორობის გასწორების შესახებ, ცვლილება შევიდა, რომლითაც კრედიტორისა და მოვალის სახელში (სახელი, გვარი, მამის სახელი) შეტანილია შესწორებები.

7. გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ამავე სასამართლოს მიერ შეტანილი უსწორობის გასწორების საკითხზე (2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების მიხედვით; იხ. მე-5 პუნქტი) იმსჯელა სასამართლომ და გადაწყვიტა, რომ მოვალის (მოპასუხის) მონაცემები, რომლებიც მითითებული იქნა 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ, შეეცვალა. საბოლოოდ, 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სახელი მითითებულია როგორც – ზ. დ-ე. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 14 სექტემბერს.

8. საქმის მასალებშია ცნობა, რომლის მიხედვით გომელის სოვეტსკის რაიონის 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) კანონიერ ძალაში შევიდა 2014

წლის 30 აპრილს და ექვემდებარება აღსრულებას. ასევე, კანონიერ ძალაშია შესული იმავე სასამართლოს მიერ 2015 წლის 8 ივლისსა და 14 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებები უსწორობის გასწორების შესახებ (იხ. ამ განჩინების 6-7 პუნქტები).

9. ზემოხსენებულ ცნობაში მითითებულია, რომ 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოპასუხეს მის საცხოვრებელ მისამართზე გაეგზავნა მითითებული გადაწყვეტილების ასლი, ასევე, განემარტა უფლება გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ. მოპასუხეს 2014 წლის 19 აპრილს ჩაბარდა გადაწყვეტილების ასლი, თუმცა, დადგენილ ათდღიან ვადაში მას არ გამოუთქვამს პრეტენზია გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ, რის გამოც იგი უცვლელად დარჩა და ექვემდებარება აღსრულებას.

10. გომელის სოვეტსკის რაიონის 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება სრულდებოდა ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 2016 წლის 3 ივნისს სააღსრულებო დოკუმენტი დაუბრუნდა მოსარჩელეს იმ მიზნით, რომ დადგენილიყო მოპასუხის (მოვალის) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ასევე, სამუშაო ადგილი საქართველოში.

11. საქმეში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, მოვალის დავალიანება 2016 წლის 1 მაისიდან შეადგენს 50 282 255 (ორმოცდაათი მილიონ ორას ოთხმოცდაორი ათას ორას ოცდახუთი) რუბლს ბელარუსის ნაციონალური ბანკის მონაცემების მიხედვით ან 5 028 (ხუთი ათას ოცდარვა) რუბლსა და 23 (ოცდასამი) კაპიკს ბელარუსის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის მიხედვით (2016 წლის 1 ივლისის დენომინაციის გათვალისწინებით). იმავე ცნობის მიხედვით, მოვალე (დაბადებული 15.07.1975წ.) ცხოვრობს საქართველოში, ქ. ბათუმში, ლ-ის ქუჩაზე, სახლი № 6 ვ, ბინა №27.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების თაობაზე განსახილველად მიიღო.

13. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით 2016 წლის 9 დეკემბერს, შემდეგ განმეორებით – 26 დეკემბერს გაეგზავნა მოპასუხეს, რომელსაც ვერ ჩაბარდა გზავნილები იმ მითითებით, რომ სახლში

არავინ იყო, ხოლო კურიერმა ორივე შემთხვევაში დატოვა შეტყობინება.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს დაევალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინების ასლისა და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) მოპასუხისათვის ჩაბარება მის საცხოვრებელ მისამართზე (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი).

15. პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 6 თებერვლის წერილითა და თანდართული ცნობით დასტურდება, რომ მოპასუხე და მისი ოჯახის წევრები არ იმყოფებოდნენ საცხოვრებელ მისამართზე, რის გამოც ვერ მოხერხდა სასამართლოს გზავნილის მხარისათვის ჩაბარება.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით, საჯარო შეტყობინებით გავრცელდა მე-14 პუნქტში მითითებული განჩინება და მოპასუხეს განემარტა უფლება, წარმოადგინოს მოსაზრება შუამდგომლობის თაობაზე შეტყობინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში, ასევე, განემარტა უფლება, რომ შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე (წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლი).

17. საქმის მასალებში მოთავსებული აქტის მიხედვით დგინდება, რომ მე-16 პუნქტში მითითებული საჯარო შეტყობინება 2017 წლის 9 მარტს განთავსდა უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. საჯარო შეტყობინების გავრცელებიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შვიდდღიან ვადაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება. საპროცესო კანონით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს რაიმე მოსაზრება ან შუამდგომლობა არ წარმოუდგენია საკასაციო სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ ო. კ-ას შუამ-

დგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტიკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და იძულებითი აღსრულების შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

18. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყყარად დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო მოსარჩელეს სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნდა მოპასუხის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი და სამუშაო მისამართების) დადგენის მიზნით (იხ. ამ განჩინების 7-10 პუნქტები).

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას დაეყრდნობა „მინსკის კონვენციის“ მონესრიგებას.

20. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დანესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

21. ამავე კონვენციის მე-3 თავით მონესრიგებულია გადანაცვლებათა აღიარება და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-55 მუხლებით დადგენილია გადანაცვლებათა აღიარებისა და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

22. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნილია ქ. გომელის სო-ვეტსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა (იხ. 1, 2, 11 პუნქტები).

23. საქმის მასალებში წარმოდგენილი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებისა და ცნობების მიხედვით დგინდება, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იქნა ინფორმირებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და იგი გარკვეულ დრომდე ასრულებდა კიდევ ვალდებულებას – იხდიდა ალიმენტს.

24. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს. ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი საპროცესო შესაძლებლობა, რათა მოპასუხისათვის ჩაბარებინა განსახილველი შუამდგომლობა, თანდართულ მასალებთან ერთად (იხ. წინამდებარე განჩინების 13-17 პუნქტები). აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლოს უწყება (სსსკ-ის 78.2-ე მუხლი). მოპასუხეს არ მოუმართავს შუამდგომლობით ან რაიმე სახის მოთხოვნით საკასაციო სასამართლოსათვის, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული სპეციალური კანონის 68-ე და 70-ე მუხლების წინაპირობები დაცულია და დასაბუთებულია შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების შესახებ, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

25. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

26. ზემოხსენებულ პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლო მი-

აჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მონინალმდეგე მხარეს – მოპასუხეს წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ საჯარო შეტყობინების გზით გავრცელებული განჩინების შესახებ.

27. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო 71-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის, წარმოდგენილი აქვს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ცნობა.

28. „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით, საკასაციო სასამართლო წარმოდგენილ შუამდგომლობას განიხილავს კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში და მიაჩნია, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და იძულებითი აღსრულების შესახებ. ამავე კონვენციის 54.3-ე მუხლით დადგენილია, რომ „იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშეკრული მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება“.

29. ზემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლები წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ო. კ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და იძულებით აღსრულდეს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ზ. დ-ეს (დაბადებულს 15.07.1975წ., მცხოვრებს საქართველოში, ქ. ბათუმში, ლ-ის ქუჩაზე, სახლი №6 ვ, ბინა №27) არასრულწლოვანი შვილის – რ. დ-ის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის სრულწლოვანი ასაკის შესრულებამდე, დაეკისრა 2016 წლის 1 მაისიდან 50 282 255 (ორმოცდაათი მილიონ ორას ოთხმოცდაორი ათას ორას ოცდახუთი) რუბლი ბელარუსის ნაციონალური ბანკის მონაცემების მიხედვით ან 5 028 (ხუთი ათას ოცდარვა) რუბლი და 23 (ოცდასამი) კაპიკი ბელარუსის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის მიხედვით (2016 წლის 1 ივლისის დენომინაციის გათვალისწინებით).

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტის დაკისრება

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ა-1335-შ-34-2017

12 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ალიმენტის და სახელმწიფო ბაჟის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2017 წლის 3 აპრილს №1820 ნერილით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდეგში – მინსკის კონვენცია) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალუ-

რი კანონი) 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, შემდგომი მსვლელობისათვის გადმოგზავნა მოქალაქე მ. მ-ისა (შემდეგში: მოსარჩელე, შუამდგომლობის ავტორი, ან ბავშვის დედა) და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის კომპეტენტური სასამართლოს მოსამართლის შუამდგომლობა საქართველოს მოქალაქის ბ. მ-ისათვის (შემდეგში: მოპასუხე ან ბავშვის მამა) ალიმენტისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ, ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის, ბორისოვის რაიონის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის №2-963/16 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

2. საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე 2013 წლის 7 მაისიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, მათ იმავე წლის 26 ივნისს შეეძინათ შვილი – დ. ბ-ს ძე მ-ი (შემდეგში: ბავშვი ან მცირეწლოვანი).

3. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ბელარუსის რესპუბლიკის კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. იმავე კოდექსის 92-ე მუხლით კი, არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ, მის მშობლებს ეკისრებათ ალიმენტის გადახდა.

4. მინსკის ოლქის ბორისოვის რაიონის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს (ბავშვის მამას, დაბადებულს 1971 წლის 3 სექტემბერს, უმუშევარს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თბილისი, წ-ის ქ., ბინა 103 ა) დაეკისრა ალიმენტი ხელფასის ან სხვა შემოსავლის 25%-ის ოდენობით, რაც არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 50%-ზე ნაკლები მოსახლეობის საშუალო სულადობის მიხედვით. ალიმენტის გადახდა მოპასუხეს დაეკისრა 2016 წლის 2 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. ბორისოვის რაიონის სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 94.34 (ოთხმოცდათოთხმეტი რუბლი და ოცდათოთხმეტი კაპიკი) რუბლი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. საქმის მასალებშია ცნობა, რომლის მიხედვით მინსკის ოლქის ბორისოვის რაიონის 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 23 დეკემბერს, არ აღსრულებულა ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ექვემდებარება აღსრულებას.

6. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობებ-

ში ბავშვის დედა ითხოვს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის, ხოლო ბორისოვის რაიონის სასამართლო – მოპასუხისათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილში.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 13 პრილის განჩინებით მოსარჩელისა და სასამართლოს შუამდგომლობა ბორისოვის რაიონის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე განსახილველად მიიღო.

8. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს 2017 წლის 24 აპრილს, შემდეგ – 5 მაისს, 23 მაისს, რომელსაც ვერ ჩაჰპარდა გზავნილები იმ მითითებით, რომ მისამართი არ იყო ზუსტი.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს დაევალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის განჩინების ასლისა და წარმოდგენილი შუამდგომლობის (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) მოპასუხისათვის ჩაბარება მის საცხოვრებელ მისამართზე.

10. შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 24 ივნისის წერილითა და თანდართული ოქმით დასტურდება, რომ მოპასუხის მისამართი ვერ მოიძებნა, რის გამოც ვერ მოხერხდა სასამართლოს გზავნილის მხარისათვის ჩაბარება.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით, საჯარო შეტყობინებით გავრცელდა მე-7 პუნქტში მითითებული განჩინება და მოპასუხეს განემარტა უფლება, წარმოადგინოს მოსაზრება შუამდგომლობის თაობაზე შეტყობინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში, ასევე, განემარტა უფლება, რომ შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე (წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლი).

12. საქმის მასალებში მოთავსებული აქტის მიხედვით დგინდება, რომ მე-11 პუნქტში მითითებული საჯარო შეტყობინება 2017 წლის 10 ივლისს განთავსდა უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. საჯარო შეტყობინების გავრცელებიდან, საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შვიდდღიან ვადაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება. საპროცესო კანონით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს რაიმე მოსაზრება ან შუამდგომლობა არ წარმოუდგენია საკასაციო სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობებს, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ მ. მ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის, ბორისოვის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის, ბორისოვის რაიონის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

13. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და არ აღსრულებულა ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას დაეყრდნობა „მინსკის კონვენციის“ მოწესრიგებას.

15. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვერელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორითაც მოცემული ხელშემკვერელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვერელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვერელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩეულები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვერილი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

16. ამავე კონვენციის მე-3 თავით მონესრიგებულია გადანყვეტილებათა აღიარება და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-55 მუხლებით დადგენილია გადანყვეტილებათა აღიარებისა და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

17. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნილია ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის, ბორისოვის რაიონის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ აღიმენტის, ხოლო ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – სახელმწიფო ბაჟის გადახდა (იხ. 1, 4-6 პუნქტები).

18. საქმის მასალებში წარმოდგენილი უცხო ქვეყნის გადანყვეტილების მიხედვით დგინდება, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იქნა ინფორმირებული ბორისოვის რაიონის სასამართლოში სხდომის დანიშვნის თაობაზე, რითაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების შესახებ.

19. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს. ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი საპროცესო შესაძლებლობა, რათა მოპასუხისათვის ჩაებარებინა განსახილველი შუამდგომლობა, თანდართულ მასალებთან ერთად (იხ. წინამდებარე განჩინების 8-12 პუნქტები). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო შეტყობინების გავრცელებამდე მოპასუხეს გაეგზავნა უწყება საქმის მასალებში დაფიქსირებულ ორ სხვადასხვა მისამართზე. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება

სასამართლოს უწყება (სსსკ-ის 78.2-ე მუხლი). მოპასუხეს არ მოუმართავს შუამდგომლობით ან რაიმე სახის მოთხოვნით საკასაციო სასამართლოსათვის, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული სპეციალური კანონის 68-ე და 70-ე მუხლების წინაპირობები დაცულია და დასაბუთებულია შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების შესახებ, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

20. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

21. ზემოხსენებულ პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მონინაალმდევე მხარეს – მოპასუხეს წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ საჯარო შეტყობინების გზით გავრცელებული განჩინების შესახებ.

22. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო 71-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის, წარმოდგენილი აქვს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ცნობა.

23. „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით, საკასაციო სასამართლო წარმოდგენილ შუამდგომლობას განიხილავს კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში და მიაჩნია, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და იძულებითი აღსრულების შესახებ. ამავე კონვენციის 54.3-ე მუხლით დადგენილია, რომ „იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშეკრული მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორ-

ციელდეს იძულებითი აღსრულება“.

24. ზემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლები წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. მ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის, ბორისოვის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსრულდეს ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის, ბორისოვის რაიონის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ბ. მ-ს (დაბადებულს 1971 წლის 3 სექტემბერს, უმუშევარს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თბილისი, ნ-ის ქ. 103 ა) არასრულწლოვანი შვილის – დ. მ-ის (დაბადებული 2013 წლის 29 ივნისს) სასარგებლოდ, 2016 წლის 2 თებერვლიდან ამ უკანასკნელის სრულწლოვანი ასაკის შესრულებამდე, ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტი ხელფასის ან სხვა შემოსავლის 25%-ის ოდენობით, რაც არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 50%-ზე ნაკლები მოსახლეობის საშუალო სულადობის მიხედვით; ასევე, მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 94.34 (ოთხმოცდათოთხმეტი რუბლი და ოცდათოთხმეტი კაპიკი) რუბლი ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტის დაკისრება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-3490-შ-89-2017

21 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისთაუს ოლქის ქ.აქთაუს №2 სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის სასამართლო ბრძანებით მ. (მ.) ხ. ო. ს-ს (ო-ს, პირადი ნომერი – ..., მცხოვრებს მისამართზე – ქ.აქთაუ, ..., შემდეგში შუამდგომლობის ავტორს) რ. ბ. ყ. ს-ას (მცხოვრების მისამართზე – ქ.აქთაუ, ..., შემდეგში მონინალმდეგე მხარის) სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი ბავშვების: ფ. მ.ის ძე ს-ის (დაბადებული 2... წლის ... აპრილს) და ს. მ. ო. ს-ის (დაბადებული 2... წლის ... ივლისს) სარჩენად, ყველა სახის გამომუშავების, ან სხვა ყოველთვიური შემოსავლის 1/3-ის ოდენობით, დაწყებული 2009 წლის 15 დეკემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე.

2. შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს ზემოთითებულ ნაწილში გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

4. 2017 წლის 4 ოქტომბერს მონინალმდეგე მხარემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ იშუამდგომლა. მან განმარტა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსით უფადოდ სარგებლობს და პენსიის გარდა, სხვა რაიმე შემოსავალი არ გააჩნია. ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ მონინალმდეგე მხარემ გვარი შეიცვალა და გახდა ო. ი, ნაცვლად ს-ისა. ხსენებულ განცხადებაზე თანდართული სა-

ქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების 2.10.2017წ.-ის ცნობით მართლაც დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარის გვარი ამაჟამად არის ო-ი და იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.

5. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეზე დანიშნა ზეპირი მოსმენა – 2017 წლის 21 დეკემბერს, რის თაობაზეც ორივე მხარეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა. შუამდგომლობის ავტორმა სატელეფონო შეტყობინების მისთვის ჩაბარებისას, თანხმობა განაცხადა, რომ საქმე მისი დასწრების გარეშე განხილულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საქმეზე დადგენილია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისთაუს ოლქის ქაქთაუს №2 სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის სასამართლო ბრძანებით მ. (მ.) ხ. ო. ს-ს (ო-ს, პირადი ნომერი – ..., მცხოვრებს მისამართზე – ქაქთაუ, ..., შემდეგში შუამდგომლობის ავტორს) რ. ბ. ყ. ს-ას (მცხოვრების მისამართზე – ქაქთაუ, ..., შემდეგში მოწინააღმდეგე მხარის) სასარგებლოდ დაეკისრა აღიმენტის გადახდა არასრულწლოვანი ბავშვების: ფ. მის ძე ს-ის (დაბადებულის 2... წლის – აპრილს) და ს. მ. ო. ს-ის (დაბადებულის 2... წლის ... ივლისს) სარჩენად, ყველა სახის გამომუშავების, ან სხვა ყოველთვიური შემოსავლის 1/3-ის ოდენობით, დაწყებული 2009 წლის 15 დეკემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე.

8. შუამდგომლობაზე თანდართული მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. ამასთან, იგი ყაზახეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ნაწილობრივად აღსრულებული, კერძოდ, აღსრულება აღარ მომხდარა 2014 წლის ივლისიდან. აქედან გამომდინარე, მითითებული გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება იმ ნაწილში, რაც არ აღსრულებულა. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირების საკითხს, ამ უკანასკნელმა საკასაციო სასამართლოში წერილობითი შესაგებელი წარმოადგინა და ამავე დროულად, იგი 2017 წლის 21 დეკემბრის სასამართლო სხდომა-

ზეც გამოცხადდა, რა დროსაც სადავოდ არ გაუხდია საქმის სასამართლო განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე მისი ინფორმირების ფაქტი და აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. დასახელებული კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო მოხმობილი ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი. ამავე კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა, 70-ე მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, 71-ე მუხლით დადგენილი აღსრულების პროცედურისათვის კი, შემონეშებულია 68-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები.

10. ამავედროულად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლს, რომლითაც დადგენილია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის არსებობს ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია 1996 წლის 17 სექტემბერს, განსახილველ შემთხვევაში, მას უპირატესობა ენიჭება კონკრეტული სამართლებრივი ნორმების მისადაგებისას, ამიტომ საკასაციო სასამართლო აღარ მიუთითებს „მინსკის“ კონვენციის ანალოგიურ მონესრიგებაზე, რადგან საქმეზე გამოსაკვლევი რომელიმე საკითხის სამართლებრივი დასაბუთე-

ბისათვის არ არსებობს მითითებული კონვენციის კონკრეტული რეგულირების გამოყენების საჭიროება, რაც დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორმხრივი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული საკითხი.

11. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულების (შემდეგში ორმხრივი ხელშეკრულების) რიგ პუნქტებზე. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეები“. ორმხრივი ხელშეკრულების მე-3 მუხლი, სამართლებრივი დახმარების სახით, ადგენს სასამართლო გადანყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, ხოლო მე-4 მუხლით განსაზღვრულია სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას ურთიერთობის წესი. ორმხრივი ხელშეკრულების მეორე თავი ეძღვნება სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო საქმეებზე, მისი მე-18 მუხლით დადგენილია სამართლებრივი დახმარების მოცულობა, მათ შორისაა სასამართლო გადანყვეტილებათა, ცნობა და აღსრულება. ორმხრივი ხელშეკრულების 22-26-ე მუხლები განსაზღვრავენ ცნობასა და აღსრულებას დაქვემდებარებულ გადანყვეტილებათა შესახებ შუამდგომლობის წარდგენის წესს. საკასაციო სასამართლო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყურადღებას იმაზეც გაამახვილებს, რომ ორმხრივი ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასამართლო გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობის წარდგენა შესაძლებელია ხელშემკვერი სახელმწიფოს სასამართლოსადმი, როგორც ცენტრალური ორგანოს მეშვეობით, ასევე, უშუალოდ განმცხადებლის მიმართვით. ამდენად, ამ თვალსაზრისითაც დაცულია ორმხრივი ხელშეკრულების დანაწესი წარმოდგენილი შუამდგომლობის პროცედურული ნაწილის შემოწმების თვალსაზრისით. ამავე ხელშეკრულების 24-ე მუხლით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების შემდგენილი წესია დადგენილი, ასეთი გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება ხორციელდება ხელშეკრულების იმ მხარის სასამართლოს მიერ, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დასახელებულ ნორმებში მითითებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამავდროულად, არსებობს წარმოდგენილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

13. მოწინააღმდეგე მხარის წერილობით მოსაზრებაში მითითებულ, ისევე როგორც, მის მიერ სასამართლო სხდომაზე გაუღერებულ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად, რა დროსაც ამონიშნავს დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას. ამდენად, აღნიშნულ პროცესში საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია სწორედ შუამდგომლობის ცნობითა და აღსრულებით შემოიფარგლება და, შესაბამისად, მხარის მიერ მოყვანილი ზემომითითებული გარემოებები ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. ყაზახეთის სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საქართველოში აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი ვერც ის გარემოება გახდება, რომ აღიშენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, ვინაიდან ასეთი პირების შემოსავლებზე აღსრულების მიქცევის წესს ადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი და, შესაბამისად, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს აღსრულების ეტაპზე.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს – ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისთაუს ოლქის ქ.აქთაუს №2 სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის სასამართლო ბრძანება მოთხოვნილ ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

15. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე

და 71-ე მუხლებით, საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-285-ე, 264.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. რ. ბ. ყ. ს-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისთაუს ოლქის ქ.აქთაუს №2 სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის სასამართლო ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც მ. (მ.) ხ. ო. ს-ს (ო-ს, პირადი ნომერი – ..., მცხოვრებს მისამართზე – ქ.აქთაუ, ...) რ. ბ. ყ. ს-ას (მცხოვრების მისამართზე – ქ.აქთაუ, ...) სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი ბავშვების: ფ. მ.ის ძე ს-ის (დაბადებული 2... წლის ... აპრილს) და ს. მ. ო. ს-ის (დაბადებული 2... წლის ... ივლისს) სარჩენად, ყველა სახის გამომუშავების, ან სხვა ყოველთვიური შემოსავლის 1/3-ის ოდენობით, დაწყებული 2009 წლის 15 დეკემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განქორწინება, ალიმენტისა და დამატებითი
ხარჯების გადახდის დაკისრება**

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ა-1090-შ-22-2018

4 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება, ალიმენტისა და დამატებითი
ხარჯების გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რა-
იონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილე-
ბით (განაჩენით) ფ. ს-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
მოპასუხე ჰ. ს-სა და მოსარჩელე ფ. ს-ას შორის 2011 წლის 3
მარტს ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონის სარეგისტრაციო გან-
ყოფილების მიერ სარეგისტრაციო წიგნაკუთხე №2... ნომრით რე-
გისტრირებული ქორწინება შეწყდა; 2011 წლის 7 ივნისს დაბა-
დებული ს. ს-ი სრულწლოვანების ასაკამდე დარჩა დედასთან,
ფ. ს-ასთან; მოპასუხე ჰ. ს-ს დაეკისრა 2011 წლის 7 ივნისს და-
ბადებული ს. ს-ის სარჩენად, ალიმენტის სახით, ყოველთვიუ-
რად 117 (ას ჩვიდმეტი) მანეთის ნაღდი ფულის ოდენობით ფ. ს-
ასათვის გადახდა 2016 წლის 10 მარტიდან სრულწლოვანების ასა-
კამდე, ასევე – 2016 წლის 10 მარტიდან დამატებითი ხარჯე-
ბისთვის ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მანეთის ნაღდი ფუ-
ლის ოდენობით ფ. ს-ასათვის გადახდა.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2018 წლის 5 მარ-
ტის №1546 წერილით მომართა საქართველოს უზენაეს სასა-
მართლოს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის
საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი
ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა და
„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კა-
ნონის 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, შემდგომი რეაგი-
რებისათვის გადმოგზავნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ

ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოსა და ფ. ს-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

3. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მოპასუხე სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით იყო ინფორმირებული, მაგრამ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა.

4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებით დასტურდება, რომ ამავე სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 22 აგვისტოს და არ აღსრულებულა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განჩინებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოსა და ფ. ს-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

6. ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს და ჩაბარდა მის მამას 2018 წლის 22 მარტს.

7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პი-

რისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

8. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საპროცესო დოკუმენტები მოწინააღმდეგე მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეს განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში ჰქონდა აღნიშნულ შუამდგომლობაზე თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. თუმცა, მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საქართველოს უზენაესი სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფ. ს-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენისა და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

13. დადგენილია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს საქართველოს ტერიტორიაზე აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, რაც დას-

ტურდება შემდეგი გარემოებებით: აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობაში მითითებულია, რომ მოწინააღმდეგე მხარის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს საქართველო, მარნეულის რაიონი, სოფელი ა.; მას ამავე მისამართზე ჩაბარდა შუამდგომლობა და თანდართული მასალები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

14. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე საქართველოს სასამართლოს გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია.

15. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

16. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამასთან, არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები არსებობს.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით (განაჩენით) ფ. ს-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე ჰ. ს-სა და მოსარჩელე ფ. ს-ას შორის 2011 წლის 3 მარტს ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონის სარეგისტრაციო განყოფილების მიერ სარეგისტრაციო წიგნაკში №2... ნომრით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა; 2011 წლის 7 ივნისს დაბადებული ს. ს-ი სრულწლოვანების ასაკამდე დარჩა დედასთან, ფ. ს-ასთან; მოპასუხე ჰ. ს-ს დაეკისრა 2011 წლის 7 ივნისს დაბადებული ს. ს-ის სარჩენად, ალიმენტის სა-

ხით, ყოველთვიურად 117 (ას ჩვიდმეტი) მანეთის ნაღდი ფულის ოდენობით ფ. ს-ასათვის გადახდა 2016 წლის 10 მარტიდან სრულწლოვნების ასაკამდე, ასევე – 2016 წლის 10 მარტიდან დამატებითი ხარჯებისთვის ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მანეთის ნაღდი ფულის ოდენობით ფ. ს-ასათვის გადახდა; გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 22 აგვისტოს და არ აღსრულებულა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე; მოპასუხე სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით იყო ინფორმირებული, მაგრამ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მონინაალმდევე მხარეს მოცემულ შუამდგომლობაზე არ წარმოუდგენია საკუთარი მოსაზრება.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს რა კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიიჩნევს, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ.

21. რაც შეეხება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას განქორწინების ნაწილში, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

22. განსახილველ შემთხვევაში, განქორწინების თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობით მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის დადგომაც სურს მხარეს. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ფ. ს-ას ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ არ გააჩნია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

23. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (განაჩენი) განქორწინების ნაწილში უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12, მე-13, 68-ე, 70-ე და 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე და 284-ე მუხლებით და

დასაბუნა:

1. ფ. ს-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. ფ. ს-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ ქორწინების შეწყვეტის ნაწილში დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

3. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლითაც მოპასუხე ჰ. ს-სა და მოსარჩელე ფ. ს-ას შორის 2011 წლის 3 მარტს ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონის სარეგისტრაციო განყოფილების მიერ სარეგისტრაციო ნიგნაკში №2... ნომრით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა;

4. ფ. ს-ას შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21

ივლისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩენილ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

5. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ბინაგადის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლითაც: 2011 წლის 7 ივნისს დაბადებული ს. ს-ი სრულწლოვანების ასაკამდე დარჩა დედასთან, ფ. ს-ასთან; მოპასუხე ჰ. ს-ს დაეკისრა 2011 წლის 7 ივნისს დაბადებული ს. ს-ის სარჩენად, ალიმენტის სახით, ყოველთვიურად 117 (ას ჩვიდმეტი) მანეთის ნაღდი ფულის ოდენობით ფ. ს-ასათვის გადახდა 2016 წლის 10 მარტიდან სრულწლოვანების ასაკამდე, ასევე – 2016 წლის 10 მარტიდან დამატებითი ხარჯებისთვის ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მანეთის ნაღდი ფულის ოდენობით ფ. ს-ასათვის გადახდა;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მამობის დადგენა და ალიმენტის დაკისრება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო სასამართლოში

№ა-1757-შ-43-2017

27 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: მამობის დადგენა და ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდეგში – მინსკის კონვენცია) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონ-

ნი) 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, ნ. ნ. კ. ვ-ას (შემდეგში: მოსარჩელე, შუამდგომლობის ავტორი ან არასრულწლოვნების დედა) წარმომადგენელმა ა. ნ. ო. ხ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების თაობაზე.

2. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით ე. მ. ო. ს-ი (შემდეგში: მოპასუხე ან არასრულწლოვნების მამა) ცნობილი იქნა ე. ე-ის ასული ვ-ას (დაბ. 02.10.2008 წ.; შემდეგში: არასრულწლოვანი ან პირველი ბავშვი) და ე. ე-ის ძე ვ-ის (დაბ. 28.09.2009 წ.; შემდეგში: არასრულწლოვანი ან მეორე ბავშვი) მამად და მათ სარჩენად დაეკისრა ალიმენტი.

3. საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე 2007 წლის 29 თებერვალს დაქორწინდნენ. თანაცხოვრების პერიოდში წყვილს შეეძინა პირველი ბავშვი, ხოლო 2009 წლის თებერვლიდან წყვილი ერთად აღარ ცხოვრობდა, ამ პერიოდში მოსარჩელე მეორე შვილზე იყო ორსულად.

4. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის მე-80, 81-ე და 83-ე მუხლების საფუძველზე, მშობლები მოვალენი არიან უზრუნველყონ არასრულწლოვანი შვილების რჩენა.

5. საქმის მასალების შესწავლის შედეგად, რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014 გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 49-ე მუხლისა და 48-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, მოპასუხე ცნობილ იქნა ორივე არასრულწლოვანის მამად და მათ სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – 20 886 (10 443 თითოეულ ბავშვზე) რუბლის გადახდა, რაც შეესაბამება ქ. მოსკოვში ერთ ბავშვზე საარსებო მინიმუმის ოდენობას, ყოველთვიურად, შემდეგი ინდექსაციით ქ. მოსკოვის საარსებო მინიმუმის ოდენობის პროპორციულად, დაწყებული 2014 წლის 13 ოქტომბრიდან შვილების სრულწლოვანებამდე.

6. საქმის მასალებშია ცნობა, რომლის მიხედვით რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014 გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მის საფუძველზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი. შუამდგომლობის ავტორმა სააღსრულებო ფურცლის დედანი საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა იმის დასტურად, რომ გადაწყვეტილება რუსე-

თის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და ვინაიდან მოპასუხე საქართველოს მოქალაქეა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ექვემდებარება აღსრულებას.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 10 მაისის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე განსახილველად მიიღო.

8. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს 2017 წლის 17 მაისს, შემდეგ – 5 ივნისს, რომელსაც ვერ ჩაჰპარდა გზავნილები იმ მითითებით, რომ სოფელში გაკითხვით ადრესატი არ მოიძებნა.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს დაევალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განჩინების ასლისა და წარმოდგენილი შუამდგომლობის (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) მოპასუხისათვის ჩაბარება მის საცხოვრებელ მისამართზე.

10. შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 13 ივლისის მომართვის თანახმად, სასამართლოს გზავნილი ქვემდებარეობით გადაეგზავნა შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონულ სამმართველოს. ამ უკანასკნელის უფროსი გამომძიებლის 2017 წლის 11 აგვისტოს მომართვითა და მასზე დართული ხელწერილით დასტურდება, რომ გზავნილი პირადად ჩაჰპარდა ადრესატს 2017 წლის 1 აგვისტოს. მოპასუხეს განემარტა უფლება, წარმოადგინოს მოსაზრება შუამდგომლობის თაობაზე შეტყობინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში, ასევე, განემარტა უფლება, რომ შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე (წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლი).

11. საპროცესო კანონით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს რაიმე მოსაზრება ან შუამდგომლობა არ წარმოუდგენია საკა-

საციო სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობებს, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ მოსარჩელის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

12. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და არ აღსრულებულა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

13. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დანესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩევლები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

14. ამავე კონვენციის მე-3 თავით მონესრიგებულია გადანაცვლებათა აღიარება და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-55 მუხლებით დადგენილია გადანაცვლებათა აღიარებისა და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

15. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნილია რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს

2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულება, რომლითაც მოპასუხე დადგინდა ორი არასრულწლოვანი ბავშვის მამად და მათ სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა დაეკისრა.

16. საქმის მასალებში წარმოდგენილი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების მიხედვით დგინდება, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იქნა ინფორმირებული ჩერთანოვსკის რაიონის სასამართლოში სხდომის დანიშვნის თაობაზე, რითაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების შესახებ.

17. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს. ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი საპროცესო შესაძლებლობა, რათა მოპასუხისათვის ჩაებარებინა განსახილველი შუამდგომლობა, თანდართულ მასალებთან ერთად (იხ. წინამდებარე განჩინების 8-11 პუნქტები). აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლოს უწყება (სსსკ-ის 70-ე მუხლი). მოპასუხეს არ მოუმართავს შუამდგომლობით ან რაიმე სახის მოთხოვნით საკასაციო სასამართლოსათვის, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული სპეციალური კანონის 68-ე და 70-ე მუხლების წინაპირობები დაცულია და დასაბუთებულია შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების შესახებ, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

18. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

19. ზემოხსენებულ პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასა-

ლების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მონინალმდევე მხარეს – მოპასუხეს წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება.

20. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო 71-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის, წარმოდგენილი აქვს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ცნობა.

21. „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით, საკასაციო სასამართლო წარმოდგენილ შუამდგომლობას განიხილავს კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში და მიაჩნია, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და იძულებითი აღსრულების შესახებ. ამავე კონვენციის 54.3 – ე მუხლით დადგენილია, რომ „იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშეკრული მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება“.

22. ზემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლები წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ნ. ნ. კ. ვ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ იქნეს და აღსრულდეს რუსეთის ფედერაციის, ქ. მოსკოვის, ჩერტანოვსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის №2-5998/2014

გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე:

2.1. ე. მ. ო. ს-ი (დაბ.05.06.1982წ.) ცნობილ იქნა ყ. ე-ის ასული ვ-ას (დაბ. 02.10.2008 წ.) და ე. ე-ის ძე ვ-ის (დაბ. 28.09.2009 წ.) მამად;

2.2. ე. მ. ო. ს-ს ნ. ნ. კ. ვ-ას სასარგებლოდ დაეკისრა არას-რულწლოვანი შვილების რჩენისათვის ალიმენტის – 20 886 (10 443 თითოეულ ბავშვზე) რუბლის გადახდა, რაც შეესაბამება ქ. მოსკოვში ბავშვზე 1 საარსებო მინიმუმის ოდენობას, ყოველ-თვიურად, შემდეგი ინდექსაციით ქ. მოსკოვის საარსებო მინი-მუმის ოდენობის პროპორციულად, დაწყებული 2014 წლის 13 ოქტომბრიდან შვილების სრულწლოვანებამდე

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიბეპლი

1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცესუალური საკითხები
სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია 3
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების ცნობა და აღსრულება 10
გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა 25
უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები 34
უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება 44; 51
2. ვალდებულებითი სამართალი
თანხის დაკისრება 61; 89; 107; 111; 115
სესხი 121
3. საოჯახო სამართალი
განქორწინება 128; 132
ალიმენტის დაკისრება 138; 145; 152
განქორწინება, ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების გადახდის დაკისრება 158
მამობის დადგენა და ალიმენტის დაკისრება 164

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 71 34
www.supremecourt.ge